საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ შობის დამდეგ დღესასწაულს!

პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
6 იანვარი **ორშაბათი** 2014
№001 (14 222) ფასი 80 თეთრი

603/2 N17333 119

# მუნდიალის შანსი რჩება

## 33:26 თურქეთს ვძლიეთ



12



5

# ბაიერნმა ლევანდოვსკი გაიფორმა!

8 მილიონი ევრო წელიწადში



7

# ბებერი ქალბატონი სკუდეტოს უყურებს



# შავი პანტერა აღარ არის

6

# ტატანამ მისამართი შეიცვალა

საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი ზესტაფონში გადავიდა



2

დღევანდელ ლელოში

## 2014 წლის სპორტული კალენდარი

8-9

ლელოს მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 8 იანვარს

ქართული ბიბლიოთეკა

სავარაუდო ტრანსფერი

# ბაჩანა არაბული ესპანეთში გაემგზავრა

ახალწლებზე **ბაჩანა არაბული** ესპანეთში გაემგზავრა - სიახლე "საბურთალოს" პრეზიდენტმა, **ტარიელ ხეჩიკაშვილმა** გვითხრა. "საბურთალო" სეგუნდადივიზიონის "ალკორკონთან" თავდამსხმელის ერთწლიან იჯარაზე 31 აგვისტოს შეთანხმდა, მაგრამ თამაშს ვინ ჩივის, 18 წლის ფეხბურთელი ესპანეთშიც ვერ ჩადიოდა.

არაბულის თამაშს ხელს მოქალაქეობის გამო წარმოქმნილი სავიზო პრობლემა უშლიდა – ესპანეთში, ისევე როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყანაში, ქართველ მოთამაშეებზე შრომის ვიზას ხანგრძლივი და რთული პროცედურების შემდეგ გასცემენ. ამის გამო რამდენიმე ჩვენებური დაბრკოლდა და პირინეებზე თამაში არ ეღირსა – გაიხსენეთ თუნდაც რამდენიმე წლის წინ "ლევანტეში" **ლევან ყენიას** ჩაშლილი ტრანსფერი.

ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების ყოფილ კაპიტანს (რომლის ტრანსფერიც "საბურთალოს" ეკუთვნის) შრომის ვიზა მხოლოდ დეკემბერში მისცა. ამ დროისთვის იჯარის ვადა სანახევროდ დასრულებული იყო. მაგრამ ესპანურ კლუბს არაბულზე უარი მაინც არ უთქვამს, ხოლო ბოლო ინფორმაციით, ესპანელებმა ქართველი თავდამსხმელი უკვე განაცხადში შეიყვანეს.

გუშინ "ალკორკონმა" მადრიდში "ბარსელონა II"-ს უმასპინძლა და ბაჩანა შეხვედრის განაცხადში არ ყოფილა.

**მერაბ მამულაშვილი**



ბაჩანა არაბული

ინტერვიუ

## გია ცეცაძე:

# ახლა ნაკრებზე გადავერთვები

### ლოკომოტივში ვასილ მაისურაძე იმუშავებს

**... 26 დეკემბერს, განვლილი წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე, 2013 წლის საუკეთესო გუნდისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გია ცეცაძის 19-წლამდელთა (ახლა უკვე 20-წლამდელთა) ნაკრებს გადასცა, რომელმაც შარშან ზაფხულს, 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა.**

**ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ცეცაძე თბილისის "ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. ეს გუნდი პირველ ლიგაში გამოდის, მაგრამ ამ გუნდში ქართული ფეხბურთისთვის იმდენს აკეთებენ, რაც ბევრ უმაღლესლიგელს შემურდება.**

**ახლა "ლოკომოტივში" სერიოზული საკადრო ცვლილება მოხდა: თბილისელებმა ქუთაისის "ტორპედოში" განათხოვრებული მოთამაშეები დაიბრუნეს, გია ცეცაძემ კი ორმხრივი შეთანხმებით მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. მას ვასილ მაისურაძე შეცვლის, რომლის ხელმძღვანელობითაც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში ითამაშებს.**

**ცეცაძე კი ახალ სამსახურში გადასვლას ფიქრობს. ამ და სხვა საინტერესო თემებზე ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ:**



გია ცეცაძე

- "ლოკომოტივიდან" წამოსვლა ჩემი და გუნდის პრეზიდენტის, ლექსო თოფურიას ერთობლივი შეთანხმება იყო.

**- მიზეზი რა გახდა?**

- მინდა, რომ მთლიანად სანაკრებო საქმიანობაზე გადავერთო და კონკრეტული ჩანაფიქრიც არსებობს.

**- მუშაობის გაგრძელებას რომელ ასაკობრივ ნაკრებში აპირებთ?**

- ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ეს მინდა ვთქვა: ლექსო თოფურია ნაკლებად ჩანს, აფიშირება არ უყვარს, მაგრამ ქართულ ფეხბურთს ის რა საქმესაც უკეთებს, მსგავსს მხოლოდ "საბურთალოს" პრეზიდენტი ტარიელ ხეჩიკაშვილი აკეთებს – ისინი ჩვენი მომავალი თაობების გაზრდაზე რეალურად ყოველდღე ზრუნავენ. "ლოკომოტივში" რამდენიმე ნიჭიერი მოთამაშე იყო და მეც იმიტომ მივედი, რომ ისინი გზაზე დაგვეყენებინა. ლექსოსთან ერთად, უფრო დიდი გეგმების განხორციელებაზეც ვფიქრობდით, მაგრამ პრობლემებმა ხელი შეგვიშალა და როგორც გითხარით, მე სხვა ჩანაფიქრებიც მაქვს.

**- ალბათ, ფინანსურ პრობლემებს გულისხმობთ.**

- დღეს დალხენილი ქართული კლუბი არ არსებობს. უფულოდ ფეხბურთი ვერ განვითარდება და სახელმწიფოსგან მხარდაჭერა სჭირდება. ფეხბურთით ბიზნესი რომ დაინტერესდეს და მხოლოდ ასეთი ენთუზიასტების ხარჯზე არ იყოს, საამისოდ კანონმდებლობაში ცვლილებებია საჭირო. საერთოდ, სრული სერიოზულობით ვამბობ – როგორც განათლება, ჯანდაცვა, სოციალური სფერო, სოფლის მეურნეობა, ჯარი და ეკონომიკაა ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის, ასევე უნდა იყოს ფეხბურთი. არადა, დღეს სპორტის ამ სახეობას ძალიან უჭირს.

**- ამ რეალობიდან აშკარად ამოვარდნილი იყო თქვენი გაწვრთნილი 19-წლამდელთა ნაკრები, რომელიც ელიტრაუნდზე ინგლისის, ბელგიისა და შოტლანდიის ჯგუფიდან გავიდა და წლის საუკეთესო გუნდად აღიარეს.**

- იცით, მთავარი რა იყო? ფეხბურთის ფედერაცია მენდო, ეს კი მწვრთნელისთვის ყველაზე მეტი დაფასებაა. იცოდნენ, რასაც ვითხოვდი, საქმეს რა სჭირდებოდა. ამის გარეშე, ისევე როგორც ფეხბურთელების მონდომების, შედეგს ვერ მივაღწევდით.

აუცილებლად უნდა ვთქვა, რა გავლენა მოახდინეს ჩვენზე გულშემატკივრებმა: ყოველთვის ვგრძნობდით მათ სითბოსა და მხარდაჭერას. ამაზე აუცილებლად გიჩნდება პასუხისმგებლობა და საქმეც გაკეთდა. ვინც ელიტრაუნდზე ჩვენი თამაშები ნახა, დარწმუნდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე შემთხვევით არ გავსულვართ.

**- ევროპის ჩემპიონატზე თავს ველარ გადაახტით?**

- საერთოდ, ფეხბურთის კანონზომიერებაა – თუ საქმეს რამეს დააკლებ, პასუხს აუცილებლად მიიღებ. მაგრამ დღემდე საფრანგეთთან შეხვედრას მივტირი და მიმაჩნია, რომ ამ მატჩის მოგება შესაძლებელი იყო. ეს მაშინ რომ ვთქვი, ეგონათ, ამპარტავნება მალაპარაკებდა. მაგრამ ეს მატჩი რამდენჯერმე კიდევ ვნახე და იგივეს ვფიქრობ. სერბეთთან კი ისეთი შეცდომა დავუშვი, რომლის მსგავსსაც ცხოვრებაში აღარ დავუშვებ. წამითაც არ ვუშვებდი, რომ ბალკანელები მოგვიგებდნენ, ჩემი განწყობა კი ბიჭებზე გადავიდა. მაგრამ ვერ ვითამაშეთ. თურქეთს კი გოლი გავუტანეთ და პირველი 25 წუთი ჩვენს ნახევარზე არ გადმოვუშვით, მერე მსაჯმა აურია და 2:4 წავაგეთ. ამ ევროპაზე თურქები მაგრად დაჩაგრეს და ეტყობა, ჩვენთან კომპენსაციას შეეცადნენ.

ამ თაობაში ისეთი ბიჭები არიან, მგონია, ისინი თავს კიდევ უფრო კარგად გამოავლენენ და ეროვნული ნაკრების დონეზეც ბევრს მიაღწევენ. რაც მთავარია, მათ სპორტული თავმოყვარეობა და მიზანი გააჩნიათ, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. თავად ვუყურებდი, ჩვენი ერთად მუშაობის პერიოდში, რაც სულ 4 თვე გაგრძელდა, თავი როგორ აიყვანეს და როგორი მონდომებულები მუშაობდნენ. დაიმახსოვრეთ – ეს ბიჭები შანსს ელოდებიან და ქართულ ფეხბურთში თავის სიტყვას იტყვიან.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა



გიორგი დევდარიანი

## გიორგი დევდარიანი:

# დიახ, სამტრედიასთან ვითანამშრომლებ

**საინტერესო** ამბავი, რომელიც სოციალურ ქსელ "ფეისბუქზე" საფეხბურთო კლუბ "სამტრედიას" გვერდმა დაადასტურა - **გიორგი დევდარიანი** პირველი ლიგის "ბ" ზონის ერთ-ერთ ლიდერ გუნდში იმუშავებს. ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი და წარმატებული სპეციალისტი საქმიანობას 13 იანვრიდან შეუდგება.

თუმცა, დევდარიანი ამბობს, რომ "სამტრედიაში" იმუშავებს არა მთავარ მწვრთნელად, არამედ, სხვა პოსტზე...

**- მართალია, რომ "სამტრედიას" მთავარი მწვრთნელი გახდით?**

- მთავარ მწვრთნელობაზე ლაპარაკი არც ყოფილა, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ "სამტრედიასთან" ვითანამშრომლებ. რა ფორმით, ესეც მალე გაირკვევა. შესაძლოა, მთავარი მწვრთნელის კონსულტანტი გავხდე.

**- საკმაოდ მოულოდნელი ამბავია.**

- ამჟამად, საქართველოს ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელი ვარ და ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლად ვითვლები. ფედერაციას კი "სამტრედიამ" მიმართა თხოვნით, იქნებ, რომელიმე ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელისთვის გაეწიათ რეკომენდაცია და მისი გუნდში მუშაობით, რეგიონში ფეხბურთის განვითარებისთვის ხელი შეეწყოთ. სწორედ ამ მიზნით პარასკევს სამტრედიაში ჩავედი, გუნდის ხელმძღვანელობას ველაპარაკე და მოვუსმინე. მთავარია, ჩემი საქმიანობით, სამტრედიაში გუნდის და ფეხბურთის განვითარებას ხელი შევუწყო.

**- გორის "დილადან" წამოსვლის შემდეგ ბრძანეთ, რომ ამიერიდან გუნდში სამუშაოდ მინიმალურ პირობებს მოითხოვდით.**

- მე ვერ დაველოდები, საქართველოში როდის შეიცვლება ვითარება და გარემო. ნაკრებში ვმუშაობ, მაგრამ ყოველდღიური მუშაობა მენატრება, ფეხბურთში კი ყოველდღე რაღაც იცვლება. სამტრედიელთა წინადადებას სიამოვნებით ამიტომაც დავთანხმდი. თანაც, ეს ნამდვილი საფეხბურთო ქალაქია, პირველ ლიგაშიც კი გუნდს საუკეთესო დასწრება აქვს. ეს კი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# ზესტაფონმა ჩიხურას მთავარმეგოლე წაჰგვარა

„ზესტაფონმა" მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი მეშვიდე ადგილზე ჩაამთავრა, თუმცა მას შემდეგ, რაც სერბი **რატკო დოსტანიჩი გია გეგუჩაძემ** შეცვალა, გუნდი უკეთ ათამაშდა და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლის პერსპექტივაც გაუჩნდა.

„ზესტაფონი" უკვე შეუდგა ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებას. **გრიგოლ დოლიძე** და **გიორგი გურული** - ეს ფეხბურთელები რომ დაიმატა „ზესტაფონმა", ამის შესახებ გასული წლის მიწურულს უკვე გაუწყეთ. მათ გარდა მარგველთა რიგებში კიდევ ორი ახალწვეულია.

„ზესტაფონში" დაბრუნდა 28 წლის განაპირა მცველი **თეიმურაზ ლონლაძე.** რუსთავის „ოლიმპი", ზაქათალის „სიმურგი", „დინამო თბილისი"...ამ გუნდების შემდეგ ის „ზესტაფონში" პირველად 2011 წელს მივიდა და ორი წლის განმავლობაში იცავდა ამ გუნდის ღირსებას. შემდეგ გორის „დილას" მიაშურა და იქაც წარმატებით თამაშობდა, **კახა ალადაშვილთან** და **გრიგოლ დოლიძესთან** ერთად მარჯვენა ფლანგიდან დიდ პრობლემებს უქმნიდა მეტოქეებს. ლონლაძე სწრაფია და შესაბამისად, ეფექტურად ერთვება შეტევაში ფლანგიდან. ლონლაძეს ეროვნულ ნაკრებში ორჯერ უთამაშია.

„ზესტაფონში" მივიდა 30 წლის თავდამსხმელი **დიმიტრი ტატანაშვილიც,** რაც ბევრისთვის, ალბათ, მოულოდნელიც იყო. ტატანაშვილი 12 გოლით ლიდერობს მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატს და ცოტა არ იყოს, უცნაურია, ასეთ ფეხბურთელს იოლად რომ შეელია საჩხერის „ჩიხურა". იმასაც შეგახსენებთ, რომ სუპერთასზე „ჩიხურამ" „დინამო თბილისს" 1:0 რომ მოუგო, გოლი სწორედ ტატანაშვილმა გაიტანა. როგორც შევიტყვეთ, ტატანაშვილს „ზესტაფონში" უკეთესი პირობები შესთავაზეს და მარგველებთან თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. მან „ზესტაფონთან" 1+1 სისტემით გააფორმა კონტრაქტი.



დიმიტრი ტატანაშვილი

ტატანაშვილი პროფესიონალ ფეხბურთელად თბილისის „ამერში" ჩამოყალიბდა, ამ გუნდში ორჯერ მოიგო საქართველოს თასი, მერე კი ჩეხურ „პლზენში" გადავიდა, არაოფიციალური ინფორმაციით, ჩეხებს ტატანაშვილის ტრანსფერი 300 000 ევრო დაუჯდათ. სწორედ „ამერში" თამაშის დროს იყო გამოძახებული ეროვნულ ნაკრებში, როცა ჩვენს უპირველე გუნდს **კლაუს ტოპმიოლერი** წვრთნიდა. ორი კეპი და ერთი გოლი - ასეთია ტატანაშვილის ნაკრებული მონაგარი.

რაც შეეხება იმას, დაუბრუნდა თუ არა „ზესტაფონს" **ილია კოკაია,** როგორც კლუბის მფლობელი და პრეზიდენტი, ეს ოფიციალურად ჯერ არ დასტურდება, „ზესტაფონს" ამ დროისთვის გენერალური მენეჯერი **მიხეილ ხუციშვილი** ხელმძღვანელობს.

**დავით თავართქილაძე**

ვიტ ჯორჯია

# ადამაძეც წავიდა

თბილისის „ვიტ ჯორჯია" სეზონის განახლებისთვის მზადებას 9 იანვრიდან დაიწყებს. „ვიტ ჯორჯია" გუნდის კაპიტანმა, **გიორგი ჯანელიძემ** რომ დატოვა, უკვე ძველი ამბავია - ჯანელიძე 2014 წლიდან „დინამო თბილისში" ითამაშებს. „ვიტ ჯორჯიადან" თავისუფალი აგენტის სტატუსით წასვლა 23 წლის **ლაშა კასრაძესაც** შეუძლია, თუმცა „ვიტ ჯორჯიაში" გვითხრეს, არ არის გამორიცხული, რომ სეზონის ბოლომდე კასრაძე მაინც დარჩეს ამ გუნდშიო.

„ვიტ ჯორჯია" დატოვა 24 წლის მცველმა **გურამ ადამაძემ,** რომელიც კარიერას სავარაუდოდ უცხოეთში გააგრძელებს. ადამაძე ცენტრალური მცველია, ძლიერია ორთაბრძოლაში, კარგად თამაშობს თავით და სტანდარტული სიტუაციის დროს გუნდს შეტევაშიც ეხმარება.

ჯანელიძე, კასრაძე, ადამაძე - ამ ფეხბურთელების წასვლა „ვიტ ჯორჯიასთვის" მნიშვნელოვანი დანაკლისი იქნება, თუმცა „ვიტ ჯორჯიაში" ისიც გვითხრეს, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ რამდენიმე ფეხბურთელის გადმოსაბირებლადო.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტუაცია

# ძოძუაშვილი ტორპედოში?

ქუთაისის „ტორპედოს“ ამბავი მოგეხსენებათ: კომპანია „ვისოლი“ აღარ აპირებს კლუბის დაფინანსებას. ოფიციალურად ეს ინფორმაცია ჯერ არ დადასტურებულა, თუმცა ამის შესახებ მილეთმა უკვე იცის.

„ტორპედომ“ ეს სეზონი რიხით დაიწყო, თუმცა მერე ჩავარდნა ჰქონდა და სეზონის პირველი ეტაპი მე-9 ადგილზე ჩაამთავრა.

და ვინ უპატრონებს „ტორპედოს“? ცხადია, ეს კითხვა აწუხებს ქუთაისელ გულშემატკივარს და საერთოდ ქართული ფეხბურთის ქომაგებსაც - „ტორპედო“ ხომ ტრადიციული კლუბია, ტრადიციები კი ფეხბურთში ძალიან ბევრს ნიშნავს.

კულუარული ინფორმაციით, „ტორპედოს“ სვე-ბედი 8-9 იანვარს უნდა გაირკვეს, სავარაუდოდ „ვისოლი“ გუნდს იმ თანხას გამოუყოფს, რაც სეზონის ჩამთავრებისთვის იქნება აუცილებელი და „ტორპედოსთვის“ ქუთაისის მერიაც ზრუნებს.


რევაზ ძოძუაშვილი

კულუარული ამბები ამით არ მთავრდება: სანდო წყაროს ცნობით, „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე სერიოზულად განიხილება **რევაზ ძოძუაშვილის** კანდიდატურა. მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე „ტორპედოს“ აქამდე ყველასათვის უცნობი ესპანელი მწვრთნელი, **ჟერარდ სარაგოსა მულეტი** თავკაცობდა.

ძოძუაშვილს კი წარდგენა, ალბათ, არც სჭირდება, უბრალოდ შეგახსენებთ, რომ მან რამდენიმე თვის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დაიწყო მუშაობა მწვრთნელ-სელექციონერად. ძოძუაშვილის ავტორიტეტსა და კვალიფიკაციას ეჭვის ქვეშ ვერავინ ვერ დააყენებს და თუ ის მართლა დაბრუნდება „ტორპედოში“ მთავარ მწვრთნელად, ძალიან საინტერესო იქნება ეს ყველაფერი. ძოძუაშვილი „ტორპედოს“ წვრთნიდა 1978 წელს, შემდეგ 1988-89 წლებში, ბოლოს კი 2001-02 წლებში. საბჭოთა კავშირის ნაკრების და თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული მცველი ქუთაისშია დაბადებულ-გაზრდილი და თქმა რად უნდა, რომ ამ ქალაქში განსაკუთრებულად პოპულარულია.

ვნახოთ, ყველაფერი დღე-დღეზე უნდა გადაწყდეს.

**დავით თავართქილაძე**

პირველი ეტაპის შეჯამება

დინამო (თბ)

სეზონის დაწყებამდე ცნობილი იყო, რომ ჩემპიონობის უმთავრესი ფავორიტი თბილისის „დინამო“ იქნებოდა და პირველი ეტაპის მსვლელობამ ყოველივე ეს დაადასტურა კიდეც. ისე, როგორც წინა სეზონში, „დინამო“ ამჯერადაც პირველ ადგილზე შეხვდა ზამთრის პაუზას და ვეჭვობთ, რომ უახლოეს მდევართან, „ჩიხურასთან“ არსებული შვიდქულიანი სხვაობა მეორე ეტაპზე გაფლანგოს. თანაც, ამ ბოლო წლებში ხომ გარკვეულ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე: სეზონის გამარჯვებული სწორედ „ზამთრის ჩემპიონის“ არაოფიციალური ტიტულის მფლობელი გუნდი ხდება! კარგად მოგეხსენებათ, რომ პირველი ეტაპის დასრულებისთანავე ჩვენს ყველაზე ტიტულიან კლუბში სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა: კლუბის დატოვება ერთდროულად რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს მოუხდა; არც ის იყო უმნიშვნელო ფაქტი, რომ პირველი ეტაპის დასკვნითი 4 ტური გუნდმა ახალი მთავარი მწვრთნელის (მალხაზ ჟვანია) ხელმძღვანელობით ჩაატარა; თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად მაინც „დინამო“ უნდა მივიჩნიოთ, — საგრძნობლად გადახალისებული შემადგენლობითა თუ უამრავი ახალწვეულით. ისე, რახან წინა სეზონთან გავავლეთ პარალელი, ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ ამჯერად შედეგიანობამაც მოიკლო და დიდი ანგარიშითაც უფრო ნაკლები მატჩი ჰქონდა გუნდს მოგებული; თანაც, არც ის დაგვავიწყდეს, რომ წინა სეზონში (განსაკუთრებით — პირველ ეტაპზე) „დინამოს“ ერთობ სერიოზული და მართლაც ღირსეული კონკურენტი ჰყავდა (გორის „დილა“), რასაც XXV ჩემპიონატში ნამდვილად ვერ ვიტყვით. არ დაგვავიწყდეს კიდევ ერთი და არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი: სეზონის სტარტი „დინამომ“, ცოტა არ იყოს, „მძიმედ“ დაიწყო, რაც, უპირველესად, ევროტურნირებზე ასპარეზობით იყო გამოწვეული.


გიორგი ლორია

# ძველ-ახალი გუნდის უცვლელი მიზანი

## მეკარე

„დინამომ“ ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები ბურთი გაუშვა და ეს, რაღა თქმა უნდა, გუნდისა და საქართველოს ნაკრების მეკარის, **გიორგი ლორიას** დამსახურებაა; 27 წლის ლორიამ პირველ ეტაპზე მხოლოდ ერთი მატჩი გამოტოვა (სტუმრად — „გურიასთან“) და 17 შეხვედრაში გაშვებული 11 გოლი, ვფიქრობთ, ჩინებული მაჩვენებელია. იმ ერთ მატჩში „დინამოს“ კარს 23 წლის **თორნიკე ზარქუა** იცავდა, აი, გუნდის ახალწვეულს, 29 წლის **ომარ მიგინეიშვილს** კი ჩემპიონატში თავის გამოჩენის შანსი არ მისცემია.

## დაცვა

ისე როგორც წინა სეზონის პირველ ეტაპზე, „დინამოს“ დაცვის ხაზში (და, საერთოდაც — მთელ გუნდში) ერთადერთი ფეხბურთელი **გივი კვარაცხელია** გახლდათ, ყველა მატჩი (თანაც — შეუცვლელად) რომ ჩაატარა. 34 წლის კვარაცხელიას დაცვის ცენტრში მეწყვილეობას 30 წლის ბასკი მცველი **უსტარიცი** ან კიდევ 22 წლის **გიორგი გველესიანი** უწევდნენ. ამ უკანასკნელის ასპარეზობა, საერთოდაც, სასიამოვნო მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ: გველესიანის სამი გოლიდან ორი, გამარჯვების მომტანი („ტორპედოსთან“ და „ზესტაფონთან“) აღმოჩნდა. მარცხენა ფლანგზე ალტერნატივა არ ჰყავდა 33 წლის **დავით კვირკველიას**; რაც შეეხება მის პოტენციურ შემცვლელს **დარკო გლიშიჩს**, 22 წლის მაკედონიელი უფრო ხშირად, შეცვლებზე შემოდიოდა ხოლმე და სხვათა შორის, სწორედ შეცვლაზე შემოსულმა შეძლო ორჯერვე გოლის გატანა. აი, მარჯვენა მცველის პოზიციას, აქ თავდაპირველად ძირითადში გუნდის ახალწვეული, 25 წლის **დავით ხურცილავა** ასპარეზობდა; მერე 28 წლის **გიორგი სეთურიძემ** დაიბრუნა ძირითადში ადგილი, თუმცა პირველი ეტაპის მიწურულს, უფრო ზუსტად, მთავარ მწვრთნელად მალხაზ ჟვანიას დანიშვნის მერე მარჯვენა მცველად კვლავაც ხურცილავა თამაშობდა. ეპიზოდურად უხდებოდა მოედანზე გამოსვლა 34 წლის **გიორგი შაშიაშვილს**.

## ნახევარდაცვა

ამ რგოლის უდავო ლიდერად გუნდის ახალწვეული, რუმინელი უნივერსალი **დორინ გოგა** უნდა მივიჩნიოთ; 29 წლის ფეხბურთელი თავდაპირველად შეცვლებზე შემოდიოდა, სექტემბრის დასაწყისიდან მოყოლებული კი გუნდის ერთ-ერთ შეუცვლელ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა და „დინამოს“ საუკეთესო ბომბარდირიც გახდა (9 გოლი). გოგას ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში ნახევარდაცვის ნებისმიერ პოზიციაზეც და თავდასხმაშიც, ასევე უნივერსალური თვისებებით არის დაჯილდოებული „დინამოს“ კიდევ ერთი ახალწვეული **ელგუჯა გრიგალაშვილი**, თუმცა 24 წლის, უდავოდ, ნიჭიერ ნახევარმცველს უფრო მეტიც რომ შეეძლო, ფაქტია.

...ვიდრე **დუშან უჰრინი** იყო „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი, „დინამო“ თითქმის ყველა მატჩში 4-4-2 განლაგებით ასპარეზობდა და ცენტრალურ ნახევარმცველთა „დუეტს“, ხშირ შემთხვევებში, 28 წლის **ლევან ხმალაძე** და 25 წლის **ირაკლი ძარია** შეადგენდნენ ხოლმე; თუმცა, ძარიას ტრავმიანობის გამო ძირითადში ასევე ხშირად ვხედავდით უდავოდ პერსპექტიულ ცენტრალურ ნახევარმცველს, 20 წლის **გიორგი პაპავას**. აი, რაც შეეხება „დინამოს“ ერთ-ერთ ყველაზე სტაჟიან წევრს **გიორგი მერებაშვილს**, 27 წლის ფეხბურთელისათვის I ეტაპი არაერთგვაროვნად წარიმართა; ჰო, იყო მატჩები, როცა უჰრინი ნდობას არ უცხადებდა გამოცდილ შემტევს, თუმცა, ისეთი შეხვედრებიც გვახსოვს, მერებაშვილმა ჩვეულად, მაღალ დონეზე რომ ჩაატარა.

პირველ ეტაპზე „დინამოს“ შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელს **გიორგი პაპუნაშვილს** — 18 წლის პერსპექტიული ჭაბუკი ჯერჯერობით მხოლოდ შეცვლებზე შემოდიოდა, მაგრამ მეორე ეტაპზე ძირითადშიც რომ ხშირად ვიხილოთ, არც ეს ფაქტი უნდა გაგვიკვირდეს.


დორინ გოგა (მარჯვნივ)

## თავდასხმა

გივი კვარაცხელიას მსგავსად, ჩემპიონატში ყველა, 18-ვე მატჩი ჩაატარა „დინამოს“ ახალწვეულმა **პატრიკ ვუომ**, თუმცა 26 წლის ფორვარდი, უმეტესწილად, შეცვლებზე შემოდიოდა ხოლმე. საერთოდაც, ვუოსგან, ალბათ, უფრო მეტს მოელოდნენ — 18 მატჩში 2 გოლი ფორვარდისათვის დიდი ვერაფერი შედეგი რომ არის, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება.

...წინა სეზონის პირველ ეტაპზე „დინამოს“ მართლაც „სუპერ დუეტი“ ჰყავდა შეტევის ხაზში; შეგახსენებთ, რომ იმ დროისათვის **ჯაბა დვალს** 18 მატჩში 16 გოლი ჰქონდა გატანილი, **ჩისკოს** კი 20 შეხვედრაში — 17! სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, ორივე ფორვარდის შედეგიანობამ მოიკლო: ყოფილა შემთხვევები, როცა 28 წლის დვალს სხვა ფუნქციების შესრულება უწევდა, ხოლო 33 წლის ჩისკოს ტრავმის გამო რამდენიმე მატჩის გამოტოვებამ მოუწია.

## საუკეთესო მატჩი

პირველ ეტაპზე ორი ასეთი შეხვედრა უნდა გამოვარჩიოთ: VIII ტურში, რუსთავში „სიონთან“ (4:1) მოგებული მატჩი და, რაღა თქმა უნდა, 20 ოქტომბერს ჩატარებული „დინამო“-„ჩიხურა“, სადაც მასპინძლებმა თავისი ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი გამანადგურებელი ანგარიშით (6:1) დაამარცხეს.

## ყველაზე ცუდი მატჩი

პირველ ეტაპზე „დინამომ“ ორი მატჩი წააგო და ორივე შემთხვევაში (სტუმრად — „გურიასთან“, შინ — „ვიტ ჯორჯიასთან“) ლიდერი ამ შედეგს იმსახურებდა. ამას გარდა, იყო სხვა შეხვედრებიც, სადაც „დინამოს“ თამაშის ხარისხი აშკარად ტოვებდა უკეთესის სურვილს: აი, მაგალითად, „დილასთან“ სტუმრად ჩატარებული ბოლო შეხვედრა, ან, თუნდაც რუსთავში „მეტალურგთან“ დაპირისპირება...

## მიზანი

ახალი რა უნდა ვთქვათ: ნებისმიერი სეზონის დაწყების წინ „დინამოს“ მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი მიზანი აქვს, რომლის დაკონკრეტებაც, ვფიქრობთ, უადგილოც არის. იმის მიუხედავად, რომ პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ „დინამოში“ სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა და მკვეთრად გადახალისებულ შემადგენლობასაც უნდა ველოდოთ, მაინც მიგვაჩნია, რომ ახალი მთავარი მწვრთნელის, **მალხაზ ჟვანიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდს ჩემპიონობის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს.

**გია ტუხაშვილი**

### დინამოს ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

I ეტაპი: 18 მატჩი, 13 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება, ბურთები: 42-13, ადგილი-I

| | | |
|---|---|---|
| I ტური: | დინამო-ზესტაფონი | 2:1 |
| II ტური: | დილა-დინამო | 1:1 |
| IV ტური: | გურია-დინამო | 2:1 |
| V ტური: | დინამო-ზუგდიდი | 3:0 |
| III ტური: | დინამო-სპარტაკი | 2:0 |
| IV ტური: | ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:2 |
| VII ტური: | დინამო-მერანი | 4:2 |
| VIII ტური: | სიონი-დინამო | 1:4 |
| IX ტური: | დინამო-ჩიხურა | 6:1 |
| X ტური: | დინამო-ტორპედო | 2:1 |
| XI ტური: | მეტალურგი-დინამო | 0:0 |
| XII ტური: | ზესტაფონი-დინამო | 1:2 |
| XIII ტური: | დინამო-დილა | 1:1 |
| XIV ტური: | სპარტაკი-დინამო | 0:4 |
| XV ტური: | დინამო-გურია | 3:1 |
| XVI ტური: | ზუგდიდი-დინამო | 0:3 |
| XVII ტური: | დინამო-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| XVIII ტური: | მერანი-დინამო | 0:2 |

### თბილისის დინამო 2013/14

მეკარეები: გიორგი ლორია-17 მატჩი (-11 გოლი), თორნიკე ზარქუა-1 (-2 გოლი);

მცველები: გივი კვარაცხელია-18, დავით კვირკველია-14 (2), დარკო გლიშიჩი-13 (2), გიორგი სეთურიძე-12, დავით ხურცილავა-11, გიორგი გველესიანი-10 (3), უსტარიცი-8, გიორგი შაშიაშვილი-3;

ნახევარმცველები: გიორგი მერებაშვილი - 17 (5), ლევან ხმალაძე-17 (2), დორინ გოგა-17 (9), ელგუჯა გრიგალაშვილი-14 (2), გიორგი პაპავა -10, ირაკლი ძარია-9 (2), გიორგი პაპუნაშვილი-3, გიორგი მიქაბერიძე-2, ირაკლი ლექვთაძე-2;

თავდამსხმელები: პატრიკ ვუო-18 (2), ჯაბა დვალი-17 (5), ჩისკო-14(8), დავით ხოჭოლავა-3, ლაშა შინდაგორიძე-1.

მთავარი მწვრთნელი: დუშან უჰრინი (I-XV ტური); მალხაზ ჟვანია (XVI-XVIII ტური)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურია

# გურია რუსთაველებს იწვევს


გიგლა იმნაძე


დავით ბოლქვაძე

ლანჩხუთის "გურია", როგორც კლუბის გენერალურმა დირექტორმა **კობა მირზაშვილმა** გვითხრა, მოსამზადებელ ეტაპს 20 იანვრისთვის დაიწყებს და ამის შემდეგ ბევრი რამ გახდება ცნობილი.

დეკემბრის ბოლოს, მთავარი მწვრთნელი **რომან პოკორა** თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მას შემდეგ ეს პოსტი ვაკანტური იყო. უკრაინელი სპეციალისტის შემვლელის ვინაობა მალე გაცხადდება. მირზაშვილმა შესაძლო კანდიდატურა გაგვიმხილა: "პოკორას შემცვლელად გიგლა იმნაძის კანდიდატურაზე შევჩერდით და გუნდის გაწვრთნა შევთავაზეთ. ის ორი წლის წინაშაც "გურიას" წვრთნიდა და ლანჩხუთში დიდი ავტორიტეტი გააჩნია. მაგრამ ჯერ მისგან პასუხი არ მიგვიღია. ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი მწვრთნელის ვინაობა უახლოეს დღეებში გვეცოდინება".

რა ცვლილებები მოხდა გუნდში? ამის შესახებ ჯერ "გურიას" დირექტორს დაზუსტებული პასუხი არ გააჩნია: "დიდი იმედი მაქვს, რომ ძირითად ბირთვს შევინარჩუნებთ და გავძლიერდებით. ჯერ გასარკვევია ძამსაშვილის, ჩაგელიშვილისა და ჯოხაძის საკითხი. ცხადია, გაძლიერებაზე ვფიქრობთ. წინადადებებით უკვე მივმართეთ გორის "დილას" ნახევარმცველ დავით ბოლქვაძეს, აგრეთვე, რუსთავის "მეტალურგის" მცველებს, სერგი ორბელაძესა და ანზორ სუხიაშვილს და მათი პასუხები მალე გვეცოდინება".

ლანჩხუთელებმა მოსამზადებელი ეტაპი მხოლოდ ნაწილობრივ დაგეგმეს და ახლა მხოლოდ ის იციან, რომ თავიდან გრიგოლეთის ბაზაზე ივარჯიშებენ.

"15 იანვარს ფეხბურთელებს დავალიანებას გავუსტუმრებთ, მზადებას კი 20-იდან შევუდგებით. პირველი 12 დღე გრიგოლეთში ჩვენს ბაზაზე ვივარჯიშებთ. სად მოვემზადებით მეორე ეტაპზე, ეს მთლიანად ფინანსებზე იქნება დამოკიდებული. ჩვენი ბიუჯეტია 665 ათასი ლარია და მის გაზრდას გვპირდებიან. "გურიას" ბანკების ვალი, 400 ათასი ლარი დაუგროვდა, რომლის გასტუმრებაშიც ლანჩხუთის ადგილობრივი ხელისუფლება დაგვეხმარება. ამას გარდა, უახლოეს დღეებში ბევრი რამ გვეცოდინება და ვნახავთ, შესაძლებელი იქნება თუ არა თურქეთში მოსამზადებელი ეტაპის გავლა" - ამბობს მირზაშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩიხურა

# საჩხერელებს ბიუჯეტი დაუმტკიცეს

## რეხვიაშვილი და ჯილაური ისევ ჩიხურაში?

გუნდები საგაზაფხულო სეზონისთვის მზადებას მალე დაიწყებენ. ზამთრის პაუზის დროს კი რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი განხორციელდა. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული **დიმიტრი ტატანაშვილის** გადაწყვეტილება იყო. მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი „ზესტაფონში" გადავიდა.

"ჩიხურას" მთავარი მწვრთნელის, **სოსო ფრუიძის** თქმით, ჯერ ამ ცვლილების გარდა, გუნდში სხვა მნიშვნელოვანი ჯერ არაფერი მომხდარა.

"საერთოდ, რომელიმე ფეხბურთელს კარგ პირობებს თუ შესთავაზებენ, ხელს არ შევუშლით. მაგრამ ჩვენი შემადგენლობის ბირთვი იგივე რჩება. რა თქმა უნდა, ცვლილებები იქნება, გუნდს ვილაც კიდევ დატოვებს და ვინმეს დავიმატებთ. მაგრამ ყველაფერზე ზუსტად 15 იანვრის შემდეგ გეტყვით. დღევანდელი ინფორმაციით, "ჩიხურაში" რჩებიან გიორგი რეხვიაშვილი და ჯაბა ჯილაური. "დინამოსთან" მათი იჯარის გახანგრძლივების შესახებ მოლაპარაკებები დავიწყეთ და იმედი გვაქვს, რომ მოთამაშეებს დავიტოვებთ. ამაზე წინასწარ ვილაპარაკეთ კიდეც," – ამბობს ფრუიძე.


გიორგი რეხვიაშვილი


ჯაბა ჯილაური

ფრუიძის თქმით, "ჩიხურა" შეკრებას 10 იანვარს დაიწყებს, თუ საჩხერეში ნორმალური ამინდი იქნება: "საწყისი ეტაპის შემდეგ კი, მოსამზადებელი ეტაპის თურქეთში ჩატარება გვსურს. მთავარია, ფინანსებმა ხელი შეგვიწყოს".

დაბოლოს: წლებია, გუნდს "ქართუ ჯგუფი" აფინანსებს. კომპანიამ "ჩიხურას" ახალი ბიუჯეტიც უმტკივნეულოდ დაუმტკიცა – ფრუიძის თქმით, 2014 წელს მთავარი, დუბლშემადგენლობისა და ჭაბუკთა ლიგების გუნდებზე, აგრეთვე, საფეხბურთო სკოლაზე, 2 მილიონი ლარი გამოუყო: "ბევრი არაა, მაგრამ მინიმალური საჭიროებისთვის მისაღები ბიუჯეტია. მით უფრო, უნდა გავითვალისწინოთ, სხვა ქართული გუნდები რა მდგომარეობაშიც არიან – მათ ეს მინიმალური თანხაც არ გააჩნიათ".

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერები

# სად ითამაშებს დათა რიგვავა?

## სპარტაკმა ირაკლი ეხვაია დაიმატა


დათა რიგვავა

"ზუგდიდში" მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მოხდა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოულოდნელობა გუნდიდან მარჯვენა მცველის, **დათა რიგვავას** გაშვება იყო.

საერთოდ, 24 წლის ფეხბურთელისთვის მიმდინარე სეზონი მტკივნეული გამოდგა. ზაფხულში ქუთაისის "ტორპედოში" მომხდარ საკადრო რევოლუციას შეეწირა, რადგან იქ გაახალგაზრდავება დაიწყეს. ახლა კი "ზუგდიდში" დაწყებული რეფორმების მსხვერპლი გახდა.

"ჩვენ ამ პოზიციაზე ნიჭიერი რომეო კანკია გვყავს და ვამჯობინეთ, რომ მისთვის გასაქანი მიგვეცა. დათა კარგი მოთამაშეა და არ მინდოდა, სათადარიგოებში ყოფილიყო. ჩვენი გადაწყვეტილებით სხვაგან წასვლისა და თამაშის შანსი მიეცემა" – გვითხრა "ზუგდიდის" მთავარმა მწვრთნელმა, **გიორგი დარასელიამ.**

"გამიკვირდა, მაგრამ რაც მოხდა, ამაზე ლაპარაკი აღარ მსურს. დარასელიას და ბიჭებს ადამიანურად დავემშვიდობე. მითხრეს, რომ ჩემით უმაღლესი ლიგის რამდენიმე კლუბი დაინტერესდა და მალე მეცოდინება, სად ვითამაშებ. ჯერ კი ზუსტად ვერაფერს ვიტყვი," – გვითხრა რიგვავამ.

დარასელიას თქმით, **ირაკლი ეხვაია** კარიერას ცხინვალის "სპარტაკში" გააგრძელებს. 24 წლის თავდამსხმელი ზუგდიდელებისთვის უდავოდ დიდი დანაკლისი იქნება, რადგან სწორედ მისი დამსახურებით მოიგო გუნდმა სეზონის მიწურულს ქუთაისის "ტორპედოსთან" უმნიშვნელოვანესი შეხვედრა და საერთოდაც, გოლეადორული თვისებებით გამორჩეულია.

**მერაბ მამულაშვილი**

მწვრთნელთა რეიტინგები


ვისენტე დელ ბოსკე (მარცხნივ) და თემურ ქეცბაია

# როგორი მწვრთნელია თემურ ქეცბაია

## გაიცანით FOOTBALL COACH WORLD RANKING

არსებობს ერთი საინტერესო საიტი, რომელიც საფეხბურთო მწვრთნელთა რეიტინგებს აქვეყნებს ორ კატეგორიაში - საკლუბო მწვრთნელები და სანაკრებო მწვრთნელები. Football Coach World Ranking საკმაოდ საინტერესოდ გვეჩვენა და გადავწყვიტეთ, ის თქვენთვის გაგვეცნო.

მწვრთნელები საკლუბო რეიტინგში ქულებს ყოველკვირეულად აგროვებენ, მსოფლიოს 40 მოწინავე ჩემპიონატში და თასზე მათი გუნდების ასპარეზობის შესაბამისად. მოქმედებს ე.წ. 52-კვირიანი რეიტინგ-სისტემა. დაახლოებით ისეთი, როგორიც თანამედროვე ჩოგბურთშია.

2013 წლის საბოლოო რეიტინგის მიხედვით, დღეისათვის ყველაზე ძლიერი საკლუბო მწვრთნელი **ჟოზე მოურინიოა** (პორტუგალია, „ჩელსი"). „განსაკუთრებულს" 15 190 ქულა აქვს. ნომერ მეორე მწვრთნელია **დიეგო სიმეონე** (არგენტინა, „ატლეტიკო") - 13 184 ბალი, ხოლო ნომერ მესამე - **რაფაელ ბენიტესი** (ესპანეთი, „ნაპოლი").

ჩამოვთვლით ათეულის სხვა წევრებსაც: 4. **ხერარდო მარტინო** (არგენტინა, „ბარსელონა"); 5. **არსენ ვენგერი** (საფრანგეთი, „არსენალი"); 6. **იურგენ კლოპი** (გერმანია, „დორტმუნდი"), 7. **კარლო ანჩელოტი** (იტალია, „რეალი"), 8. **ჟორჟე ჟესუსი** (პორტუგალია, „ბენფიკა"), 9. **კუკა** (ბრაზილია, „ატლეტიკო მინეირო") და 10. **მანუელ პელეგრინი** (ჩილე, „მანჩესტერ სიტი").

ალბათ გაგიკვირდებათ, რატომ არ არის სიაში **ხოსეპ გვარდიოლა**, თუმცა ყველაფერი ცხადი გახდება მას მერე, რაც გავიხსენებთ, რომ ქულების დარიცხვა 52-კვირიანი ციკლით ხდება, პეპი კი 2013 წლის ნახევარს უქმობდა. მიუხედავად ამისა, ესპანელი რეიტინგში მე-16 ადგილზეა, მისი „ბაიერნი" უბრალოდ დიდებულად თამაშობს.

### შოთა და სხვები

ქართველ გულშემატკივრებს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ქართველ მწვრთნელთა რეიტინგები აინტერესებს. რეიტინგში ხუთი ქართველი სპეციალისტია შესული, აქედან სამი საზღვარგარეთ მოღვაწეობს, ერთი უკვე აღარ მუშაობს და მხოლოდ ერთი წარმოადგენს უმაღლეს ლიგას.

მაშ ასე, ქართველ საკლუბო მწვრთნელებში საუკეთესო **შოთა არველაძეა**, „ქასიმფაშას" თავკაცს 2 443 ქულა აქვს და მსოფლიოში 239-ე ადგილზეა. 671 ქულით 730-ე ადგილზეა გორის „დილას" ყოფილი თავკაცი **გიორგი დევდარიანი**, რომელიც ახლა პროფესიულ კლუბს აღარ ხელმძღვანელობს.

339 ქულით 928-ე ადგილზეა **კახაბერ ცხადაძე** (ბაქოს „ინტერი"), 300 ქულით 958-ეა **თამაზ პერტია** (რიგის „სკონტო"), **სოსო ფრუიძეს** (საჩხერის „ჩიხურა") 50 ქულა აქვს და ის რეიტინგში 1 271-ე ადგილზეა. ბუნებრივია, საქართველოს ჩემპიონატი იმ 40 საუკეთესო ჩემპიონატის კატეგორიაში არ მოხვდა, რომელთაც დაწვრილებით ითვლიან და საქართველოში მოღვაწე მწვრთნელებს ქულები მხოლოდ ევროთასებზე ასპარეზობიდან აქვთ დაგროვებული.

### დელ ბოსკე და ქეცბაია

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებს, აქ დათვლის სისტემა 40-თვიანი ციკლით განისაზღვრება. ეს ბუნებრივია - სანაკრებო მატჩების ინტენსივობა გაცილებით ნაკლებია. დღეისათვის საუკეთესო სანაკრებო მწვრთნელი **ვისენტე დელ ბოსკეა** (ესპანეთი) - 25 188 ქულა. მეორე ადგილზეა ბუნდესნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვი** - 21 422, მესამეზე ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი** - 20 482 ქულა.

საქართველოს ნაკრების თავკაცი **თემურ ქეცბაია** 4 186 ქულით 76-ე პოზიციაზეა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ნაკრები რეიტინგლისტში ასეულს მიღმაა, გუნდთან შესაბამისობაში ქეცბაია უკეთესი მწვრთნელი გამოდის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# ბაიერნმა ლევანდოვსკი გაიფორმა!

## დამალობანა პოლონურად: რობერტი ხელშეკრულების გასაფორმებლად საცხობის გავლით მივიდა

გუშინ გერმანული ტოპკლუბები მიუნხენის „ბაიერნი" და დორტმუნდის „ბორუსია" მეორე წრისთვის მზადებას შეუდგნენ, მანამდე კი დახურეს თემა, რომელიც ორივე კლუბის გულშემატკივრებს დიდი ხნის განმავლობაში ანერვიულებდა: შაბათს, დორტმუნდელთა პოლონელი გოლეადორი რობერტ ლევანდოვსკი მიუნხენში იმყოფებოდა.

25 წლის თავდამსხმელმა ნაშუადღევს „ბაიერნში" სამედიცინო შემოწმება გაიარა და რეკორდმაისტერთან 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რაც მიუნხენური გრანდის ამჟამინდელი შემადგენლობისთვის რეკორდია - ასეთი ხანგრძლივი კონტრაქტი სხვა არც ერთ ბაიერნელს არ აქვს გაფორმებული.

### ხელფასი: 8 მილიონი ევრო წელიწადში

ჩვენი გერმანელი კოლეგები ლევანდოვსკის ბავარიულ ხელფასზეც წერენ: „ბილდის" ცნობით, რობერტი „ბაიერნში" ყოველწლიურად 8 მილიონ ევროს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ბავარიული გრანდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეები **ფრანკ რიბერი, ფილიპ ლამი** და **ბასტიან შვაინშტაიგერი** არიან - მათი ხელფასი წელიწადში დაახლოებით 10 მილიონი ევროა.

ამრიგად, ლევანდოვსკი „ბაიერნის" ფეხბურთელი ზაფხულიდან გახდება და რაც ყველაზე საინტერესოა, მიუნხენელებს ეს ტრანსფერი ერთი ცენტიც კი არ დაუჯდებათ, რადგან რობერტს „დორტმუნდთან" კონტრაქტი უმთავრდება. მან კონტრაქტი 2019 წლამდე რომ გააფორმა, ეს ინფორმაცია მიუნხენელებმა ოფიციალურად შაბათს დაადასტურეს: *„ძალიან კმაყოფილები ვართ, რომ გარიგება შედგა,* - ნათქვამია ვიცე-პრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგეს განცხადებაში, - *რობერტ ლევანდოვსკი დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია, რომელიც „ბაიერნს" კიდევ უფრო გააძლიერებს."*

### დამალობანა

როგორც იცით, ლევანდოვსკის ახალ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება ოფიციალურად 2014 წლის პირველი იანვრიდან შეეძლო. პოლონელი მიუნხენში შაბათს ვარშავიდან ჩავიდა და ჟურნალისტებს მთელი დღის განმავლობაში დამალობანას ეთამაშებოდა. შუადღისას, სამედიცინო შემოწმების გასავლელად „ბაიერნის" მთავარი ექიმის, **ჰანს-ვილჰელმ მიულერ ვოლფარტის** კანტორაში მეზობლად მდებარე საცხობიდან გადავიდა, რათა ჟურნალისტებს არ გადაყროდა. სამედიცინო შემოწმების დასრულების შემდეგ კი, თავზე ქუდჩამოფხატულმა და სახეზე კაშნეშემოხვეულმა სწრაფად მიაშურა შავი ფერის „აუდის", რომლითაც ლევანდოვსკი „ბაიერნის" ბოსებთან უკვე კონტრაქტზე ხელის მოსაწერად წაიყვანეს.

იცოდნენ თუ არა დორტმუნდში იმის შესახებ, რომ რობერტი მიუნხენში კონტრაქტს აფორმებდა? *„ეს ამბავი არ გაგვიკვირდა, რადგან ყველაფერი შეთანხმებული იყო,"* - აცხადებს „ბორუსიას" გენერალური მენეჯერი ჰანს-იოახიმ ვატცკე და იქვე დასძენს: *„რობერტთან ჯანსაღი ურთიერთობა გვაქვს და არ მეშინია, რომ სეზონის მეორე ნახევარში ისე არ დაიხარჯება, როგორც საჭიროა. ლევანდოვსკი პროფესიონალია და „ბორუსიასთვის" ბოლომდე მაქსიმუმს გააკეთებს."*

რობერტ ლევანდოვსკი „ბაიერნში" რომ გადავიდოდა, ამის შესახებ ცნობილი ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს გახდა, თუმცა ტრანსფერს ოფიციალურად არავინ ადასტურებდა, რის გამოც ამ გარიგებას საფეხბურთო გერმანიაში შაბათამდე ფარდაახდილ საიდუმლოს უწოდებდნენ. ახლა კი, დორტმუნდის „ბორუსიას", რომელიც 2011 და 2012 წლებში ზედიზედ ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი და ამით „ბაიერნი" უკიდურესად შეურაცხყო, რეკორდმაისტერმა **მარიო გიოტცეს** შემდეგ მეორე ლიდერიც ოფიციალურად წაართვა. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნის" ყოფილ დამრიგებელ **იუპ ჰაინკესს** ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ წამოსცდა, ლევანდოვსკიც ხომ მალე გადმოვაო, რაზეც დორტმუნდში მრისხანე რეაქცია ჰქონდათ.

დღეს „ბორუსიას" შეფ **ვატცკეს** გიოტცესა და ლევანდოვსკის დაკარგვაზე ასეთი რეაქცია აქვს: *„ამ ტრანსფერებზე უკვე ყველაფერი ითქვა. მე მხოლოდ წინ ვიხედები!"*



რობერტ ლევანდოვსკი მიუნხენის ბაიერნში ზაფხულში გადავა და მიუნხენში ყოველწლიურად 8 მილიონ ევროს მიიღებს

### რუმენიგე: მანჯუკიჩს არ ვყიდით!

რამდენად ესადაგება რობერტ ლევანდოვსკი „ბაიერნს"? „ბაიერნის" ექსგოლეადორი, 41 წლის **ჯოვანი ელბერი** ამბობს: *„ბაიერნში" გადასვლა ნებისმიერი თავდამსხმელისთვის რისკია, ლევანდოვსკისთვის კი ორმაგი რისკი უნდა იყოს, რადგან ხოსეპ გვარდიოლა გუნდს ძალიან ხშირად კლასიკური ცენტრფორვარდის გარეშე ათამაშებს."*

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბავარიელები ზაფხულში **მარიო მანჯუკიჩს** გაყიდიან? **რუმენიგე** ამბობს, მის გაყიდვაზე არც კი ვფიქრობთო.

### რამდენად რეალურია დავიდ ლუისის ტრანსფერი?

ახალი წლის დღეებში გერმანულ და ინგლისურ პრესაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ „ბაიერნი" ლონდონის „ჩელსის" ბრაზილიელი მცველით, **დავიდ ლუისითაა** დაინტერესებული.

რამდენად რეალურია 26 წლის ცენტრალური მცველის ტრანსფერი მიუნხენში? რუმენიგემ ამ კითხვას ასე უპასუხა: *„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჭორია. ყოველ შემთხვევაში, იანვარში არავის დამატებას არ ვაპირებთ, საზაფხულო ტრანსფერებზე კი ჯერ არ ვფიქრობთ. არც არაფერი დაგვიგეგმავს და შესაბამისად, დასამალიც არაფერი გვაქვს. პირადად მე იმაზე ვოცნებობ, რომ ჰოლგერ ბადშტუბერი მალე გამოჯანმრთელდეს. ეს უკანასკნელი მწყობრში რომ ჩადგება, „ბაიერნისთვის" ახალწვეულივით იქნება, რადგან უკვე ძალიან დიდი ხანია, ფეხბურთი არ უთამაშია. ბადშტუბერი ძალიან კარგი ბიჭი და „ბაიერნისთვის" მნიშვნელოვანი ფეხბურთელია,"* - უთხრა რუმენიგემ Bayern TV-ს.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ჩელსიმ და იუნაიტედმა როდრიგესი მოინდომეს

## ლონდონში კოულის შემცვლელი სჭირდებათ, მანჩესტერში - ევრას ალტერნატივა



რიკარდო როდრიგესს მთხოვნელების რიგი უდგას

„ვოლფსბურგის" მარცხენა მცველი **რიკარდო როდრიგესი** შესანიშნავ სეზონს ატარებს, რაც ინგლისურმა გრანდებმაც შეამჩნიეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, როდრიგესით „მანჩესტერ იუნაიტედი" და ლონდონის „ჩელსი" დაინტერესდნენ.

ცნობილია, რომ „ჩელსიც" და „იუნაიტედიც" ახალ მარცხენა მცველებს ეძებენ. ლონდონელთა თავკაც **ჟოზე მოურინიოს** ამ პოზიციის გაძლიერება იმის გამო მიაჩნია აუცილებლად, რომ **ეშლი კოული** ბერდება და თანაც, მას ზაფხულში კონტრაქტი უმთავრდება. ანალოგიური მდგომარეობაა მანჩესტერშიც, სადაც **დევიდ მოიესმა პატრის ევრას** ალტერნატივა უნდა იპოვნოს. როგორც ირკვევა, სწორედ ამიტომ დაადგეს მოურინიომ და მოიესმა თვალი შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელს, რომელიც ბუნდესლიგაში ბრწყინავს. 21 წლის როდრიგესის მრჩეველმა **ჯანლუკა დი დომენიკომ** ინგლისურ პრესას განუცხადა, რომ მისი კლიენტი „ვოლფსბურგიდან" წასვლას მინიმუმ ზაფხულამდე არ გეგმავს.

*„ტრანსფერი ზაფხულამდე თითქმის გამორიცხულია, რადგან „ვოლფსბურგს" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება უნდა და წამყვან ფეხბურთელს არ გაყიდის!"* - უთქვამს დი დომენიკოს. როდრიგესს „ვოლფსბურგთან" ხელშეკრულება 2016 წლამდე აქვს გაფორმებული.

# ბრაუნშვაიგში სომეხი ისინჯება



გევორგ ლაზარიანი

ბუნდესლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბრაუნშვაიგში" 25 წლის სომეხი ფეხბურთელი **გევორგ ლაზარიანი** ისინჯება. ეს უკანასკნელი შემტევი ნახევარმცველია და წლებია, სომხეთის ნაკრებში თამაშობს. ლაზარიანი დონეცკის „მეტალურგის" საკუთრებაა და ამჟამად ყაზახეთში, კერძოდ ყარაღანდის „შახტიორშია" განათხოვრებული.

*„ლაზარიანი შაბათს ჩამოვიდა და ჩვენ მას სამი დღის განმავლობაში დავაკვირდებით. თუ გევორგი ჩვენს სპორტულ და პიროვნულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მას გუნდში ავიყვანთ და შეკრებაზე ვიახლებთ,"* - ეს „ბრაუნშვაიგის" მენეჯერ **მარკ არნოლდის** სიტყვებია. ლაზარიანი სიმაღლეში 1.80 მეტრია და ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე ექსივე შეხვედრაში ითამაშა.

აქვე გეტყვით, რომ ბრაუნშვაიგელებმა 20 წლის ნორვეგიელი თავდამსხმელი **ჰავარდ ნილსენი** წლინახევრით ინათხოვრეს. ეს უკანასკნელი ავსტრიული „ზალცბურგის" საკუთრებაა.

ამბები



რაული

### რაული რეალს: უფრთხილდით შალკეს!

„რეალის" ლეგენდარულმა თავდამსხმელმა **რაულმა** მადრიდულ გრანდს „შალკესთან" მიმართებაში სიფრთხილისკენ მოუწოდა - როგორც იცით, „რეალი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გელზენკირხენულ კლუბს ხვდება, თავად რაული კი, მადრიდული გრანდის შემდეგ სწორედ „შალკეში" თამაშობდა.

*„დღევანდელი „რეალი" შარშანდელზე და შარშანწინდელზე ძლიერია, მაგრამ „შალკესთან" უდიდესი სიფრთხილეა საჭირო, რადგან გერმანული კლუბები ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან. „შალკეც" ყოველთვის ბოლომდე იბრძვის და თანაც, ძალიან კარგი გუნდია,"* - განაცხადა რაულმა სამეფო გუნდის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში. შეგახსენებთ, რომ რაული „შალკეში" 2010-დან 2012 წლამდე თამაშობდა და გელზენკირხენული კლუბის ფორმით 28 გოლი გაიტანა.

### აუგსბურგი ესვაინით გაძლიერდა

„აუგსბურგმა" ახალი წლის პირველსავე ვარჯიშზე საკმაოდ საინტერესო ახალწვეული წარადგინა: აუგსბურგელები „ნიურნბერგის" წინახაზელით, **ალექსანდერ ესვაინით** გაძლიერდნენ, რომელსაც 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში წინა ხაზის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. 23 წლის ესვაინს „ნიურნბერგში" ძალიან იშვიათად ათამაშებდნენ. მან ახალ კლუბთან კონტრაქტი 2017 წლამდე გააფორმა. „ბილდის" ინფორმაციით, „აუგსბურგს" ესვაინის ტრანსფერი 250 000 ევრო დაუჯდა.

### შალკე: ჯონსი მიდის, კირხჰოფი დაშავდა!

„შალკეს" ახალწვეული **იან კირხჰოფი**, რომელიც გელზენკირხენულმა კლუბმა მიუნხენის „ბაიერნიდან" დაცვის ხაზის გასაძლიერებლად ინათხოვრა, მეორე ვარჯიშზევე დაშავდა! 23 წლის კირხჰოფმა ტრავმა ახალგაზრდა ფეხბურთელ **მარსელ სობოტკასთან** ორთაბრძოლისას მიიღო და ვარჯიშის გაგრძელება ველარ შეძლო. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია კირხჰოფის ტრავმა. თუ იანი დიდი ხნით დაისვენებს, ეს „შალკესთვის" სერიოზული დარტყმა იქნება.

„შალკე" მეორე წრისთვის ყატარში ემზადება. „ხუმარებს" შეკრებაზე თავისივე სურვილით არ გაჰყვა 32 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი**. ყატარში გუნდთან ერთად არც 20 წლის **იულიან დრაქსლერი** და 30 წლის თავდამსხმელი **კლაას იან ჰუნტელაარი** იმყოფებიან - ორივე ტრავმირებულია.

### მადლუნგი აინტრახტს შეუერთდა

„ვოლფსბურგის" ყოფილი მცველი **ალექსანდერ მადლუნგი**, რომელიც ამ სეზონის პირველ ნახევარში უკლუბოდ იყო, ფრანკფურტის „აინტრახტს" შეუერთდა. 31 წლის ფეხბურთელის „ნიურნბერგში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მერე მისადმი ინტერესი „აინტრახტმაც" გამოიჩინა და მადლუნგმა ფრანკფურტში თამაში ამჯობინა. მისი თქმით, გადაწყვეტილების მიღებისას დიდი როლი ითამაშა „აინტრახტის" მთავარი მწვრთნელის, **არმინ ფეეს** ფაქტორმა, რომელიც მადლუნგს 2009/2010 წლების სეზონში „ვოლფსბურგში" წვრთნიდა და მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

### ლევერკუზენი ორი ახალწვეულით

გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას ბუნდესლიგის მეორეადგილოსანი „ლევერკუზენიც" შეუდგა - „ფარმაცევტებმა" შეკრება პორტუგალიურ ლაგოსში ორი ახალწვეულით დაიწყეს. ესენი არიან: **იულიან ბრანდტი** და **სეონ-ვუუ რიუ**. *„აქ უკვე მესამედ ვიკრიბებით და მოედნები ახალივითაა. ვფიქრობ, ლაგოსი შეკრებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია,"* - ეს „ლევერკუზენის" სპორტული დირექტორის, **რუდი ფიოლერის** სიტყვებია.

„ბაიერის" მთავარმა მწვრთნელმა **სამი ჰიიპიამ** შეკრებაზე ტრავმირებული ფეხბურთელები, **შტეფან რაინარტცი** და **სიდნი სემიც** იახლა - ისინი ჯერ ინდივიდუალურად ვარჯიშობენ, თუმცა რამდენიმე დღეში სრული დატვირთვით ივარჯიშებენ. აღსანიშნავია, რომ ჰიიპიამ შეკრებაზე 23-წლამდელთა გუნდის ნიჭიერი მცველი **მალკოლმ კაკუტალუაც** იახლა და მას საგანგებოდ დააკვირდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XVIII ტური

# ლიდერებმა წელი გამარჯვებით დაიწყეს

## პიცის დებიუტი და მოგებული დერბი

**პრიმერა დივიზიონი** თითქმის ორკვირიანი პაუზის შემდეგ განახლდა. ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ურთიერთშეხვედრის წინ „ატლეტიკოს" და „ბარსელონას" კვლავ თანაბარი ქულები აქვთ. მათი მდევარი მადრიდის „რეალი" კი 2014 წლის პირველ ოფიციალურ შეხვედრას დღეს, ვიგოს „სელტას" წინააღმდეგ გამართავს.

### ატლეტიკოს გაუჭირდა

**დიეგო სიმეონეს** შეგირდებმა ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვეს და დროებით ერთპიროვნულ ლიდერობასაც გამოჰკრეს ხელი, თუმცა „როხიბლანკოს" საკმაოდ გაუჭირდა. „მალაგამ" დედაქალაქელებს ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწია და კინაღამ ქულასაც გამორჩა. **ბერნდ შუსტერმა** თამაში მისთვის უჩვეულო განლაგებით, 5-4-1-ით დაიწყო, რამაც სტუმრებს დიდი პრობლემები შეუქმნა. **დიეგო კოშტას** და **დავიდ ვილიას** ბევრი არაფერი გამოსდიოდათ, შეხვედრის გმირი კი ახალგაზრდა **კოკე** გახდა, რომელმაც 70-ე წუთზე ერთადერთი გოლი გაიტანა. ლა ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო ასისტენტმა სეზონში თავისი მესამე გოლი შეაგდო და საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა.

ამის შემდეგ „ლა როსალედას" ბინადრები წინ წავიდნენ, მაგრამ „ატლეტიკოს" დაცვა გაუვალი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სიმეონემ შუსტერს „უპასუხა" და მოედანზე მეხუთე მცველი **ტობი ალდერვეირელდის** გაიყვანა.

მადრიდელებისთვის ყველაფერი იდეალურად მაინც არ წარმართულა - **ხუანფრანმა** ყვითელი ბარათი მიიღო, რომელიც მისთვის მეხუთე გახლდათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა „ატლეტიკოს" მომდევნო ტურში, პირველი წრის ცენტრალურ შეხვედრაში ვერ დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ 11 იანვარს „ვისენტე კალდერონს" „ბარსელონა" ეწვევა და ლა ლიგის „შემოდგომის ჩემპიონის" ვინაობაც ლიდერების შეხვედრაში გაირკვევა.

აქვე აღვნიშნოთ, რომ სტუმართა განაცხადში იყო, თუმცა არ უთამაშია, გუნდის ჯერჯერობით ერთადერთი ახალწვეულ **ხოსე ერნესტო სოსას**, რომელიც „ატლეტიკომ" ხარკოვის „მეტალისტიდან" სეზონის ბოლომდე იჯარით აიყვანა.

### პიატიდან პიატიმდე

**ხუან ანტონიო პიცის** დებიუტი წარმატებული გამოდგა - „ვალენსიამ" დერბიში „ლევანტეს" მოუგო და ახალი მთავარი მწვრთნელის ხელში პირველი ქულები მოიპოვა. მოგეხსენებათ, პიცი ესპანურ გუნდში „სან ლორენსოდან" გადავიდა, რომელსაც არგენტინის ჩემპიონატი მოაგებინა. 45 წლის მწვრთნელის ყოფილი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **იგნასიო პიატი** გახლავთ, რომელმაც ტორნეო ინისიალში „სან ლორენსოს" ბოლო გოლები გაიტანა. ახალ გუნდში კი პიცის **პაბლო პიატი** დახვდა, ვინც „ლევანტესთან" ანგარიში გახსნა და „ღამურების" გამარჯვებას სათავე დაუდო.

შეხვედრამ მასპინძელთა კოლოსალური უპირატესობით ჩაიარა და მათი გამარჯვებაც აბსოლუტურად ლოგიკური იყო. პიატიმ ანგარიში 42-ე წუთზე გახსნა, მეორე ნახევარში კი თავი **სოფიან ფეგულიმ** გამოიჩინა, ვინც „მარკას" აზრით, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. არგენტინელი სპეციალისტი, რომელმაც მოთამაშის კარიერის დროს ესპანეთის ნაკრებში თამაში არჩია, შეგირდებისასპარეზობით კმაყოფილი იყო:

*„ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან დადებითი შედეგის მიღების გარდა, საკმაოდ კარგი თამაშიც ვაჩვენეთ. მთლიანობაში, შეხვედრამ ჩვენი უპირატესობით ჩაიარა - ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმში იგრძნობოდა, როდესაც მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე ვდომინირებდით. დებიუტი წარმატებული გამოვიდა და იმედი მაქვს, რომ გუნდი ასევე გააგრძელებს,"* - განაცხადა პიციმ თამაშის შემდეგ.

მომდევნო შეხვედრა „ვალენსიას" 8 იანვარს, ესპანეთის თასზე, „ატლეტიკოსთან" ელის. პიციმ დიეგო სიმეონესთან მომავალ დაპირისპირებაზეც ისაუბრა: *„ჩვენი მეტოქე საკმაოდ ძლიერი გუნდია, რომელსაც მომავალ ტურში ურთულესი მატჩი ელის, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. დიეგომ ძალიან კარგი გუნდი ჩამოაყალიბა, რომელიც ყველა ტურნირის ფავორიტია. მიხარია, რომ მასთან დაპირისპირება მომიწევს, რადგან ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენ ერთმანეთს მწვრთნელების რანგში შევხვდებით".*

### სანჩესის პირველი ჰეთთრიქი

როგორც მოსალოდნელი იყო, „ბარსელონამ" „ელჩეს" დიდი ანგარიშით მოუგო და დროებით დაკარგული პირველი ადგილი დაიბრუნა. კატალონიელთა გამარჯვებაში ლომის წილი **ალექსის სანჩესმა** დაიდო, რომელმაც ლა ლიგაში პირველი ჰეთთრიქი შეასრულა და საგოლე მონაგარი 11-მდე გაზარდა. ამ მაჩვენებლით, ის **პედროსთან** ერთად, ვინც თავი გოლით და საგოლე პასით გამოიჩინა, „ბარსას" საუკეთესო ბომბარდირია.

**ხერარდო მარტინომ** ძირითად შემადგენლობაში გაამწესა მომჯობინებული **ვიქტორ ვალდესი**, სამაგიეროდ გუნდის განაცხადში არ ყოფილა **ლიონელ მესი**, ვინც შეიძლება თასზე („ხეტაფესთან") ითამაშოს. სათადარიგოთა სკამზე იყო **ნეიმარი** - ბრაზილიელმა მხოლოდ ბოლო ათი წუთი ითამაშა.




ალექსის სანჩესმა პრიმერაში პირველი ჰეთთრიქი შეასრულა

მარტივი გამარჯვება მოიპოვა „სევილიამაც" - **უნაი ემერის** გუნდმა „ხეტაფეს" მოუგო და დაუმარცხებელი სერია ექვსამდე (5 მოგება, 1 ფრე) გაზარდა. ამ წარმატებული პერიოდის წყალობით, „სევილია" უკვე მეექვსე ადგილზეა, რაც ამ გუნდის პოტენციალის გათვალისწინებით გასაკვირი სულაც არაა. შეხვედრის გმირი კოლუმბიელი **კარლოს ბაკა** გახდა, ვინც გოლის გარდა, ორი საგოლე გადაცემაც გააკეთა.

ბასკურ დერბიში გამარჯვება „სოსიედადმა" მოიპოვა. **არასატეს** შეგირდებმა ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგეს და „ატლეტიკთან" არსებული სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს. ჩემპიონატში თავისი მე-12 გოლი გაიტანა **ანტუან გრიზმანმა**, რომელიც ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზე გადავიდა, ბოლო წამებზე კი თავი ახალგაზრდა **რუბენ პარდომ** გამოიჩინა.

#### მალაგა-ატლეტიკო 0:1

**გოლი:** 0:1 კოკე (70)

**მალაგა (5-4-1):** ვ. კაბალიერო - ხესუს გამესი, სერხიო სანჩესი, ველიგტონი, ანხელერი (77. პ. მორალესი), ანტუნეში - სამუ, ი. კამაჩო, სერხი დარდერი, ელიზეუ (66. სანტა კრუსი) - ხუანმი (65. დუდა)

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - კოკე, ტიაგო, ოლივერ ტორესი (46. ადრიანი), არდა თურანი (62. კ. როდრიგესი) - დიეგო კოშტა, ვილია (84. ალდერვეირელდი)

**გაფრთხილება:** სერხი დარდერი, ანხელერი, სამუ, ანტუნეში - მირანდა, ტიაგო, ხუანფრანი, დიეგო კოშტა, გოდინი, კ. როდრიგესი

**კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 20-15; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 12-9 (3-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 26 911

#### ვალიადოლიდი-ბეტისი 0:0

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დიეგო მარინიო - რუკავინა, მარკ ვალიენტე, ხესუს რუედა, პენია - ა. რუბიო, ვიქტორ პერესი - ომარ რამოსი (74. ოსკარი), ფ. როსი (90. რამა), დ. ლარსონი (83. მანუჩო) - ხავი გერა

**ბეტისი (4-2-3-1):** სარა - ჩიკა, პაულაო, ამაია, დიდაკ ვილა - ლ. რეიესი, მატილია (60. სალვა სევილია) - ხუან კარლოსი, ვერდუ (75. ნონო), რუბენ კასტრო (87. ჩული) - ხორხე მოლინა

**გაფრთხილება:** ა. რუბიო - .

**კუთხური:** 10-6; **ჯარიმა:** 6-10; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 10-6 (3-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 14 178

#### ვალენსია-ლევანტე 2:0

**გოლები:** 1:0 პ. პიატი (42), 2:0 ფეგული (73)

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რ. კოშტა, მატიო, ბერნატი - ორიოლ რომეუ, პარეხო (80. ბანეგა) - ფეგული, ჟონასი, პ. პიატი (74. გუარდადო) - ელდერ პოშტიგა (83. კარტაბია)

**ლევანტე (4-2-3-1):** კ. ნავასი - პედრო ლოპესი, ვინტრა, ელ ადუა, კარაბელასი - სიმაო ჟუნიორი (72. კამარასა), პ. დიოპი - პედრო რიოსი (54. ელ ჟარი), რუბენ გარსია, ივანშიტცი (54. სუმეტრა) - ბარალი

**გაფრთხილება:** რ. კოშტა, მატიო, ბანეგა - სიმაო ჟუნიორი

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 17-24; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 17-7 (5-2); **ბურთის ფლობა:** 70%-30%

**მაყურებელი:** 40 000

#### ალმერია-გრანადა 3:0

**გოლები:** 1:0 დუბარბიერი (14), 2:0 ვერსა (28-პენ), 3:0 ალექს ვიდალი (79)

**ალმერია (4-2-3-1):** ესტებანი - რაფიტა, ტორსილიერი, ტრუხილიო, დუბარბიერი - ვერსა (84. კორონა), აზიზი - ალექს ვიდალი, სორიანო (87. სუსო), ელდერ ბარბოსა - ოსკარ დიასი (71. ზონგო)

**გრანადა (4-3-2-1):** კარნეზისი - ნიომი, დიახატე (52. ბუონანოტე), მაინსი, ფულკიე - ფრან რიკო, იტურა, იებდა (58. რესიო) - პიტი, ბრაჰიმი - ელ-არაბი (46. რიკი)

**გაფრთხილება:** სორიანო, ვერსა, აზიზი - დიახატე, ფულკიე, იებდა

**კუთხური:** 9-9; **ჯარიმა:** 18-10; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 18-6 (8-3); **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 8 692

#### სევილია-ხეტაფე 3:0

**გოლები:** 1:0 ვიტოლო (34), 2:0 ბაკა (55), 3:0 რაკიტიჩი (77)

**სევილია (4-4-2):** ბეტუ - კოკე, ფასიო, კარიკო, ფ. ნავარო - ხ. რეიესი (73. მარინი), მბია (84. ტროხოვსკი), რაკიტიჩი, ვიტოლო - გამეირო (73. კრისტოფორო), ბაკა

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ა. აროიო, ლისანდრო ლოპესი, ალექსისი, ს. ესკუდერო - ბორხა, მოსკერა (61. ლასენი) - პედრო ლეონი, დიეგო კასტრო (57. პ. სარაბია), ლაფიტა - ა. კოლუნგა (70. მარიკა)

**გაფრთხილება:** რაკიტიჩი, ფ. ნავარო - ა. აროიო, ლისანდრო ლოპესი

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 20-9 (7-1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 31 135

#### ბარსელონა-ელჩე 4:0

**გოლები:** 1:0 ა. სანჩესი (7), 2:0 პედრო (16), 3:0 ა. სანჩესი (63), 4:0 ა. სანჩესი (69)

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - მონტოია, ბარტრა, პიკე, ალბა - ა. სონგი, ჩავი (65. სერხი რობერტო), ინიესტა - ა. სანჩესი (74. ტელიო), ფაბრეგასი, პედრო (81. ნეიმარი)

**ელჩე (4-2-3-1):** ტონიო - საპუნარუ (80. მანტეკონი), ბოტია, ლომბანი, ედუ ალბაკარი - კ. სანჩესი (66. ხავი მარკესი), რუბენ პერესი - კარლეს ხილი, აარონ ნიგესი, ფიდელი (61. მანუ დელ მორალი) - ბოაკი

გამოუყენებელი პენალტი: ჩავი (48. ბარსელონა)

**გაფრთხილება:** ალბა, ფაბრეგასი - ბოტია, რუბენ პერესი

**კუთხური:** 1-2; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 13-3 (6-0); **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 64 031

#### ოსასუნა-ესპანიოლი 1:0

**გოლი:** 1:0 სეხუდო (33)

**ოსასუნა (4-2-3-1):** ანდრეს ფერნანდესი - მარკ ბერტრანი, ლოტიე, არიბასი, ორიოლი - პუნიალი, ლოლო - სეხუდო (79. ფ. სილვა), ე. არმენტეროსი (89. ოიერი), დე ლას კუევასი (69. რ. ტორესი) - ორიოლ რიერა

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხავი ლოპესი, კოლოტო, ე. მორენო, კაპდევილა - დავიდ ლოპესი, აბრაჰამი (74. ალექსი) - სტუანი, სერხიო გარსია, სიმაო (62. პიცი) - ჯ. კორდობა

**გაფრთხილება:** ე. არმენტეროსი, პუნიალი, ანდრეს ფერნანდესი - ხავი ლოპესი, ჯ. კორდობა, სიმაო, დავიდ ლოპესი, სტუანი, სერხიო გარსია, პიცი

**კუთხური:** 1-10; **ჯარიმა:** 9-15; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 11-13 (4-3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 11 725

#### სოსიედადი-ბილბაო 2:0

**გოლები:** 1:0 გრიზმანი (43), 2:0 რუბენ პარდო (90)

**სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, ანსოტეგი, ი. მარტინესი, ხოსე ანხელი - ბერგარა, რუბენ პარდო - ველა (86. სეფეროვიჩი), ჩაბი პრიეტო, გრიზმანი (79. გ. კასტრო) - აგირეჩე (69. ელუსტონდო)

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - დე მარკოსი, გურპეგი, ლაპორტი, ბალენსიაგა (60. ირაოლა) - იტურასპე, მიკელ რიკო (74. იბაი გომესი) - სუსაეტა (81. ტოკერო), ანდერ ერერა, მუნიაინი - ადურისი

**გაფრთხილება:** ბერგარა, ელუსტონდო - ბალენსიაგა, მიკელ რიკო, გურპეგი

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 8-13 (4-3); **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 29 785

#### 6 იანვარი

| | |
|---|---|
| რეალი-სელტა | 22:00 |
| ვალეკანო-ვილიარეალი | 01:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 18 | 16 | 1 | 1 | 53-12 | 49 |
| 2. ატლეტიკო | 18 | 16 | 1 | 1 | 47-11 | 49 |
| 3. რეალი | 17 | 13 | 2 | 2 | 49-21 | 41 |
| 4. ბილბაო | 18 | 10 | 3 | 5 | 26-23 | 33 |
| 5. სოსიედადი | 18 | 9 | 5 | 4 | 35-23 | 32 |
| 6. სევილია | 18 | 8 | 5 | 5 | 35-29 | 29 |
| 7. ვილიარეალი | 17 | 8 | 4 | 5 | 27-18 | 28 |
| 8. ვალენსია | 18 | 7 | 2 | 9 | 25-29 | 23 |
| 9. ხეტაფე | 18 | 7 | 2 | 9 | 20-30 | 23 |
| 10. ესპანიოლი | 18 | 6 | 4 | 8 | 22-24 | 22 |
| 11. მალაგა | 18 | 5 | 5 | 8 | 19-23 | 20 |
| 12. ლევანტე | 18 | 5 | 5 | 8 | 17-27 | 20 |
| 13. გრანადა | 18 | 6 | 2 | 10 | 15-25 | 20 |
| 14. ალმერია | 18 | 5 | 4 | 9 | 20-32 | 19 |
| 15. ოსასუნა | 18 | 5 | 3 | 10 | 15-28 | 18 |
| 16. ელჩე | 18 | 4 | 5 | 9 | 16-27 | 17 |
| 17. სელტა | 17 | 4 | 4 | 9 | 21-27 | 16 |
| 18. ვალიადოლიდი | 18 | 3 | 7 | 8 | 21-29 | 16 |
| 19. ვალეკანო | 17 | 4 | 1 | 12 | 16-40 | [illegible] |
| 20. ბეტისი | 18 | 2 | 5 | 11 | 15-36 | 11 |

**ბომბარდირები:** 19 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 18 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 12 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 11 - ხავი გერა (ვალიადოლიდი), პედრო (ბარსელონა), ალექსის სანჩესი (ბარსელონა)

#### მომდევნო ტური

10 იანვარი: გრანადა-ვალიადოლიდი

11 იანვარი: ბილბაო-ალმერია, სელტა-ვალენსია, ატლეტიკო-ბარსელონა, ელჩე-სევილია

12 იანვარი: ხეტაფე-რაიო ვალეკანო, ბეტისი-ოსასუნა, ესპანიოლი-რეალი, ლევანტე-მალაგა

13 იანვარი: ვილიარეალი-სოსიედადი

#### სეგუნდა დივიზიონი. XX ტური

**ნუმანსია-ალავესი 0:2**

**გოლები:** 0:1 იაროშიკი (68), 0:2 ვიგერა (84-პენ)

**საბადელი-რეალი B 3:2**

**გოლები:** 1:0 სურდო (4), 2:0 კოლიანტესი (10), 2:1 დიეგო ლორენტე (18), 3:1 ანტონიო იდალგო (53), 3:2 სურდო (80-საკ. კარში)

**ერკულესი-მირანდესი 1:0**

**გოლი:** 1:0 დავიდ ფერეირო (18)

**მურსია-ტენერიფე 1:2**

**გოლები:** 0:1 არიდანე (10), 1:1 კიკე (27), 1:2 ლუისმი ლორო (43-პენ)

**კორდობა-უელვა 2:0**

**გოლები:** 1:0 ჩისკო ხიმენესი (30), 2:0 არტურო (80)

**ლას პალმასი-მალიორკა 2:2**

**გოლები:** 1:0 მასუდი (22), 2:0 აიტამი (49), 2:1 ალფარო (51), 2:2 ალექს მორენო (68)

**სპორტინგი-სარაგოსა 2:3**

**გოლები:** 0:1 მარტი (3), 1:1 ნაჩო კასესი (34), 2:1 სერხიო ალვარესი (49), 2:2 პაკო მონტანიესი (57), 2:3 სიდონჩა (88)

**გაძევება:** ლუის ერნანდესი (53. სპორტინგი), ივან ერნანდესი (68. სპორტინგი), ნაჩო კასესი (82. სპორტინგი)

**ჟირონა-პონფერადინა 1:1**

**გოლები:** 0:1 ალბერტო (85), 1:1 ფელიპე სანჩონი (90-პენ)

**ალკორკონი-ბარსელონა B 2:2**

**გოლები:** 0:1 დენის სუარესი (25), 1:1 სერხიო პრენდესი (51), 2:1 დანი პაჩეკო (80), 2:2 ადამა ტრაორე (87)

**ხაენი-დეპორტივო 0:0**

**ლუგო-ეიბარი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტივო | 20 | 10 | 5 | 5 | 22-14 | 35 |
| 2. სპორტინგი | 20 | 8 | 8 | 4 | 35-28 | 32 |
| 3. ეიბარი | 20 | 9 | 5 | 6 | 25-18 | 32 |
| 4. უელვა | 20 | 9 | 5 | 6 | 35-31 | 32 |
| 5. ლას პალმასი | 20 | 8 | 6 | 6 | 23-22 | 30 |
| 6. სარაგოსა | 20 | 8 | 5 | 7 | 26-24 | 29 |
| 7. კორდობა | 20 | 8 | 5 | 7 | 24-22 | 29 |
| 8. მალიორკა | 20 | 8 | 5 | 7 | 25-31 | 29 |
| 9. ნუმანსია | 20 | 6 | 10 | 4 | 24-21 | 28 |
| 10. მურსია | 20 | 6 | 9 | 5 | 27-24 | 27 |
| 11. პონფერადინა | 20 | 7 | 6 | 7 | 26-23 | 27 |
| 12. ლუგო | 20 | 7 | 6 | 7 | 23-22 | 27 |
| 13. საბადელი | 20 | 8 | 3 | 9 | 25-26 | 27 |
| 14. ერკულესი | 20 | 7 | 6 | 7 | 25-28 | 27 |
| 15. ტენერიფე | 20 | 7 | 5 | 8 | 20-22 | 26 |
| 16. ალკორკონი | 20 | 6 | 7 | 7 | 17-16 | 25 |
| 17. ხაენი | 20 | 7 | 4 | 9 | 25-26 | 25 |
| 18. ბარსელონა B | 20 | 7 | 3 | 10 | 23-30 | 24 |
| 19. მირანდესი | 20 | 6 | 5 | 9 | 20-25 | 23 |
| 20. ალავესი | 20 | 5 | 7 | 8 | 30-31 | 22 |
| 21. ჟირონა | 20 | 5 | 7 | 8 | 23-28 | 22 |
| 22. რეალი B | 20 | 6 | 2 | 12 | 18-29 | 20 |

**ბომბარდირები:** 15 - შჩეპოვიჩი (სპორტინგი); 13 - ვიგერა (ალავესი); 11 - კიკე (მურსია); 9 - ლინარესი (უელვა), მეხია (ხაენი)

ჩამქრალი ვარსკვლავი

# ფეხბურთმა კიდევ ერთი ლეგენდა დაკარგა



**გუშინ**, 71 წლისა გარდაიცვალა ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე **ეუსებიო**. ლეგენდარული პორტუგალიელის გარდაცვალების მიზეზი ინფარქტი გახდა.

„შავი პანტერა" 1942 წლის 25 იანვარს მოზამბიკში დაიბადა და თამაშიც იქვე დაიწყო. კარიერის დიდი ნაწილი კი ეუსებიომ ლისაბონის „ბენფიკაში" (1960-1975) გაატარა, სადაც ის გუნდის ლეგენდარულმა მწვრთნელმა **ბელა გუტმანმა** მიიყვანა. ლისაბონური გუნდის რიგებში „მეფემ" (ეუსებიოს კიდევ ერთი მეტსახელი) ყველა ტურნირზე 440 მატჩი ჩაატარა და 473 გოლი გაიტანა. 15 სეზონის განმავლობაში, ლეგენდარულმა ფეხბურთელმა „ბენფიკასთან" ერთად პორტუგალიის ჩემპიონის 11 ტიტული მოიპოვა, თასს კი 5-ჯერ დაეუფლა. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ეუსებიო 7-ჯერ (რეკორდი) გახდა, სამჯერ კი ის ჩემპიონთა თასის გოლეადორად მოგვევლინა.

გარდა ამისა, სწორედ მისი დუბლის წყალობით შეძლო 1962 წელს პორტუგალიურმა კლუბმა „რეალის" დამარცხება (5:3) და ჩემპიონთა თასზე ზედიზედ მეორე გამარჯვების მოპოვება.

1965 წელს ეუსებიომ „ოქროს ბურთი" მოიგო და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, ერთი წლის შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა და მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა, მისი პორტუგალია კი მესამე ადგილზე გავიდა, რაც ქვეყნის ისტორიაში დღემდე საუკეთესო შედეგია. 64 შეხვედრაში გატანილი 41 გოლით ეუსებიო დიდი ხნის განმავლობაში პორტუგალიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი იყო, სანამ მას **პედრო პაულეტამ** და **კრიშტიანო რონალდომ** (47-47 გოლი) არ გადაასწრეს.

აშშ-ში და მექსიკაში გატარებული ორი წლის შემდეგ, ეუსებიო ერთი სეზონით პორტუგალიაში დაბრუნდა, „ბეირა მარში" 12 თამაში ჩაატარა და გუნდს სამი გოლით შეეწია. სულ პორტუგალიის პრიმეირა ლიგაში მის ანგარიშზე 319 გოლია, რაც **ფერნანდო პეიროტეოს** (1937-1950 წლები, 331 გოლი) შემდეგ, მეორე შედეგია. კარიერა „შავმა პანტერამ" 1978 წელს, „ნიუ ჯერსი ამერიკანსში" დაასრულა.

ლეგენდის გარდაცვალებას მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. კრიშტიანო რონალდომ, **ჟოზე მოურინიომ, ზეპ ბლატერმა, მიშელ პლატინიმ, ლუიშ ფიგუმ, ბობი ჩარლტონმა** და კიდევ უამრავი სხვა ცნობილმა ადამიანმა დიდი მწუხარება გამოთქვა და საკუთარი პატივისცემა კიდევ ერთხელ გამოხატა.

„ოპერაცია წმინდა იანუარიუსი" ალბათ ბევრს გაქვთ ნანახი. „მე შენთვის ეუსებიოს ვიყიდი," - ეუბნება **ნინო მანფრედის** პერსონაჟი **დუდუ** წმინდა იანუარიუსს. მანამდე კი „სან პაულოზე" მყოფი, **ომარ სივორის** მეხუთე გოლის გატანას სთხოვს. დღეს, ცოცხალი არც ნინო მანფრედია, არც სივორი და აღარც ეუსებიო...

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

იტალია. სერია A. XVIII ტური

# დიდი ნაბიჯი სკუდეტოსკენ

## დღესაც დიდი მატჩია: ლაციო VS ინტერი



მირკო ვუჩინიჩმა რომას მესამე გოლი გაუტანა

### საავარაუდო შემადგენლობები

**ლაციო (4-2-3-1):** მარკეტი - კონკო, დიასი, ბიავა, პერეირინია - გონსალესი, ლედესმა - კანდრევა, ერნანესი, ლულიჩი - კლოზე.

**ინტერი (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი - რანოკია, როლანდო, ჟუან ჟესუსი - ჯონათანი, ალვარესი, კამბიასო, კუზმანოვიჩი, ნაგატომო - გუარინი - პალასიო.

**საშობაო შესვენება დასრულდა და სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაც განახლდა. გუშინ სამი საინტერესო მატჩი გაიმართა, რომელთაგან ერთმა არა თუ იტალიის, მთელი საფეხბურთო ევროპის ყურადღება მიიპყრო. ტურინში ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონატის ლიდერები: „იუვენტუსი“ და „რომა“ წარდგნენ. დღეს კიდევ ერთი სუპერჯახია - ახალი „ლაციო“ „ინტერს“ დაუხვდება.**

### ინტრიგა მხოლოდ პირველ ტაიმში

ცენტრალური მატჩის პირველი ტაიმი მაღალ ტემპში წარიმართა და მეტად სანახაობრივი გამოდგა - ვიხილეთ ორმხრივი იერიშები, სიხიფათო მომენტები და ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობა. აი, მეორე ნახევარში კი ერთი გუნდი დომინირებდა და ეს გუნდი „იუვენტუსი“ გახლდათ. ტურინელებმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გახსნეს ანგარიში, როდესაც **კარლოს ტევესის** დიდებული პასი **არტურო ვიდალმა** შეირგო, მეორე ტაიმის სტარტზე გატანილმა მეორე გოლმა კი თამაში ფაქტობრივად მოკლა - **ანდრეა პირლოს** საჯარიმო **ლეონარდო ბონუჩიმ** დააგვირგვინა და მასპინძელთა უპირატესობა გაარა.

მატჩის დასრულებამდე დაახლოებით 15 წუთი იყო დარჩენილი, როდესაც არბიტრმა მოედნიდან რომაელთა ორი ფეხბურთელი გააძევა და პლუს, ტურინელთა სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი დანიშნა: **დანიელე დე როსი ჯორჯო კიელინისთან** უხეშობისთვის მიაბრძანეს მინვდრიდან, **ლეანდრო კასტანმა** კი კარის ხაზზე ხელით ითამაშა და მსაჯს არც ეს ეპიზოდი გამორჩენია. პენალტი გოლად შეცვლაზე შესულმა **მირკო ვუჩინიჩმა** აქცია და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 3:0.

ამრიგად, „რომამ“ პირველი მარცხი იწვნია სეზონში, „იუვენტუსმა“ კი კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა სკუდეტოსკენ. გუშინდელი გამარჯვების შემდეგ, ჩემპიონატის ლიდერი უშუალო მდევარს მთელი რვა ქულით უსწრებს.

### დღის ინტრიგა

სეზონის პირველი ნახევარი „ლაციომ“ კატასტროფულად განვლო, რამაც გუნდის მთავარი მწვრთნელის შეცვლა განაპირობა. **ვლადიმირ პეტკოვიჩი ედუარდო რეიამ** ჩაანაცვლა, რომელიც 2010-2012 წლებში უკვე წვრთნიდა რომაულ გუნდს. მოკლედ, ახალ წელს „ბიანკოჩელესტე“ სახეცვლილი შეხვდა, რამაც გულშემატკივრებს ახალი იმედები გაუჩინა. რაც შეეხება „ინტერს“, სეზონის პირველი ნახევარი **ვალტერ მაცარის** გუნდმა იმაზე უკეთ განვლო, ვიდრე ბევრს წარმოედგინა - ამ შემადგენლობით, ლიდერთა შორის ყოფნა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა უდავოდ მიღწევაა, რაც მილანურ დერბიში გამარჯვებამ საერთოდ დახატა. მით უფრო საინტერესო იქნება მოახლოებული ჯახი, რომელსაც სატურნირო ცხრილის გადასახედიდანაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს: „ინტერს“ არ სურს ლიდერთა სამეულისგან ჩამორჩენა, „ლაციოს“ კი ერთ-ერთი ბოლო შანსი აქვს, ევროზონას ცოტა მაინც მიუახლოვდეს.

„გაძეტა დელო სპორტი“ იუწყება, რომ **ედუარდო რეია** „ლაციოს“ ტაქტიკას შეუცვლის და 4-5-1-დან გუნდს 4-2-3-1-ზე გადააწყობს; ესეც ერთგვარი 4-5-1-ია, მაგრამ სულ სხვა ყაიდის და ბევრად უფრო შემტევი. ერთადერთი და გამოკვეთილი ფორვარდი **მიროსლავ კლოზე** იქნება, რომელსაც ზურგიდან **ერნანესი, სენად ლულიჩი** და **ანტონიო კანდრევა** დაეხმარებიან. ერთი შეხედვით, რეიას გადაწყვეტილება ლოგიკურია - თითქოს, მის ხელთ არსებული რესურსი ამ სქემას ყველაზე უკეთ მოერგება.

ვალტერ მაცარი არაფერს შეცვლის და ისევ 3-5-1-1-ით დაუპირისპირდება მეტოქეს. წინა ხაზზე **როდრიგო პალასიო** იმოქმედებს, სიღრმიდან კი **ფრედი გუარინი** და კომპანია მიეშველება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 18 | 16 | 1 | 1 | 42-11 | 49 |
| 2. რომა | 18 | 12 | 5 | 1 | 35-10 | 41 |
| 3. ნაპოლი | 17 | 11 | 3 | 3 | 36-20 | 36 |
| 4. ფიორენტინა | 18 | 11 | 3 | 4 | 34-19 | 36 |
| 5. ინტერი | 17 | 8 | 7 | 2 | 37-21 | 31 |
| 6. ვერონა | 17 | 9 | 2 | 6 | 31-26 | 29 |
| 7. ტორინო | 17 | 6 | 7 | 4 | 30-24 | 25 |
| 8. კალიარი | 18 | 4 | 9 | 5 | 18-24 | 21 |
| 9. პარმა | 17 | 4 | 8 | 5 | 23-25 | 20 |
| 10. ჯენოა | 17 | 5 | 5 | 7 | 17-20 | 20 |
| 11. ლაციო | 17 | 5 | 5 | 7 | 22-26 | 20 |
| 12. უდინეზე | 17 | 6 | 2 | 9 | 17-22 | 20 |
| 13. მილანი | 17 | 4 | 7 | 6 | 25-26 | 19 |
| 14. სამპდორია | 17 | 4 | 6 | 7 | 19-25 | 18 |
| 15. ატალანტა | 17 | 5 | 3 | 9 | 18-25 | 18 |
| 16. კიევო | 18 | 4 | 4 | 10 | 13-23 | 16 |
| 17. ბოლონია | 17 | 3 | 6 | 8 | 17-31 | 15 |
| 18. სასუოლო | 17 | 3 | 5 | 9 | 17-36 | 14 |
| 19. ლივორნო | 18 | 3 | 4 | 11 | 16-30 | 13 |
| 20. კატანია | 17 | 2 | 4 | 11 | 10-32 | 10 |

**ბომბარდირები:** 14 - როსი (ფიორენტინა); 11 - ტევესი (იუვენტუსი); 10 - პალასიო (ინტერი); 9 - ჩერჩი (ტორინო), იგუაინი (ნაპოლი).

### სერია C1 A

ალბინოლეფე-სავონა 2:3, კარარეზე-სან მარინო 4:4, კომო-ენტელა 0:0, კრემონეზე-პროპატრია 1:0, პავია-ვიჩენცა 0:1, პრო ვერჩელი-ლუმეცანე 1:0, რეჯანა-სუდტიროლი 1:2, ვენეცია-ფერალპიზალო 0:1.

### სერია C1 B

ლეჩე-სალერნიტანა 2:1, ასკოლი-ფროზინონე 0:1, გროსეტო-პონტედერა 2:2, პაგანეზე-ბენევენტო 1:1, პერუჯა-ნოჩერინა 2:1, პიზა-ბარლეტა 2:0, პრატო-ლაკვილა 0:0, ვიარეჯო-კატანძარო 1:1.

### კიევო-კალიარი 0:0

**კიევო (3-5-2):** პუჯონი - ფრეი, დაინელი, ცეზარი - სარდო (57. სესტუ), რიგონი, ჰეტემაი, ბენტივოლიო (82. რადოვანოვიჩი), დრამე - თერეუ, პელისიერი (69. პალოსკი).

**კალიარი (4-3-1-2):** ადანი - პიზანო, როსეტინი, ასტორი, მურუ - ეკდალი (77. დესენა), ნაინგოლანი, კონტი - კოსუ (73. კაბრერა) - საუ (63. იბარბო), პინილია.

**გაფრთხილება:** ცეზარი, რიგონი, პალოსკი - ასტორი, კონტი.

**კუთხური:** 1-1; **ჯარიმა:** 18-23; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 1-4 (0-1); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 10 000

### ფიორენტინა-ლივორნო 1:0

**გოლი:** 1:0 გონსალო (66).

**ფიორენტინა (3-5-2):** ნეტო - რონკალია, გონსალო, სავიჩი - კუადრადო, აკვილანი, პისარო, ბორხა ვალერო (81. ამბროზინი), ვარგასი - ილიჩიჩი (62. ხოაკინი), როსი (71. მატოსი).

**ლივორნო (5-4-1):** ბარდი - ჩეკერინი (84. ემეგარა), მბაიე, რინაუდო, ვალენტინი, სკატარელა - ბიაჯანტი (90. დუნკანი), ლუჩი, ბენასი (89. სილიგარდი), გრეკო - პაულინიო.

**გაფრთხილება:** გონსალო, კუადრადო, აკვილანი, ილიჩიჩი - რინაუდო, ვალენტინი, სკატარელა, ლუჩი, პაულინიო.

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15-7 (7-3); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 30 000

### იუვენტუსი-რომა 3:0

**გოლები:** 1:0 ვიდალი (17), 2:0 ბონუჩი (48), 3:0 ვუჩინიჩი (77).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი, ვიდალი (79. მარკიზიო), პოგბა, პირლო, ასამოა - ტევესი (60. ვუჩინიჩი), ლორენტე (81. კვალიარელა).

**რომა (4-2-3-1):** დე სანქტისი - მაიკონი, კასტანი, ბენატია, დოდო (73. ტოროსიდისი) - დე როსი, პიანიჩი (55. დესტრო), სტროტმანი - ლიაიჩი, ჟერვინიო, ტოტი (73. ფლორენცი).

**გაფრთხილება:** ბარცალი, კიელინი, ტევესი - ჟერვინიო, ლიაიჩი.

**გაძევება:** დე როსი (75. რომა), კასტანი (76. რომა).

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 8-7 (5-4); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 41 000

### 6 იანვარი

### ნაპოლი-სამპდორია 15.30

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.

**ტრავმა:** ცუნიგა, მესტო, რეინა, ბერამი - ობიანგი, რენანი, რეჯინი, სორიანო.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-2-2 | 2-3-1 |
| **ურთიერთშეხვედრები** | |
| **სულ 26 თამაში: +12=7-7, (33-27)** | |

### მილანი-ატალანტა 18.00

**დისკვალიფიკაცია:** მუნტარი (მილანი).

**ტრავმა:** ელ შაარავი, ბირსა, აბატე, კონსტანტი - სკალონი, ლუკინი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-4-1 | 1-2-3 |
| **ურთიერთშეხვედრები** | |
| **სულ 28 თამაში: +17=7-4, (48-21)** | |

### კატანია-ბოლონია 18.00

**დისკვალიფიკაცია:** გარიჩი, დიამანტი (ბოლონია).

**ტრავმა:** ალმირონი, ბელუში, საბალეტა - სორენსენი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-1-4 | 1-2-3 |
| **ურთიერთშეხვედრები** | |
| **სულ 12 თამაში: +2=3-7, (8-18)** | |

### ჯენოა-სასუოლო 18.00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.

**ტრავმა:** პორტანოვა, სანტანა, კუჩკა, გამბერინი - ტერანოვა, ალექსე, აჩერბი, მაზუჩი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-3-2 | 1-2-3 |
| **ურთიერთშეხვედრები** | |
| **სულ 0 თამაში: +0=0-0, (0-0)** | |

### პარმა-ტორინო 18.00

**დისკვალიფიკაცია:** გობი - ჟილე.

**ტრავმა:** პავარინი, გალოპა, გარგანო, მუნარი - ლარონდო, ბოვო, ელ ქადური.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-5-0 | 4-1-1 |
| **ურთიერთშეხვედრები** | |
| **სულ 18 თამაში: +12=4-2, (38-15)** | |

### უდინეზე-ვერონა 18.00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.

**ტრავმა:** მურიელი, ბენუსი - ჩირილიანო.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-1-3 | 2-1-3 |
| **ურთიერთშეხვედრები** | |
| **სულ 8 თამაში: +3=3-2, (15-12)** | |

### ლაციო-ინტერი 21.30

**დისკვალიფიკაცია:** მაური - კამპანიარო.

**ტრავმა:** კავანდა, რადუ - კივუ, მარიგა, ტაიდერი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-2-3 | 2-3-1 |
| **ურთიერთშეხვედრები** | |
| **სულ 46 თამაში: +15=18-13, (63-59)** | |

## ამბები


დომენიკო კრიშიტოს იტალიაში დაბრუნება სურს

### კრიშიტო, პრიორიტეტული სამიზნე

„ნაპოლის“ პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** არაერთხელ განაცხადა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გუნდის გვარიანად გაძლიერებას აპირებს. ბოლო დღეებში, აქტიურად ვრცელდება ცნობები, რომ ნეაპოლელთა პრიორიტეტული სამიზნე „ზენიტის“ მარცხენა მცველი **დომენიკო კრიშიტოა**, რომელმაც ლიად გამოხატა იტალიაში დაბრუნების სურვილი.

ნეაპოლელებს დაცვის მარცხენა ფრთის გაძლიერება სურთ და ამ მიზნით, „ჯენოადან“ **ლუკა ანტონელის** გადაბირებას აპირებდნენ, მაგრამ კრიშიტოს განცხადების შემდეგ, გეგმები შეცვალეს. „გაძეტას“ მტკიცებით, სამხრეთელები მზად არიან 27 წლის უკანახაზელის სანაცვლოდ, რუსებს 16 მილიონი ევრო გადაუხადონ.

### ჰონდა: მილანი ახდენილი ოცნებაა

ზამთრის მთავარი ტრანსფერები წინ გველის, მაგრამ ჯერჯერობით, ყველაზე მეტ ინტერესს და ყურადღებას **კეისუკე ჰონდას** „მილანში“ გადაბარგება იწვევს. 27 წლის იაპონელის „როსონერიში“ გადასვლის ამბავი დიდი ხნის წინ გადაწყდა და მის იტალიაში ჩასვლას მოუთმენლად ელოდნენ. როგორც „მილანის“ მესვეურებმა განაცხადეს, ჰონდას მაისურები ბაზარზე მხოლოდ 2 დღის გატანილი იყო, როდესაც 1000 ეგზემპლარი გაიყიდა. მოკლედ, მილანში ჰონდამანიაა და ამ ფეხბურთელისგან ბევრს ელოდებიან. თავად ფეხბურთელმა მოკლე კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ „როსონერიში“ გადასვლა მისი ახდენილი ოცნებაა:

*„ყოველთვის მინდოდა, რომ „მილანში“ მეთამაშა და ეს ოცნება ამიხდა კიდეც. ვიცი, რომ ჩემგან ბევრს ელიან და ყველაფერს გავაკეთებ, რომ გულშემატკივართა იმედები გავამართლო. იტალიაში თამაში რომ განსაკუთრებულად რთულია, ეს ბევრისგან მსმენია, რაც სტიმულს მაძლევს, საკუთარ თავზე მეტი ვიმუშაო. იმედი მაქვს, ძირითად შემადგენლობაში დავიმკვიდრებ ადგილს და გუნდს დიდ სარგებელს მოვუტან“.*

ჰონდას „მილანში“ გადაბარგებას იაპონიის ნაკრების იტალიელი თავკაცი **ალბერტო ძაკერონი** გამოეხმაურა და განაცხადა, რომ კეისუკე დიდი ხანია მომწიფდა ტოპ ჩემპიონატში საასპარეზოდ - ძაკერონის თქმით, ჰონდას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ „მილანის“ ერთ-ერთი ლიდერი გახდეს.

ჰონდას პრეზენტაცია მილანში 8 იანვარს იგეგმება, მისი დებიუტი კი 12 იანვარს, „სასუოლო“-“მილანის“ შეხვედრაში შედგება.

### ვეტერანთა რჩევები პოგბას

სატრანსფერო ფანჯრის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა **პოლ პოგბას** „იუვენტუსიდან“ წასვლა-არწასვლის თემაა. 20 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ, ინგლისური გრანდები დიდძალ თანხას იხდიან და როგორც ტურინელები, ისე თავად ფეხბურთელი, დიდი ცდუნების წინაშე დგანან. ჯერჯერობით, რთული სათქმელია როგორ დასრულდება პოგბას სატრანსფერო ისტორია, მაგრამ ვეტერანი ფეხბურთელები ახალგაზრდა ფრანგს „იუვეში“ დარჩენისკენ მოუწოდებენ. სწორედ დარჩენა ურჩია პოლს **ალესანდრო დელ პიერომ**, ვისაც კიდევ ერთმა ექსიუვენტინომ **დავიდ ტრეზეგემაც** მიბაძა:

*„პოგბა აუცილებლად უნდა დარჩეს ტურინში, რადგან ყველა პირობა აქვს შექმნილი საკუთარი შესაძლებლობების წარმოსაჩენად. „იუვეში“ არა თუ საკმარისი სათამაშო პრაქტიკა აქვს, გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლება და არ მესმის, რატომ უნდა უნდოდეს სხვა გუნდში გადასვლა. იმედი მაქვს, თავად ფეხბურთელი სწორედ „ბიანკონერიში“ ამჯობინებს კარიერის გაგრძელებას“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**


იტალიელმა ჟურნალისტებმა კეისუკე ჰონდა უკვე გამოაწყვეს „მილანის“ მაისურით

# სპორტული წლის კალენდარი

## იანვარი

4-12 **დარტსი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ლეიკსაიდი. ბრიტანეთი
5-18 **რალი-რეიდი.** დაკარი 2014
5 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. ბორმიო. იტალია
6 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. ბორმიო. იტალია
6-12 **ჩოგბურთი.** ATP. სიდნეი. ავსტრალია
6-12 **ჩოგბურთი.** ATP. ოკლენდი. ზელანდია
6-12 **ჩოგბურთი.** WTA. სიდნეი. ავსტრალია
6-12 **ჩოგბურთი.** WTA. ჰობარტი. ავსტრალია
7-9 **ფეხბურთი.** ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები *(ბარსელონა-ხეტაფე, ბეტისი-ბილბაო, რეალი-ოსასუნა, სოსიედადი-ვილიარეალი, ვალენსია-ატლეტიკო, რასინგი-ალმერია, რაიო-ლევანტე, ალკორკონი-ესპანიოლი)*
8-15 **ფეხბურთი.** იტალიის თასი. 1/8 ფინალი *(ფიორენტინა-კიევო (8), რომა-სამპდორია (9), უდინეზე-ინტერი (9), ლაციო-პარმა (14), კატანია-სიენა (15), მილანი-სპეცია (15), ნაპოლი-ატალანტა (15).*
9-10 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. II ტური
11-12 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. ადელბოდენი. შვეიცარია
11-12 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. ალტენმარკი. ავსტრია
12-26 **ხელბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. კაცები. დანია

| A ჯგუფი | B ჯგუფი | C ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|---|---|
| ავსტრია | ესპანეთი | საფრანგეთი | ბელარუსი |
| დანია | უნგრეთი | პოლონეთი | ხორვატია |
| მაკედონია | ნორვეგია | რუსეთი | ჩერნოგორია |
| ჩეხეთი | ისლანდია | სერბეთი | შვედეთი |

13 **ფეხბურთი.** ფიფას გალა-დაჯილდოვება. ციურიხი. შვეიცარია
13-19 **ციგურებით სირბილი.** ევროპის ჩემპიონატი. ნორვეგია
13-19 **ფიგურული სრიალი.** ევროპის ჩემპიონატი. უნგრეთი
13-26 **ჩოგბურთი.** ავსტრალიის ღია. მელბურნი
14 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. ფლახაუ. ავსტრია
14-16 **ფეხბურთი.** ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები *(ხეტაფე-ბარსელონა, ბილბაო-ბეტისი, ოსასუნა-რეალი, ვილიარეალი-სოსიედადი, ატლეტიკო-ვალენსია, ალმერია-რასინგი, ლევანტე-რაიო, ესპანიოლი-ალკორკონი)*
15-17 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. III ტური
16-18 **მსოფლიო რალი.** I ეტაპი. მონტე კარლო
17-19 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. ვენგენი. შვეიცარია
17-19 **შორტ-ტრეკი.** ევროპის ჩემპიონატი. გერმანია
18-19 **ციგურებით სირბილი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (სპრინტი). იაპონია
18-19 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. კორტინა დ'ამპეცო. იტალია
20-26 **ბობსლეი.** ევროპის ჩემპიონატი. გერმანია
21-26 **ველოსპორტი.** Tour Down Under. ავსტრალია
21-26 **სკელეტონი.** ევროპის ჩემპიონატი. გერმანია
21 **ფეხბურთი.** იტალიის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები
22 **ფეხბურთი.** ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები
23-24 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. IV ტური
24-26 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. კიტცბუელი. ავსტრია
25-26 **ავტოსპორტი.** დაიტონას 24 საათი. აშშ
25-26 **ციგაობა.** ევროპის ჩემპიონატი. ავსტრია
25-26 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. გარმიში. გერმანია
27-3 თებერვალი **ჩოგბურთი.** WTA. პარიზი. საფრანგეთი
27-3 თებერვალი **ჩოგბურთი.** WTA. პატაია. ტაილანდი
27-4 თებერვალი **ბიატლონი.** ევროპის ჩემპიონატი. ჩეხეთი
28 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. შლადმინგი. ავსტრია
28–8 თებერვალი **ფუტსალი.** ევრო 2014. ბელგია

| A ჯგუფი | B ჯგუფი | C ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|---|---|
| ბელგია | ჰოლანდია | აზერბაიჯანი | ესპანეთი |
| რუმინეთი | პორტუგალია | სლოვენია | ხორვატია |
| უკრაინა | რუსეთი | იტალია | ჩეხეთი |

29 **ფეხბურთი.** იტალიის თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები
29 **ფეხბურთი.** ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები
30-31 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. V ტური
31–2 თებერვალი **ჩოგბურთი.** დევისის თასი. 1/8 ფინალი (*ჩეხეთი-ჰოლანდია, იაპონია-კანადა, გერმანია-ესპანეთი, საფრანგეთი-ავსტრალია, აშშ-ბრიტანეთი, არგენტინა-იტალია, ყაზახეთი-ბელგია, სერბეთი-შვეიცარია*)

ჩეხეთი
ჰოლანდია

იაპონია
კანადა

გერმანია
ესპანეთი

გერმანია
ესპანეთი

აშშ
ბრიტანეთი

არგენტინა
იტალია

ყაზახეთი
ბელგია

სერბეთი
შვეიცარია

## თებერვალი

1 **რაგბი.** ერთა თასი. I ტური (*რუმინეთი-პორტუგალია, ესპანეთი-რუსეთი, საქართველო-ბელგია*)
1-2 **რაგბი.** ექვსი ერი. I ტური (*უელსი-იტალია, საფრანგეთი-ინგლისი, ირლანდია-შოტლანდია*)
1-2 **ველოკროსი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია
1-2 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. გარმიში. გერმანია
1-2 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. მარიბორი. სლოვენია
2 **ამერიკული ფეხბურთი.** სუპერბოული. ისტ რუზერფორდი. აშშ
3-9 **ჩოგბურთი.** ATP. მონპელიე. საფრანგეთი
3-9 **ჩოგბურთი.** ATP. ზაგრები. ხორვატია
3-9 **ჩოგბურთი.** ATP. ვინია დელ მარი. ჩილე
5 **ფეხბურთი.** იტალიის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები
5 **ფეხბურთი.** ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები
5-8 **მსოფლიო რალი.** II ეტაპი. შვედეთი
7-23 **ზამთრის ოლიმპიადა.** სოჭი. რუსეთი
8 **რაგბი.** ერთა თასი. II ტური (*პორტუგალია-საქართველო, რუსეთი-რუმინეთი, ესპანეთი-ბელგია*)
8-9 **რაგბი.** ექვსი ერი. II ტური (*ირლანდია-უელსი, შოტლანდია-ინგლისი, საფრანგეთი-იტალია*)
8-9 **ჩოგბურთი.** ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი (*აშშ-იტალია, ესპანეთი-ჩეხეთი, სლოვაკეთი-გერმანია, ავსტრალია-რუსეთი*)
9-12 **ველოსპორტი.** კატარის ტური
10-16 **ჩოგბურთი.** ATP. როტერდამი. ჰოლანდია
10-16 **ჩოგბურთი.** ATP. მემფისი. აშშ
10-16 **ჩოგბურთი.** ATP. ბუენოს აირესი. არგენტინა
10-16 **ჩოგბურთი.** WTA. დოჰა. კატარი
11-16 **ბადმინტონი.** ევროპის ჩემპიონატი (გუნდური). შვეიცარია
11-12 **ფეხბურთი.** გერმანიის თასი. 1/4 ფინალი (*აინტრახტი-დორტმუნდი, ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი, ლევერკუზენი-კაიზერი, ჰამბურგი-ბაიერნი*)
12 **ფეხბურთი.** იტალიის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები
12 **ფეხბურთი.** ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები
13-14 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. VI ტური
16 **კალათბურთი.** NBA. ყველა ვარსკვლავის მატჩი. ნიუ ორლეანი
17-23 **ჩოგბურთი.** ATP. რიო-დე-ჟანეირო. ბრაზილია
17-23 **ჩოგბურთი.** ATP. მარსელი. საფრანგეთი
17-23 **ჩოგბურთი.** ATP. დელრეი ბიჩი. აშშ
17-23 **ჩოგბურთი.** WTA. დუბაი. საამიროები
17-23 **ჩოგბურთი.** WTA. რიო-დე-ჟანეირო. ბრაზილია
18-19 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები (*მანჩესტერ სიტი-ბარსელონა, ლევერკუზენი-პსჟ, მილანი-ატლეტიკო, არსენალი-ბაიერნი*)
20 **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩები (*ანჟი-გენკი, დნიპრო-ტოტენჰემი, იუვენტუსი-ტრაბზონი, ჩერნომორეცი-ლიონი, ესბერგი-ფიორენტინა, დინამო (კ)-ვალენსია, პაოკ-ბენფიკა, ლიბერეცი-ალკმაარი, ბეტისი-რუბინი, სუონსი-ნაპოლი, მარიბორი-სევილია, პლზენი-შახტარი, ლაციო-ლუდოგორეცი, აიაქსი-ზალცბურგი, მაკაბი (თ-ა)-ბაზელი, პორტუ-აინტრახტი*)
20-21 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. VII ტური
22 **რაგბი.** ერთა თასი. III ტური (*ბელგია-პორტუგალია, საქართველო-რუსეთი, რუმინეთი-ესპანეთი*)
21-22 **რაგბი.** ექვსი ერი. III ტური (*უელსი-საფრანგეთი, იტალია-შოტლანდია, ინგლისი-ირლანდია*)
23 **ფეხბურთი.** ევრო 2016-ის შესარჩევი ტურნირის წილისყრა
23 **მძლეოსნობა.** ტოკიოს მარათონი. იაპონია
24-2 მარტი **ჩოგბურთი.** ATP. დუბაი. საამიროები
24-2 მარტი **ჩოგბურთი.** ATP. აკაპულკო. მექსიკა
24-2 მარტი **ჩოგბურთი.** ATP. სან პაულუ. ბრაზილია
24-2 მარტი **ჩოგბურთი.** WTA. ფლორიანაპოლისი. ბრაზილია
24-2 მარტი **ჩოგბურთი.** WTA. აკაპულკო. მექსიკა
25-26 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები (*ზენიტი-დორტმუნდი, ოლიმპიაკოსი-მანჩესტერ იუნ, გალათასარაი-ჩელსი, შალკე-რეალი*)
25-2 მარტი **მშვილდოსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი (დარბაზში). საფრანგეთი
26-2 მარტი **ველოსპორტი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (ტრეკი). კოლუმბია
27 **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. II მატჩები (*გენკი-ანჟი, ტოტენჰემი-დნიპრო, ტრაბზონი-იუვენტუსი, ლიონი-ჩერნომორეცი, ფიორენტინა-ესბერგი, ვალენსია-დინამო (კ), ბენფიკა-პაოკ, ალკმაარი-ლიბერეცი, რუბინი-ბეტისი, ნაპოლი-სუონსი, სევილია-მარიბორი, შახტარი-პლზენი, ლუდოგორეცი-ლაციო, ზალცბურგი-აიაქსი, ბაზელი-მაკაბი (თ-ა), აინტრახტი-პორტუ*)
27-28 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. VIII ტური

## მარტი

1-2 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. კვიტფიელი. ნორვეგია
1-2 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. კრან მონტანა. შვეიცარია
3-13 **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ
4 **კალათბურთი.** ევროთასი. 1/8 ფინალი. I მატჩები
5 **ფეხბურთი.** ამხანაგური მატჩები (*გერმანია-ჩილე, რუმინეთი-არგენტინა, ჩეხეთი-ნორვეგია, ესპანეთი-იტალია, საფრანგეთი-ჰოლანდია, ირლანდია-სერბეთი, ინგლისი-დანია, ავსტრია-ურუგვაი, ბელგია-კოტ დ'ივუარი, ისრაელი-სლოვაკეთი, ს. აფრიკა-ბრაზილია*)
6-7 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. IX ტური
6-19 **ჩოგბურთი.** WTA. ინდიან უელსი. აშშ
6-9 **მსოფლიო რალი.** III ეტაპი. მექსიკა
7-16 **ზამთრის პარალიმპიადა.** სოჭი. რუსეთი
7-18 **სამხრეთ ამერიკის თამაშები.** ჩილე
7-9 **სნოუბორდი.** ევროპის ჩემპიონატი. ფინეთი
7-9 **მძლეოსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი (დარბაზში). პოლონეთი
7-8 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. არე. შვედეთი
8 **რაგბი.** ერთა თასი. IV ტური (*ესპანეთი-საქართველო, რუსეთი-პორტუგალია, რუმინეთი-ბელგია*)
8-9 **რაგბი.** ექვსი ერი. IV ტური (*ირლანდია-იტალია, შოტლანდია-საფრანგეთი, ინგლისი-უელსი*)
8-9 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. კრანსკა გორა. სლოვენია
9-16 **ველოსპორტი.** პარიზი-ნიცა. საფრანგეთი
11-12 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩები (*ატლეტიკო-მილანი, ბაიერნი-არსენალი, ბარსელონა-მანჩესტერ სიტი, პსჟ-ლევერკუზენი*)
12 **კალათბურთი.** ევროთასი. 1/8 ფინალი. II მატჩები
12-16 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. ლენცერჰაიდი. შვეიცარია
12-16 **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. ლენცერჰაიდი. შვეიცარია
12-18 **ველოსპორტი.** ტირენო ადრიატიკო. იტალია
13 **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები
13-14 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. X ტური
15 **რაგბი.** ერთა თასი. V ტური (*საქართველო-რუმინეთი, პორტუგალია-ესპანეთი, ბელგია-რუსეთი*)
15 **რაგბი.** ექვსი ერი. V ტური (*იტალია-ინგლისი, უელსი-შოტლანდია, საფრანგეთი-ირლანდია*)
15-16 **ფრენბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ქალები. "ოთხთა ფინალი". ბაქო. აზერბაიჯანი
15-23 **ქერლინგი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. კანადა
16 **ფორმულა 1.** I ეტაპი. ავსტრალიის გრანპრი. მელბურნი
17-29 **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. მაიამი. აშშ
18-19 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩები (*ჩელსი-გალათასარაი, რეალი-შალკე, დორტმუნდი-ზენიტი, მანჩესტერ იუნ-ოლიმპიაკოსი*)
18 **კალათბურთი.** ევროთასი. 1/4 ფინალი. I მატჩები
19-31 **ჩოგბურთი.** WTA. მაიამი. აშშ
20 **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩები
20-21 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. XI ტური
21 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის წილისყრა
21 **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალის წილისყრა
21-23 **ციგურებით სირბილი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია
22-23 **ფრენბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. კაცები. "ოთხთა ფინალი". ანკარა. თურქეთი
23 **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. I ეტაპი. კატარი
23 **ველოსპორტი.** მილანი-სან რემო. იტალია
24-30 **ფიგურული სრიალი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია
26 **კალათბურთი.** ევროთასი. 1/4 ფინალი. II მატჩები
27-28 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. XII ტური
29-6 აპრილი **ქერლინგი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჩინეთი
30 **ფორმულა 1.** II ეტაპი. მალაიზიის გრანპრი. კუალა ლუმპური
30 **ველოსპორტი.** გენტი-ვაველგემი. ბელგია
31-6 აპრილი **ჩოგბურთი.** WTA. ჩარლსტონი. აშშ
31-6 აპრილი **ჩოგბურთი.** WTA. მონტერეი. მექსიკა

## აპრილი

1 **კალათბურთი.** ევროთასი. 1/2 ფინალი. I მატჩები
1-2 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები
1-6 **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონატი. ფინეთი
1-6 **თავისუფალი ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონატი. ფინეთი
3 **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები
3-4 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. XIII ტური
3-6 **მსოფლიო რალი.** IV ეტაპი. პორტუგალია
4-6 **ჩოგბურთი.** დევისის თასი. 1/4 ფინალი
5-6 **რაგბი.** ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი
6 **ფორმულა 1.** III ეტაპი. ბაჰრეინის გრანპრი. სახირი
6 **მძლეოსნობა.** პარიზის მარათონი. საფრანგეთი
6 **ველოსპორტი.** ფლანდრიის ტური. ბელგია
6 **ნიჩბოსნობა.** კემბრიჯის და ოქსფორდის უნივერსიტეტების რეგატა. ლონდონი
7-13 **ბატუტზე ხტომა.** ევროპის ჩემპიონატი. პორტუგალია
7-13 **ჩოგბურთი.** ATP. კასაბლანკა. მაროკო
7-13 **ჩოგბურთი.** ATP. ჰიუსტონი. აშშ
7-13 **ჩოგბურთი.** WTA. კატოვიცე. პოლონეთი
7-13 **ჩოგბურთი.** WTA. ბოგოტა. კოლუმბია
8-9 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩები
9 **კალათბურთი.** ევროთასი. 1/2 ფინალი. II მატჩები
10 **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩები
10-11 **კალათბურთი.** ევროლიგა. TOP16. XIV ტური
10-13 **გოლფი.** Masters. აუგუსტა. აშშ
11 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალის წილისყრა
11 **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/2 ფინალის წილისყრა
11-13 **კალათბურთი.** ევროლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი
13 **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. II ეტაპი. აშშ
13 **ველოსპორტი.** პარიზი-რუბე. საფრანგეთი
13 **მძლეოსნობა.** ლონდონის მარათონი. ბრიტანეთი
13 **კალათბურთი.** NHL რეგულარული ჩემპიონატის დასასრული
14-20 **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. მონტე კარლო
14-20 **ჩოგბურთი.** WTA. კუალა ლუმპური. მალაიზია
15-25 **კალათბურთი.** ევროლიგა. 1/4 ფინალი (სამ მოგებამდე)
16 **კალათბურთი.** NBA. რეგულარული ჩემპიონატის დასასრული
19 **ფეხბურთი.** ესპანეთის თასი. ფინალი
19-20 **ჩოგბურთი.** ფედერაციის თასი. 1/2 ფინალი
20 **ფორმულა 1.** IV ეტაპი. ჩინეთის გრანპრი. შანხაი
20 **ველოსპორტი.** ამსტელ გოლდ რეისი. ჰოლანდია
20-5 მაისი **სნუკერი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი
21 **მძლეოსნობა.** ბოსტონის მარათონი. აშშ
21-27 **ჩოგბურთი.** ATP. ბარსელონა. ესპანეთი
21-27 **ჩოგბურთი.** ATP. ბუქარესტი. რუმინეთი
21-27 **ჩოგბურთი.** WTA. შტუტგარტი. გერმანია
21-27 **ჩოგბურთი.** WTA. მარაკეში. მაროკო
22-23 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩები
23 **ველოსპორტი.** ფლეშ ვალონი. ბელგია
23-27 **ბადმინტონი.** ევროპის ჩემპიონატი. რუსეთი
24 **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩები
24-27 **ძიუდო.** ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი
25-27 **კალათბურთი.** ევროჩელენჯი. ოთხთა ფინალი
25-27 **მინი-ფეხბურთი.** ფუტსალის თასი. ოთხთა ფინალი. ბაქო. აზერბაიჯანი
26-27 **რაგბი.** ჰაინეკენის თასი. 1/2 ფინალი
27 **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. III ეტაპი. არგენტინა
27 **ველოსპორტი.** ლიეჟ-ბასტონ-ლიეჟი. ბელგია
27-4 მაისი **ველოსპორტი.** თურქეთის ტური
28-4 მაისი **ჩოგბურთი.** ATP. ეშტორილი. პორტუგალია
28-4 მაისი **ჩოგბურთი.** ATP. მიუნხენი. გერმანია
28-4 მაისი **ჩოგბურთი.** WTA. ოეირაში. პორტუგალია
28-5 მაისი **მაგიდის ჩოგბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (გუნდური). იაპონია
29-30 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. II მატჩები
29-4 მაისი **ველოსპორტი.** რომანდიის ტური. შვეიცარია

## წლის მთავარი მოვლენები

(იანვარი-აპრილი)

რალი-რეიდი დაკარი 2014 (5-18 იანვარი)
ევროპის ჩემპიონატი ხელბურთში (12-26 იანვარი)
ფიფას გალა-დაჯილდოვება (13 იანვარი)
ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია (13-26 იანვარი)
ფუტსალი. ევრო 2014 (28-8 თებერვალი)
რაგბში ერთა თასის სტარტი (1 თებერვალი)
ზამთრის ოლიმპიადა (7-23 თებერვალი)
ამერიკული ფეხბურთი. სუპერბოული (2 თებერვალი)
NBA-ის ყველა ვარსკვლავის მატჩი (16 თებერვალი)
ევრო 2016-ის ჯგუფური ეტაპის წილისყრა (23 თებერვალი)
ფორმულა 1. ჩემპიონატის სტარტი (16 მარტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული წლის კალენდარი

## მაისი

| | |
|---|---|
| 1 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. II მატჩები |
| 1 | **კალათბურთი.** ევროთასი. ფინალი. I მატჩი |
| 1-5 | **კარატე.** ევროპის ჩემპიონატი. ფინეთი |
| 3 | **ფეხბურთი.** იტალიის თასი. ფინალი |
| 3 | **ფეხბურთი.** საფრანგეთის თასი. ფინალი |
| 3-4 | **ხელბურთი.** ევროლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. უნგრეთი |
| 4 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. IV ეტაპი. ესპანეთი |
| 4 | **მძლეოსნობა.** ჰამბურგის მარათონი. გერმანია |
| 5-11 | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი |
| 5-11 | **ჩოგბურთი.** WTA. მადრიდი. ესპანეთი |
| 6-11 | **ფრენბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (კლუბები). კაცები |
| 6-11 | **ფრენბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (კლუბები). ქალები. შვეიცარია |
| 7 | **კალათბურთი.** ევროთასი. ფინალი. II მატჩი |
| 9 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. I ეტაპი. დოჰა. კატარი |
| 9-11 | **მსოფლიო რალი.** V ეტაპი. არგენტინა |
| 9-20 | **ჰოკეი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (კაცები). ბელარუსი |
| 9-21 | **ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. UNDER17. მალტა |
| 9-1 ივნისი | **ველოსპორტი.** ჯირო დ'იტალია |
| 10 | **ფეხბურთი.** გერმანიის ჩემპიონატი. ბოლო ტური |
| 11 | **ფეხბურთი.** ინგლისის ჩემპიონატი. ბოლო ტური |
| 11 | **ფორმულა 1.** V ეტაპი. ესპანეთის გრანპრი. ბარსელონა |
| 11-18 | **ველოსპორტი.** კალიფორნიის ტური. აშშ |
| 12-18 | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. რომი. იტალია |
| 12-18 | **ჩოგბურთი.** WTA. რომი. იტალია |
| 12-25 | **სპორტული ტანვარჯიში.** ევროპის ჩემპიონატი. ბულგარეთი |
| 14 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. ფინალი. ტურინი. იტალია |
| 15-18 | **ტაეკვანდო.** ევროპის ჩემპიონატი. ხარკოვი. უკრაინა |
| 15-19 | **სამბო.** ევროპის ჩემპიონატი. ბუქარესტი. რუმინეთი |
| 16-18 | **კალათბურთი.** ევროლიგა. ოთხთა ფინალი. მილანი. იტალია |
| 17 | **ფეხბურთი.** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბოლო ტური |
| 18 | **ფეხბურთი.** იტალიის ჩემპიონატი. ბოლო ტური |
| 18 | **ფეხბურთი.** ესპანეთის ჩემპიონატი. ბოლო ტური |
| 18 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. V ეტაპი. საფრანგეთი |
| 18 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. II ეტაპი. შანხაი. ჩინეთი |
| 19-25 | **ჩოგბურთი.** ATP. დიუსელდორფი. გერმანია |
| 19-25 | **ჩოგბურთი.** ATP. ნიცა. საფრანგეთი |
| 19-25 | **ჩოგბურთი.** WTA. ნიურნბერგი. გერმანია |
| 19-25 | **ჩოგბურთი.** WTA. სტრასბური. საფრანგეთი |
| 21-25 | **ველოსპორტი.** ნორვეგიის ტური |
| 23-20 ივლისი | **ფრენბურთი.** მსოფლიოს ლიგა |
| 24 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ლისაბონი. პორტუგალია |
| 24 | **რაგბი.** ჰაინეკენის თასი. ფინალი. კარდიფი. უელსი |
| 25 | **ფორმულა 1.** VI ეტაპი. მონაკოს გრანპრი. მონტე კარლო |
| 25-8 ივნისი | **ჩოგბურთი.** როლან გაროსი. პარიზი. საფრანგეთი |
| 26-2 ივნისი | **კიკბოქსინგი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. საბერძნეთი |
| 30-1 ივნისი | **ხელბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ოთხთა ფინალი. გერმანია |
| 30-1 ივნისი | **ნიჩბოსნობა.** ევროპის ჩემპიონატი. სერბეთი |
| 31 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. III ეტაპი. იუჯინი. აშშ |
| 31-15 ივნისი | **ბალახის ჰოკეი.** მსოფლიოს თასი. ჰოლანდია |

## წლის მთავარი მოვლენები

(მაისი-აგვისტო)

**ჩემპიონთა ლიგის ფინალი (24 მაისი)**

**როლან გაროსი (25 მაისი-8 ივნისი)**

**მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში (12-13 ივლისი)**

**უიმბლდონი (23-6 ივლისი)**

**ტურ დე ფრანსი (5-27 ივლისი)**

**აშშ-ის ღია (25-8 სექტემბერი)**

**მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში (30-14 სექტემბერი)**

## ივნისი

| | |
|---|---|
| 1 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. VI ეტაპი. იტალია |
| 2-20 | **რაგბი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. იუნიორები. ახალი ზელანდია |
| 3-8 | **პლაჟის ფრენბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. იტალია |
| 4-7 | **სქვოში.** ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი |
| 4-8 | **ველოსპორტი.** ლუქსემბურგის ტური |
| 5 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. IV ეტაპი. რომი. იტალია |
| 5-8 | **მაუნტინბაიკი.** ევროპის ჩემპიონატი. გერმანია |
| 5-8 | **კანოე (სლალომი).** ევროპის ჩემპიონატი. ავსტრია |
| 6-8 | **მსოფლიო რალი.** VI ეტაპი. იტალია |
| 7 | **რაგბი.** ტესტ-მატჩები *(ზელანდია-ინგლისი, ს. აფრიკა-უელსი, აშშ-შოტლანდია, არგენტინა-ირლანდია)* |
| 7-14 | **ფარიკაობა.** ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი |
| 8 | **ფორმულა 1.** VII ეტაპი. კანადის გრანპრი. მონრეალი |
| 9-15 | **ჩოგბურთი.** ATP. ჰალე. გერმანია |
| 9-15 | **ჩოგბურთი.** ATP. ლონდონი. ბრიტანეთი |
| 9-15 | **ჩოგბურთი.** WTA. ბირმინგემი. ბრიტანეთი |
| 9-15 | **მხატვრული ტანვარჯიში.** ევროპის ჩემპიონატი. აზერბაიჯანი |
| 11 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. V ეტაპი. ოსლო. ნორვეგია |
| 12-13 ივლისი | **ფეხბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრაზილია |
| 12-15 | **გოლფი.** US Open. პინჰარსტი. აშშ |
| 14 | **რაგბი.** ტესტ-მატჩები *(ზელანდია-ინგლისი, ს. აფრიკა-უელსი, კანადა-შოტლანდია, არგენტინა-ირლანდია)* |
| 14 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. VI ეტაპი. ნიუ იორკი. აშშ |
| 14-15 | **ავტოსპორტი.** ლე მანის 24 საათი. საფრანგეთი |
| 14-22 | **ველოსპორტი.** შვეიცარიის ტური |
| 15 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. VII ეტაპი. კატალონია |
| 16-22 | **ჩოგბურთი.** ATP. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია |
| 16-22 | **ჩოგბურთი.** ATP. ისტბურნი. ბრიტანეთი |
| 16-22 | **ჩოგბურთი.** WTA. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია |
| 16-22 | **ჩოგბურთი.** WTA. ისტბურნი. ბრიტანეთი |
| 19-22 | **ტრიატლონი.** ევროპის ჩემპიონატი. ავსტრია |
| 21 | **რაგბი.** ტესტ-მატჩები *(ზელანდია-ინგლისი, არგენტინა-შოტლანდია)* |
| 21-22 | **მძლეოსნობა.** ევროპის გუნდური ჩემპიონატი. გერმანია |
| 22 | **ფორმულა 1.** VIII ეტაპი. ავსტრიის გრანპრი. ცელტვეგი |
| 23-6 ივლისი | ჩოგბურთი. უიმბლდონი. ბრიტანეთი |
| 26 | **კალათბურთი.** NBA-ის დრაფტი |
| 26-7 ივლისი | **ტყვიის სროლა.** ევროპის ჩემპიონატი. უნგრეთი |
| 27-29 | **მსოფლიო რალი.** VII ეტაპი. პოლონეთი |
| 27-6 ივლისი | **კალათბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. U17. საემიროები |
| 28 | **რაგბი.** ტესტ-მატჩები *(ს. აფრიკა-შოტლანდია)* |
| 28 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. VIII ეტაპი. ჰოლანდია |

## წლის მთავარი მოვლენები

(სექტემბერი-დეკემბერი)

**მსოფლიოს ჩემპიონატი ფრენბურთში (3-21 სექტემბერი)**

**2014-15 ჩემპიონთა ლიგის სტარტი (16-17 სექტემბერი)**

**დევისის თასის ფინალი (21-23 ნოემბერი)**

**მსოფლიოს ჩემპიონატი ცურვაში (25 მ) (3-7 დეკემბერი)**

## ივლისი

| | |
|---|---|
| 1-2 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. I საკვ. ეტაპი. I მატჩები |
| 3 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. I საკვ. ეტაპი. I მატჩები |
| 3 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. VII ეტაპი. ლოზანა. შვეიცარია |
| 5 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. VIII ეტაპი. პარიზი. საფრანგეთი |
| 5-27 | **ველოსპორტი.** ტურ დე ფრანსი. საფრანგეთი |
| 6 | **ფორმულა 1.** IX ეტაპი. ბრიტანეთის გრანპრი. სილვერსტოუნი |
| 7-13 | **ჩოგბურთი.** ATP. ბაშტადი. შვედეთი |
| 7-13 | **ჩოგბურთი.** ATP. შტუტგარტი. გერმანია |
| 7-13 | **ჩოგბურთი.** ATP. ნიუპორტი. აშშ |
| 7-13 | **ჩოგბურთი.** WTA. ბუდაპეშტი. უნგრეთი |
| 7-13 | **ჩოგბურთი.** WTA. ბად გაშტაინი. ავსტრია |
| 8-9 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. I საკვ. ეტაპი. II მატჩები |
| 8-20 | **კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. UNDER20. საბერძნეთი |
| 10 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. I საკვ. ეტაპი. II მატჩები |
| 11-12 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. IX ეტაპი. ლონდონი. ბრიტანეთი |
| 11-13 | **კანოე.** ევროპის ჩემპიონატი. გერმანია |
| 13 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. IX ეტაპი. გერმანია |
| 13-26 | **წყალბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. უნგრეთი |
| 14-19 | **სოფტბოლი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჩეხეთი |
| 14-20 | **ჩოგბურთი.** ATP. ჰამბურგი. გერმანია |
| 14-20 | **ჩოგბურთი.** ATP. ბოგოტა. კოლუმბია |
| 14-20 | **ჩოგბურთი.** WTA. ბაშტადი. შვედეთი |
| 14-20 | **ჩოგბურთი.** WTA. სტამბოლი. თურქეთი |
| 15-16 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. II საკვ. ეტაპი. I მატჩები |
| 15-20 | **წყალში ხტომა.** მსოფლიოს თასი. ჩინეთი |
| 17 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. II საკვ. ეტაპი. I მატჩები |
| 17-20 | **გოლფი.** Open Championship. ჰოილეიკი. ბრიტანეთი |
| 18 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. X ეტაპი. მონაკო |
| 19-31 | **ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. UNDER19. უნგრეთი |
| 20 | **ფორმულა 1.** X ეტაპი. გერმანიის გრანპრი. ჰოკენჰაიმი |
| 21-26 | **მშვილდოსნობა.** ევროპის ჩემპიონატი. სომხეთი |
| 21-27 | **ჩოგბურთი.** ATP. გშტაადი. შვეიცარია |
| 21-27 | **ჩოგბურთი.** ATP. ატლანტა. აშშ |
| 21-27 | **ჩოგბურთი.** ATP. უმაგი. ხორვატია |
| 21-27 | **ჩოგბურთი.** WTA. ბაქო. აზერბაიჯანი |
| 22-23 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. II საკვ. ეტაპი. II მატჩები |
| 22-27 | **ველოსპორტი (BMX).** მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია |
| 23-3 აგვისტო | **თანამეგობრობის თამაშები.** შოტლანდია |
| 24 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. II საკვ. ეტაპი. II მატჩები |
| 24-3 აგვისტო | **კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. UNDER18. თურქეთი |
| 25-24 აგვისტო | **ფრენბურთი.** მსოფლიოს გრანპრი |
| 27 | **ფორმულა 1.** XI ეტაპი. უნგრეთის გრანპრი. ბუდაპეშტი |
| 28-3 აგვისტო | **ჩოგბურთი.** ATP. კიტცბუელი. ავსტრია |
| 28-3 აგვისტო | **ჩოგბურთი.** ATP. ვაშინგტონი. აშშ |
| 28-3 აგვისტო | **ჩოგბურთი.** WTA. ვაშინგტონი. აშშ |
| 28-3 აგვისტო | **ჩოგბურთი.** WTA. სტენფორდი. აშშ |
| 29-30 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. III საკვ. ეტაპი. I მატჩები |
| 31 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. III საკვ. ეტაპი. I მატჩები |

## აგვისტო

| | |
|---|---|
| 1-3 | **მსოფლიო რალი.** VIII ეტაპი. ფინეთი |
| 1-17 | **რაგბი.** მსოფლიოს თასი. ქალები. საფრანგეთი |
| 2 | **ველოსპორტი.** სან სებასტიანის კლასიკა. ესპანეთი |
| 3-9 | **ველოსპორტი.** პოლონეთის ტური |
| 4-10 | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. ტორონტო. კანადა |
| 4-10 | **ჩოგბურთი.** WTA. მონრეალი. კანადა |
| 5-6 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. III საკვ. ეტაპი. II მატჩები |
| 5-13 | **ფარიკაობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. რუსეთი |
| 6-10 | **ველოსპორტი.** დანიის ტური |
| 6-10 | **კანოე.** მსოფლიოს ჩემპიონატი. რუსეთი |
| 7 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. III საკვ. ეტაპი. II მატჩები |
| 7-10 | **გოლფი.** US PGA. ლუისვილი. აშშ |
| 10 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. X ეტაპი. აშშ |
| 11-17 | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. ცინცინატი. აშშ |
| 11-17 | **ჩოგბურთი.** WTA. ცინცინატი. აშშ |
| 11-17 | **ველოსპორტი.** Eneco Tour. ბენელუქსი |
| 12 | **ფეხბურთი.** უეფას სუპერთასი. კარდიფი. უელსი |
| 12-17 | **მძლეოსნობა.** ევროპის ჩემპიონატი. ციურიხი. შვეიცარია |
| 12-17 | **წყალბურთი.** მსოფლიოს თასი. ქალები. რუსეთი |
| 13-24 | **ცურვა.** ევროპის ჩემპიონატი. ბერლინი. გერმანია |
| 15-24 | **სოფტბოლი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჰოლანდია |
| 16 | **ფეხბურთი.** ინგლისის ჩემპიონატის სტარტი |
| 16-28 | **ახალგაზრდული ოლიმპიადა.** ჩინეთი |
| 17 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XI ეტაპი. ჩეხეთი |
| 18-24 | **ჩოგბურთი.** ATP. უინსტონ-სალემი. აშშ |
| 18-24 | **ჩოგბურთი.** WTA. ნიუ ჰევენი. აშშ |
| 19-20 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. IV საკვ. ეტაპი. I მატჩები |
| 20-30 | **კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. UNDER16. ავსტრია |
| 21 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. IV საკვ. ეტაპი. I მატჩები |
| 21 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. XI ეტაპი. სტოკჰოლმი. შვედეთი |
| 22-24 | **მსოფლიო რალი.** IX ეტაპი. გერმანია |
| 23-14 სექტემბერი | **ველოსპორტი.** ვუელტა. ესპანეთი |
| 24 | **ფორმულა 1.** XII ეტაპი. ბელგიის გრანპრი. სპა |
| 24 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. XII ეტაპი. ბირმინგემი. ბრიტანეთი |
| 24-31 | **ნიჩბოსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია |
| 25-31 | **ბადმინტონი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. დანია |
| 25-8 სექტემბერი | **ჩოგბურთი.** აშშ-ის ღია. ნიუ იორკი |
| 26-27 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. IV საკვ. ეტაპი. II მატჩები |
| 26-31 | **ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩელიაბინსკი. რუსეთი |
| 28 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. IV საკვ. ეტაპი. II მატჩები |
| 28 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. XIII ეტაპი. ციურიხი. შვეიცარია |
| 30-14 სექტემბერი | **კალათბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ესპანეთი |
| 31 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XII ეტაპი. ბრიტანეთი |

## სექტემბერი

| | |
|---|---|
| 3-21 | **ფრენბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. პოლონეთი |
| 5 | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. XIV ეტაპი. ბრიუსელი. ბელგია |
| 7 | **ფორმულა 1.** XIII ეტაპი. იტალიის გრანპრი. მონცა |
| 8-14 | **თავისუფალი ჭიდაობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ტაშკენტი. უზბეკეთი |
| 8-14 | **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ტაშკენტი. უზბეკეთი |
| 8-14 | **ჩოგბურთი.** WTA. კვებეკი. კანადა |
| 8-14 | **ჩოგბურთი.** WTA. ტაშკენტი. უზბეკეთი |
| 8-14 | **ჩოგბურთი.** WTA. ჰონგ კონგი |
| 8-21 | **აფროსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი |
| 12-14 | **ჩოგბურთი.** დევისის თასი. 1/2 ფინალი |
| 12-14 | **მსოფლიო რალი.** X ეტაპი. ავსტრალია |
| 12-21 | **ბეისბოლი.** ევროპის ჩემპიონატი. ჩეხეთი |
| 14 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XIII ეტაპი. სან მარინო |
| 15-21 | **ჩოგბურთი.** ATP. მეცი. საფრანგეთი |
| 15-21 | **ჩოგბურთი.** ATP. სტ. პეტერბურგი. რუსეთი |
| 15-21 | **ჩოგბურთი.** WTA. გუანგჯოუ. ჩინეთი |
| 15-21 | **ჩოგბურთი.** WTA. სეული. კორეა |
| 15-21 | **ჩოგბურთი.** WTA. ტოკიო. იაპონია |
| 16-17 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური |
| 16-21 | **კანოე (სლალომი).** მსოფლიოს ჩემპიონატი. აშშ |
| 18 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური |
| 19-4 ოქტომბერი | **აზიის თამაშები.** ინჩეონი. კორეა |
| 20-28 | **ველოსპორტი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი |
| 21 | **ფორმულა 1.** XIV ეტაპი. სინგაპურის გრანპრი. სინგაპური |
| 21 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XIV ეტაპი. არაგონი |
| 21-28 | **მხატვრული ტანვარჯიში.** მსოფლიოს ჩემპიონატი. თურქეთი |
| 22-28 | **ჩოგბურთი.** ATP. კუალა ლუმპური. მალაიზია |
| 22-28 | **ჩოგბურთი.** ATP. შენჟენი. ჩინეთი |
| 22-28 | **ჩოგბურთი.** WTA. ვუჰანი. ჩინეთი |
| 23-12 ოქტომბერი | **ფრენბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. იტალია |
| 26-28 | **გოლფი.** რაიდერის თასი. გლენიგლზი. შოტლანდია |
| 27-5 ოქტომბერი | **კალათბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. თურქეთი |
| 28 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XV ეტაპი. ბრაზილია |
| 28 | **მძლეოსნობა.** ბერლინის მარათონი. გერმანია |
| 29-5 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** ATP. პეკინი. ჩინეთი |
| 29-5 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** ATP. ტოკიო. იაპონია |
| 29-5 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** WTA. პეკინი. ჩინეთი |
| 30-1 ოქტომბერი | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური |

## ოქტომბერი

| | |
|---|---|
| 1 | **ველოსპორტი.** მილანი-ტურინი. იტალია |
| 2 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური |
| 3-5 | **მსოფლიო რალი.** XI ეტაპი. საფრანგეთი |
| 5 | **ფორმულა 1.** XV ეტაპი. იაპონიის გრანპრი. სუზუკა |
| 5 | **ველოსპორტი.** ჯირო ლომბარდია. იტალია |
| 3-13 | **სპორტული ტანვარჯიში.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩინეთი |
| 6-12 | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი |
| 6-12 | **ჩოგბურთი.** WTA. ოსაკა. იაპონია |
| 6-12 | **ჩოგბურთი.** WTA. ლინცი. ავსტრია |
| 6-12 | **ჩოგბურთი.** WTA. ტიანჯინი. ჩინეთი |
| 10-14 | **ველოსპორტი.** პეკინის ტური. ჩინეთი |
| 12 | **ფორმულა 1.** XVI ეტაპი. რუსეთის გრანპრი. სოჭი |
| 12 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XVI ეტაპი. იაპონია |
| 12 | **ველოსპორტი.** პარიზი-ტური. საფრანგეთი |
| 13 | **მძლეოსნობა.** ჩიკაგოს მარათონი. აშშ |
| 13-19 | **ჩოგბურთი.** ATP. სტოკჰოლმი. შვედეთი |
| 13-19 | **ჩოგბურთი.** ATP. მოსკოვი. რუსეთი |
| 13-19 | **ჩოგბურთი.** ATP. ვენა. ავსტრია |
| 13-19 | **ჩოგბურთი.** WTA. მოსკოვი. რუსეთი |
| 13-19 | **ჩოგბურთი.** WTA. ლუქსემბურგი |
| 19 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XVII ეტაპი. ავსტრალია |
| 20-26 | **ჩოგბურთი.** ATP. ვალენსია. ესპანეთი |
| 20-26 | **ჩოგბურთი.** ATP. ბაზელი. შვეიცარია |
| 20-26 | **ჩოგბურთი.** WTA. წლის შემაჯამებელი ტურნირი. სინგაპური |
| 21-22 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური |
| 23 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური |
| 24-26 | **მსოფლიო რალი.** XII ეტაპი. კატალონია |
| 26 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XVIII ეტაპი. მალაიზია |
| 27-2 ნოემბერი | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი |
| 27-2 ნოემბერი | **ჩოგბურთი.** WTA. ჩემპიონთა ტურნირი. სოფია. ბულგარეთი |

## ნოემბერი

| | |
|---|---|
| 2 | **ფორმულა 1.** XVII ეტაპი. აშშ-ის გრანპრი. ოსტინი |
| 2 | **მძლეოსნობა.** ნიუ იორკის მარათონი. აშშ |
| 4-5 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური |
| 5-9 | **კარატე.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრემენი. გერმანია |
| 6 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური |
| 6-10 | **სამბო.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ასტანა. ყაზახეთი |
| 8 | **რაგბი.** ტესტ-მატჩები *(ინგლისი-ზელანდია, ირლანდია-ს. აფრიკა, უელსი-ავსტრალია, შოტლანდია-არგენტინა)* |
| 8-9 | **ჩოგბურთი.** ფედერაციის თასი. ფინალი |
| 9 | **ფორმულა 1.** XVIII ეტაპი. ბრაზილიის გრანპრი. სან პაულუ |
| 9 | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XIX ეტაპი. ვალენსია |
| 10-17 | **ჩოგბურთი.** ATP-ის შემაჯამებელი. ლონდონი. ბრიტანეთი |
| 14-16 | **მსოფლიო რალი.** XIII ეტაპი. ბრიტანეთი |
| 15 | **რაგბი.** ტესტ-მატჩები *(ინგლისი-ს. აფრიკა, შოტლანდია-ზელანდია, უელსი-ფიჯი)* |
| 21-23 | **ჩოგბურთი.** დევისის თასი. ფინალი |
| 22 | **რაგბი.** ტესტ-მატჩები *(ინგლისი-სამოა, ირლანდია-ავსტრალია, შოტლანდია-ტონგა, უელსი-ზელანდია)* |
| 23 | **ფორმულა 1.** XIX ეტაპი. აბუ დაბის გრანპრი. იას მარინა |
| 25-26 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური |
| 27 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური |
| 29 | **რაგბი.** ტესტ-მატჩები *(ინგლისი-ავსტრალია, უელსი-ს. აფრიკა)* |
| 29-7 დეკემბერი | **ბალახის ჰოკეი.** Champions Trophy. ქალები. არგენტინა |

## დეკემბერი

| | |
|---|---|
| 3-7 | **ცურვა.** მსოფლიოს ჩემპიონატი (25 მ). დოჰა. კატარი |
| 7-21 | **ხელბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ხორვატია, უნგრეთი |
| 9-10 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური |
| 11 | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური |
| 13-21 | **ბალახის ჰოკეი.** Champions Trophy. კაცები. ინდოეთი |
| დეკემბერი | **ფეხბურთი.** კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი. მაროკო |

გვერდები მოამზადა გია თვალაბეიშვილმა

ინგლისი. პრემიერლიგა. XX ტურის შეჯამება

# არატრადიციული შეჯამება

ობიექტური მიზეზების გამო პრემიერლიგის XX ტურის შეჯამებას არატრადიციული სახით გთავაზობთ. ჩვენი გაზეთის მკითხველი განსხვავებას თვალის ერთი გადავლებით აღმოაჩენს. შესაბამისად, ახსნა-განმარტებებით თავს აღარ შეგაწყენთ.

### სიმბოლური ნაკრები




## ტურის ფაქტები

**სუონსი-სიტი 2:3**

**გოლები:** 0:1 ფერნანდინიო (14), 1:1 ბონი (45+2), 1:2 ი. ტურე (58), 1:3 კოლაროვი (66), 2:3 ბონი (90+1)

„მანჩესტერ სიტიმ“ 15-ჯერ მოახერხა ანგარიშის გახსნა. ასეთივე შედეგი აქვთ „არსენალსა“ და „ლივერპულს“.

**ვილფრიდ ბონის** 6 გოლი აქვს გატანილი - ყველა „ლიბერთი სტედიუმზე“.

„მანჩესტერ სიტიმ“ სტუმრად ზედიზედ მე-8 თამაშში გაუშვა. უკანასკნელი მშრალი მატჩი „ქალაქელებმა“ 14 სექტემბერს სტოკში ითამაშეს (0:0).

**იაია ტურემ** ჩემპიონატში მე-10 გოლი გაიტანა. „სიტის“ ისტორიაში ის პირველი ნახევარმცველია, ვინც ეს ერთ სეზონში მოახერხა.

20 ტურში 57 ბურთი პრემიერლიგის რეკორდია. „ქალაქელებმა“ 2011/12 წლების სეზონში ნაჩვენები საკუთარი შედეგი გააუმჯობესეს 1 ბურთით.

„სიტიმ“ ზედიზედ მეხუთედ მოიგო. ამგვარი რამ პირველად „არსენალმა“ მოახერხა აგვისტო-სექტემბერში.

**არსენალი-კარდიფი 2:0**

**გოლები:** 1:0 ბენდტნერი (88), 2:0 უოლკოტი (90+2)

4 დეკემბრის შემდეგ **ნიკლას ბენდტნერმა** „ემირეიტსზე“ პირველად ითამაშა და ამჯერადაც შეძლო თავის გამოჩენა.

**თეო უოლკოტმა** პრემიერლიგის ბოლო 6 ტურში 5 ბურთი გაიტანა და 2 საგოლე გადაცემა შეასრულა.

„არსენალმა“ „ემირეიტსზე“ გამართულ ბოლო 6 შეხვედრაში 5-ჯერ შეძლო კარის მშრალად შენახვა.

„კარდიფმა“ სტუმრად ჩატარებულ ბოლო 7 შეხვედრაში 2 ქულა მოიპოვა.

**პალასი-ნორვიჩი 1:1**

**გოლები:** 0:1 ჯონსონი (39), 1:1 პანჩეონი (44-პენ)
**გაძევება:** 82 წთ ლეროი ფერი (ნორვიჩი)

**ჯეისონ პანჩეონმა** დაასრულა თითქმის 8-თვიანი მშრალი სერია. უკანასკნელი გოლი მას 12 მაისს „საუთჰემპტონის“ შემადგენლობაში ჰქონდა გატანილი.

„კრისტალ პალასს“ აქამდე ყველა ის თამაში ჰქონდა წაგებული, რომელშიც ანგარიშს მეტოქე ხსნიდა.

„ნორვიჩს“ დედაქალაქში ბოლო 24 შეხვედრაში მხოლოდ 2 მოგება აქვს (7 ფრე, 15 წაგება).

**ფულჰემი-ვესტ ჰემი 2:1**

**გოლები:** 0:1 დიამე (7), 1:1 სიდუელი (32), 2:1 ბერბატოვი (66)
**გაძევება:** 44წთ. ნოლანი (ვესტ ჰემი)

„ფულჰემმა“ მე-6 გოლი გაიტანა კუთხურის გათამაშების შემდეგ. უკეთესი შედეგი მხოლოდ „მანჩესტერ სიტის“ აქვს (7).

პრემიერლიგაში ჩატარებულ 114 ლონდონურ დერბიში „ფულჰემმა“ მხოლოდ 25-ე მოიგო (31 ფრე, 58 წაგება).

**კევინ ნოლანი** მიმდინარე სეზონში უკვე 2-ჯერ გააძევეს. ის მეორე ფეხბურთელი გახდა სანდერლენდელი **ვეს ბრაუნის** შემდეგ, ვინც ეს „მოახერხა“.

„ვესტ ჰემმა“ ბოლო 7 ტურში მხოლოდ 2 ქულა დაიმსახურა.

**ლივერპული-ჰალი 2:0**

**გოლები:** 1:0 აგერი (36), 2:0 სუარესი (50)

„ჰალს“ იანვარში პრემიერლიგის 8 მატჩიდან ჯერ ერთიც არ მოუგია (3 ფრე, 5 წაგება).

**რობი ფაულერის** შემდეგ **ლუის სუარესი** პირველი ლივერპულელია, ვინც ზედიზედ მეორედ 20 ან მეტი ბურთი გაიტანა. ურუგვაელი მესამე „სკაუზერია“, ვისაც პრემიერლიგაში ეს ზღვარი აქვს გადალახული. ფაულერის შემდეგ ეს **ფერნანდო ტორესმა** შეძლო.

სუარესმა მიმდინარე სეზონში „ენფილდზე“ 7-ჯერ ითამაშა და 15-ჯერ გამოიჩინა თავი.

სუარესი პირველი ფეხბურთელია პრემიერლიგაში, ვისაც 20 გოლისთვის 15 მატჩი ეყო. საუკეთესო აქამდე **კევინ ფილიპსი** იყო, ვისაც 1999/2000 წლებში 21 მატჩი დასჭირდა.

„ჰალმა“ მიმდინარე სეზონში პირველად ვერ შეძლო კარის მიმართულებით ზუსტად დაერტყა.

**საუთჰემპტონი-ჩელსი 0:3**

**გოლები:** 0:1 ტორესი (60), 0:2 ვილიანი (71), 0:3 ოსკარი (82)

2012 წლის დეკემბრის შემდეგ „ჩელსის“ არც ერთ თავდამსხმელს ჩემპიონატში სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში გატანილი არ ჰქონდა. სერია ფერნანდო ტორესმა შეწყვიტა.

„საუთჰემპტონმა“ ზედიზედ მე-5 საშინაო შეხვედრაში გაუშვა.

„ჩელსიმ“ ბოლო 10 ტურში 7-ჯერ იმარჯვა, 2 ფრედ ითამაშა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

„ჩელსიმ“ სტუმრად ზედიზედ მე-4 შეხვედრაში შეძლო კარის მშრალად შენახვა.

**სტოკი-ევერტონი 1:1**

**გოლები:** 1:0 ასაიდი (49), 1:1 ბეინსი (90+2-პენ)

**ლეიტონ ბეინსი** ერთადერთი ფეხბურთელია პრემიერლიგაში, ვისაც 10-ზე მეტი პენალტი აქვს დარტყმული და ჯერ ერთიც არ გაუფუჭებია.

**რობერტო მარტინესის** გუნდმა ზედიზედ მე-6 შეხვედრაში გაუშვა თითო გოლი.

„სტოკმა“ 22 ქულიდან 17 (77%) საკუთარ მოედანზე აილო (4 მოგება, 5 ფრე).

**სანდერლენდი-ასტონ ვილა 0:1**

**გოლი:** 0:1 აგბონლაჰორი (15)

**გაბრიელ აგბონლაჰორმა** „სანდერლენდს“ 4 შეხვედრაში 3-ჯერ გაუტანა.

„შავმა კატებმა“ შეწყვიტეს 4 მატჩიანი წაუგებელი სერია (1 მოგება, 3 ფრე), თუმცა 4 მატჩია, „სტედიუმ ოფ ლაითზე“ აღარ მოუგიათ (1 ფრე, 3 წაგება).

**ბრომვიჩი-ნიუკასლი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბერაინო (87-პენ)
**გაძევება:** 62 წთ დებუში (ნიუკასლი)

„ვესტ ბრომვიჩმა“ წერტილი დაუსვა 9-მატჩიან მოუგებელ სერიას (5 ფრე, 4 წაგება).

**საიდო ბერაინომ** კარიერაში პირველად შეძლო ზედიზედ ორ შეხვედრაში გატანა.

**იუნაიტედი-ტოტენჰემი 1:2**

**გოლები:** 0:1 ადებაიორი (34), 0:2 ერიქსენი (66), 1:2 უელბეკი (67)

**ემანუელ ადებაიორმა** „ოლდ ტრეფორდზე“ ზედიზედ მესამე შეხვედრაში გაიტანა.

**კრისტიან ერიქსენმა** ბოლო 3 თამაშში 2-ჯერ გაიტანა და 1 საგოლე გადაცემა გააკეთა.

**დენი უელბეკმა** ბოლო 5 ტურში 5-ჯერ გამოიჩინა თავი.

20-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ „ტოტენჰემმა“ „ოლდ ტრეფორდზე“ ზედიზედ მეორედ იმარჯვა და „ეშმაკებთან“ 4-მატჩიანი წაუგებელი სერიით იწონებს თავს (2 მოგება, 2 ფრე).

20 ტურში 10-ჯერ მოხდა, რომ „იუნაიტედის“ თამაშებში ანგარიშს მეტოქე ხსნიდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 20 | 14 | 3 | 3 | 39-18 | 45 |
| 2. სიტი | 20 | 14 | 2 | 4 | 57-23 | 44 |
| 3. ჩელსი | 20 | 13 | 4 | 3 | 38-19 | 43 |
| 4. ლივერპული | 20 | 12 | 3 | 5 | 46-23 | 39 |
| 5. ევერტონი | 20 | 10 | 8 | 2 | 32-19 | 38 |
| 6. ტოტენჰემი | 20 | 11 | 4 | 5 | 24-25 | 37 |
| 7. იუნაიტედი | 20 | 10 | 4 | 6 | 33-24 | 34 |
| 8. ნიუკასლი | 20 | 10 | 3 | 7 | 29-25 | 33 |
| 9. საუთჰემპტონი | 20 | 7 | 6 | 7 | 26-23 | 27 |
| 10. ჰალი | 20 | 6 | 5 | 9 | 22-25 | 23 |
| 11. ასტონ ვილა | 20 | 6 | 5 | 9 | 19-25 | 23 |
| 12. სტოკი | 20 | 5 | 7 | 8 | 19-30 | 22 |
| 13. სუონსი | 20 | 5 | 6 | 9 | 26-28 | 21 |
| 14. ბრომვიჩი | 20 | 4 | 9 | 7 | 23-27 | 21 |
| 15. ნორვიჩი | 20 | 5 | 5 | 10 | 17-33 | 20 |
| 16. ფულჰემი | 20 | 6 | 1 | 13 | 21-42 | 19 |
| 17. კარდიფი | 20 | 4 | 6 | 10 | 15-32 | 18 |
| 18. პალასი | 20 | 5 | 2 | 13 | 13-29 | 17 |
| 19. ვესტ ჰემი | 20 | 3 | 6 | 11 | 19-30 | 15 |
| 20. სანდერლენდი | 20 | 3 | 5 | 12 | 15-33 | 14 |

### სტატისტიკა XX ტურის შემდეგ

**საუკეთესო ბომბარდირები**

20 - ლუის სუარესი (ლივერპული)
13 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)
10 - ლოიკ რემი (ნიუკასლი), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

**საუკეთესო მეპასეები**

8 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)
7 - მესუთ იოზილი (არსენალი)
6 - სტივენ ჯერარდი (ლივერპული), აარონ რემსი (არსენალი), ხესუს ნავასი (მანჩესტერ სიტი)

**გოლი+პასი**

25 - ლუის სუარესი (ლივერპული) - 20+5
17 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი) - 13+4, უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 9+8
14 - აარონ რემსი (არსენალი) - 8+6

**ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები**

10 - კევინ ნოლანი (ვესტ ჰემი)
9 - მატიე დებუში (ნიუკასლი)
8 - ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი)
წითელი ბარათი - 3 ქულა, ყვითელი - 1


XX ტურის მთავარი მოვლენა: ადებაიორი სმოლინგს პოზიციას უგებს და თავურით ანგარიშს ხსნის

ასოციაციის თასი. III ეტაპი


დევიდ მოიესის „მანჩესტერს“ „ჩიჩარიტოს“ (მარჯვენა) გოლმა ვერ უშველა

# ამბები ჩრდილოეთში

## და იუნაიტედის მორიგი ღრმა წუმპე

ლიგის თასის III ეტაპზე მთავარი ამბები, „ოლდ ტრეფორდზე“ მომხდარს თუ არ ჩავთვლით, ჩრდილოეთ ლონდონში დატრიალდა. „არსენალმა“ „ტოტენჰემს“ მიმდინარე სეზონში მეორედ უმასპინძლა და ამჯერადაც მშრალი ანგარიშით დაამარცხა. მასპინძელთა უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ შედეგზე ალოგიკურიაო, ვერავინ იტყვის. „დეზები“ საბოლოოდ **დენი როუზმა** გაწირა, როცა მოედნის ცენტრში ბურთი აბსოლუტურად უაზროდ დაკარგა და **ტომაშ როსიცკი** მეკარეს პირისპირ შეატოვა. იოლად მოიგეს თავიანთი თამაშები სხვა ფავორიტებმაც, მაგალითად, „ლივერპულმა“ და „ჩელსიმ“. ფეხი დაუცდა და საშინაო შეხვედრაში მოუწევს მომდევნო საფეხურზე გადასასვლელად ბრძოლა „მანჩესტერ სიტის“.

სხვა თამაშებიდან შესაძლოა თვალში მოგხვდათ ნოტინგემის „სიტი გრაუნდზე“ „ვესტ ჰემის“ მიწასთან გასწორება. 5:0-ის ახსნა იმით, რომ „ჩაქუჩების“ შემადგენლობა გადახალისებული გახლდათ, უბრალოდ შეუძლებელია. **სემ ელერდაისს** ამ ალიყურის გამო სერიოზული საყვედური ეკუთვნის ხელმძღვანელობისგან. ჰეთთრიკისა და მოპოვებული პენალტის წყალობით შეხვედრის გმირი, მოულოდნელად, 22 წლის **ჯეიმი პატერსონი** შეიქნა, ვისაც აქამდე ჩემპიონშიპში ერთი გოლიც კი არ ჰქონდა გატანილი.

და რაც მთავარია: „ოლდ ტრეფორდის“ ამბები ზემოთაც ვახსენეთ: „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მიმდინარე სეზონში „ოცნებათა თეატრის“ სცენაზე კიდევ ერთი მარცხი იწნია (ყველა ტურნირში ერთად მეხუთედ). ამჯერად გამარჯვებული „სუონსი“ აღმოჩნდა და რაღა დაგიმალოთ, ლოგიკურადაც.

**ბლექბერნი-სიტი 1:1**

**გოლები:** 0:1 ნეგრედო (45), 1:1 დანი (45)
**სიტი:** პანტილიმონი, კლიში, ლესკოტი, ნასტასიჩი, ბოიატა, მილნერი, ხ. გარსია, დ. სილვა (88. საბალეტა), ფერნანდინიო (64. ი. ტურე), ნეგრედო (74. ნავასი), ჯეკო
**გაძევება:** 85 წთ ბოიატა (სიტი)

**ასტონ ვილა-შეფილდ იუნ. 1:2**

**გოლები:** 0:1 მერფი (20), 1:1 ჰელენიუსი (75), 1:2 ფლინი (81)

**ბარნსლი-ქოვენთრი 1:2**

**გოლები:** 1:0 ობრაიენი (19), 1:1 მუსა (78), 1:2 კლარკი (89)

**ბოლტონი-ბლექპული 2:1**

**გოლები:** 1:0 ნგოგი (10), 1:1 ბარხუიზენი (45+1), 2:1 ბეკფორდი (51)

**ბრაიტონი-რედინგი 1:0**

**გოლი:** 1:0 კროფტსი (32)

**ბრისტოლ ს-უოტფორდი 1:1**

**გოლები:** 0:1 მარი (84), 1:1 ემანუელ-ტომასი (85)

**დონკასტერი-სტივენეიჯი 2:3**

**გოლები:** 1:0 ზოკო (49), 2:0 ჰარტლი (65), 3:0 ფორესტერი (72), 3:1 ჩარლზი (90+1), 3:2 უეიკფილდი (90+5)

**ევერტონი-ქუინზ პარკი 4:0**

**გოლები:** 1:0 ბერკლი (35), 2:0 იელავიჩი (44), 3:0 იელავიჩი (68), 4:0 კოულმენი (76)

**გრიმსბი-ჰადერსფილდი 2:3**

**გოლები:** 1:0 ჰანა (25), 1:1 ნორვუდი (51), 2:1 დისლი (62), 2:2 პატერსონი (86), 2:3 ტომასი (90-ს.კ-ში)

**იპსვიჩი-პრესტონი 1:1**

**გოლები:** 1:0 მაკგოლდრიკი (38), 1:1 დევისი (42)

**კიდერმინსტერი-პიტერბორო 0:0**

**მაქლსფილდი-შეფილდ უენ. 1:1**

**გოლები:** 0:1 ჯონსონი (25), 1:1 უილიამსი (72)

**მიდლსბრო-ჰალი 0:2**

**გოლები:** 0:1 მაკლეანი (10), 0:2 პროშვიტცი (61)

**ნიუკასლი-კარდიფი 1:2**

**გოლები:** 1:0 სისე (62), 1:1 ნუნი (73), 1:2 კემპბელი (80)

**ნორვიჩი-ფულჰემი 1:1**

**გოლები:** 0:1 ბენტი (40), 1:1 სნოდგრასი (45)

**როჩდეილი-ლიდსი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჰოგანი (45+2), 2:0 ჰენდერსონი (84)

**საუთჰემპტონი-ბარნლი 4:3**

**გოლები:** 1:0 კლაინი (22), 2:0 ლამბერტი (28), 2:1 ვოუკსი (51), 2:2 ინგსი (57), 3:2 ჯ. როდრიგესი (66), 4:2 ლალანა (73), 4:3 ლონგი (87)

**საუთენდი-მილუოლი 4:1**

**გოლები:** 1:0 ბორი (22), 2:0 ატკინსონი (45+6), 3:0 ტიმლინი (57), 3:1 ვულფორდი (64), 4:1 ლეონარდი (90+5)
**გაძევება:** 45 წთ ისტერი (მილუოლი)

**სტოკი-ლესტერი 2:1**

**გოლები:** 1:0 ჯონსი (16), 2:0 ადამი (55), 2:1 ნაჯენტი (77)

**ვესტ ბრომვიჩი-პალასი 0:2**

**გოლები:** 0:1 გეილი (23), 0:2 შამახი (90+5)

**უიგანი-მილტონი 3:3**

**გოლები:** 1:0 ესპინოსა (18), 2:0 გომესი (27), 2:1 რივსი (45), 2:2 რივსი (45+2), 3:2 მაკმანამანი (65), 3:3 ბემფორდი (84)

**იოვილი-ლეიტონი 4:0**

**გოლები:** 1:0 ჰაიტერი (12), 2:0 გრანტი (49), 3:0 ჰაიტერი (60), 4:0 მური (90)

**არსენალი-ტოტენჰემი 2:0**

**გოლები:** 1:0 კასორლა (31), 2:0 როსიცკი (62)
**არსენალი:** ფაბიანსკი, სანია, ვერმალენი (46. მერტეზაკერი), კოშელნი, მონრეალი, არტეტა (75. იოზილი), კასორლა, როსიცკი, უილშირი (71. ფლამინი), უოლკოტი, გნაბრი
**ტოტენჰემი:** ლორისი, როუზი, დოუსონი, კირიკეში, უოლკერი, დემბელე, ერიქსენი, ლენონი, ბენტალები, ადებაიორი, სოლდადო (63. შადლი)

**ნოტინგემი-ვესტ ჰემი 5:0**

**გოლები:** 1:0 აბდუნი (12-პენ), 2:0 პატერსონი (65), 3:0 პატერსონი (71), 4:0 პატერსონი (79), 5:0 რეიდი (91)

**სანდერლენდი-კარლაისლი 3:1**

**გოლები:** 1:0 ჯონსონი (34), 1:1 რობსონი (43), 2:1 ოჰანლონი (50 ს.კ), 3:1 ელ ჰაჯი (90)

**დერბი-ჩელსი 0:2**

**გოლები:** 0:1 მიკელი (66), 0:2 ოსკარი (71)
**ჩელსი:** შვარცერი - ასპილიკუეტა, კეჰილი, დ. ლუისი, კოული - ესიენი (55. აზარი), მიკელი - რამირესი, ოსკარი (87. ბეიკერი), ვილიანი - ეტოო (64. ტორესი)

**ლივერპული-ოლდჰემი 2:0**

**გოლები:** 1:0 ასპასი (54), 2:0 ტარკოვსკი (82 ს.კ.)
**ლივერპული:** ჯონსი - კელი, კ. ტურე, აგერი, სისოკო - ალბერტო (46. ლუკასი), ჯერარდი (75. სუარესი) - მოზესი (46. კოუტინიო), ჰენდერსონი, სტერლინგი - ასპასი

**პორტ ვეილი-პლიმუთი 2:2**

**გოლები:** 1:0 ტომლინი (36), 2:0 პოუპი (36), 2:1 რეიდი (51), 2:2 პარინგტონი (74)

**იუნაიტედი-სუონსი 1:2**

**გოლები:** 0:1 რუტლიჯი (12), 1:1 ერნანდესი (16), 1:2 ბონი (90)
**იუნაიტედი:** ლინდეგორი - სმოლინგი, ფერდინანდი (76. ფაბიო), ევანსი, ბიუტნერი - ვალენსია (63. იანუზაი), ფლეტჩერი, კლევერლი, კაგავა - უელბეკი, ერნანდესი
**გაძევება:** ფაბიო (80)

**8 იანვარი**

**ჩარლტონი-ოქსფორდი**
**ქროული-ბრისტოლ რ.**

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საფრანგეთის თასი. 1/32 ფინალი

# მონაკომ ქომაგები აანერვიულა

## ლიონმა სიუზის აწყენინა

| | |
|---|---|
| ავრანში-ლანსი | 1:3 |
| ეპინალი-ნიორი | 1:4 |
| მონ აზერგი-ისტრი | 1:1 (3:2 პენ) |
| პონტარლიე-კაენი | 1:3 |
| იურა სუდი-კრეტეი | გადაიდო |
| შამბლი-ანჟერი | 1:1 (5:6 პენ) |
| ოზანი-დიჟონი | 3:3 (4:5 პენ) |
| ლა როშე-სა ბასტია | 0:0 (0:3 დ.დ.) |
| მანი-მულენი | 1:6 |
| იზიორი-ლორიანი | 1:0 |
| გოლი: 1:0 მბიდა (24) | |
| ბულონი-ბოვე | 3:1 |
| ბრესიუირი-სოშო | 0:3 |
| გოლები: 0:1 პრჩიჩი (15), 0:2 ა. კამარა (30), 0:3 ა. კამარა (37) | |
| ლე ერბიე-პლაბენეკი | 0:1 |
| პუასი-კონკარნო | 0:1 |
| რომორანტენი-ტულუზი | 1:2 |
| გოლები: 0:1 რეგატენი (37), 1:1 ლინორი (86), 1:2 ბრეიტვეიტი (90+4) | |
| რენი-ვალანსიენი | 1:1 (8:7 პენ) |
| გოლები: 1:0 ფერე (67-პენ.), 1:1 დოსევი (74) | |
| მარკუა-ოსერი | 2:6 |
| ბურ-პერონა-გენგამი | 0:2 |
| გოლები: 0:1 ბოვიუ (10), 0:2 იატაბარე (30) | |
| ლა კაიოლი-ბალან ილ რუსი | 0:2 |
| სტ. არმანი-კრუა | 1:1 (2:4 პენ) |
| ამიენი-ლილი | 1:3 |
| გოლები: 1:0 ბენარიე (6), 1:1 ს. კალუ (23), 1:2 ს. კალუ (57), 1:3 როდელენი (66) | |
| ბასტია-ევიანი | 1:0 |
| გოლი: 1:0 რასპენტინო (20) | |
| ლა სიუზი-ლიონი | 1:6 |
| გოლები: 0:1 გომისი (6), 1:1 პიშო (41-პენ.), 1:2 გრენიე (42), 1:3 გომისი (56), 1:4 ლაკასეტი (58), 1:5 მალბრანკი (66), 1:6 ლაკასეტი (79) | |
| ნანტი-ნიცა | 0:2 |
| გოლები: 0:1 დიგარი (8), 0:2 ბრიულსი (88) | |
| რაონ ლ'ეტაპი-ბორდო | 1:2 |
| გოლები: 0:1 საივე (15-პენ.), 1:1 პატენი (71), 1:2 ბელიონი (86) | |
| როდეზი-მონპელიე | 0:2 |
| გოლები: 0:1 მეზაგე (10), 0:2 ნიანგი (65-პენ) | |
| კემპერლე-აიაჩო | 1:2 |
| გოლები: 1:0 ლე გალი (17), 1:1 ფატი (29), 1:2 ედუარდო (59) | |
| ბრესტი-პსჟ | გადაიდო |
| კანი-სტ. ეტიენი | გადაიდო |
| ვანი-მონაკო | 2:3 |
| გოლები: 1:0 კაკინი (2), 1:1 ფალკაო (3), 2:1 აგემონი (35), ჯ. როდრიგესი (42), 2:3 ფერეირა-კარასკო (86) | |
| სეტი-კარკფუ | 2:0 |
| მარსელი-რეიმსი | 0:0 დ.დ. 2:0 |

საფრანგეთის სათასო შეჯიბრებებისთვის სენსაციები უცხო ხილი არასდროს იყო. მოლოდინი არც პირველმა სათამაშო დღემ გაგვიცრუა და რიგით მეოთხე ლიგის ბინადარმა „იზიორმა" ლიგა 1-ის მკვიდრი „ლორიანი" დაიფრინა ტურნირიდან. არადა, **კრისტიან გურკუფის** გუნდი თითქოს ძალიან კარგ ფორმაში იყო. მართალია ბრეტონელთა შემადგენლობა ცოტა გადახალისებული გახლდათ, მაგრამ შედეგი მაინც ძალიან მოულოდნელია.

*„კლასიკური სათასო მატჩი გამოვიდა. მეტოქის შემართებით სულაც არ გავკვირვებულვარ. სამოყვარულო გუნდებისთვის თასი ძალიან მნიშვნელოვანია. რამდენიმე შანსი გვქონდა, მაგრამ სათანადოდ ვერ გავისარჯეთ"*, - თქვა გურკუფმა.

ასევე მეოთხელიგელ „რომორანტენთან" ძალიან ინვალა „ტულუზმა". **ალენ კაზანოვას** „ცალი ფეხით" სურდა მოგება და სტუმრები **ადრიენ რეგატენის** გოლით 85-ე წუთამდე წინაც იყვნენ, მაგრამ მასპინძლებმა მოულოდნელად გაათანაბრეს და თითქოს მატჩი დამატებით დროში უნდა გადასულიყო, როდესაც „ტულუზს" მხსნელად ოქროს შენაძენი **მარტინ ბრეიტვეიტი** მოევლინა და 94-ე წუთზე მოაგებინა გუნდს.

დრამატული გამოდგა **ფილიპ მონტანიეს** ამჟამინდელი და ყოფილი გუნდების დუელი. საბოლოოდ, ანმყომ აჯობა წარსულს და ძირითადში ნათამაშები 1:1-ის მერე, მომთანგველ პენალტების სერიაში „რენმა" „ვალანსიენს" 8:7 მოუგო. სხვათა შორის, ბრეტონელებმა ისე ერთი გოლიც პენალტით გაიტანეს.

მოკლედ უნდა ვთქვათ ორ უცნაურად განვითარებულ შეხვედრაზეც. რიგით მეხუთე ლიგის ბინადარი „ლა როშე" ლიგა 2-ის მკვიდრ „სერკლ ატლეტიკ ბასტიას" გმირულად უძლებდა და თითქოს უპირატესობაც მიიღო, როდესაც მეტოქე 10 კაცით დარჩა, მაგრამ სწორედ ამის მერე გაუშვა 3 გოლი დამატებით დროში.

ასევე ბოლო საფეხურზე ანუ მეხუთე ლიგაში მყოფ „ობანს" ნამდვილი ტრაგედია გადახდა თავს, შეუძლებელია ეს გუნდი არ შეგეცოდოს. ობანელები თავიდანვე დაწინაურდნენ, მერე მე-80 წუთზე გაუშვეს, მაგრამ 87-ე წუთზე ისევ გაიტანეს და როცა უკვე ზეიმისთვის ემზადებოდნენ, სტუმრებმა კვლავ გაათანაბრეს. დამატებით დროში „ობანი" 10 კაცით დარჩა, მაგრამ არ გატყდა და მეტიც, წინ გასვლაც მოახერხა... თუმცა „დიჟონმა" ახლა უკვე დამატებითი დროის ბოლო წუთზე ანუ 120-ეზე გაათანაბრა და მატჩი პენალტების სერიაში გადაიყვანა. ცხადია, თერთმეტმეტრიანებშიც სტუმრებს გაუმართლათ.


ბოლოს კლაუდიო რანიერიმ შვებით ამოისუნთქა

მეორე სათამაშო დღეს უფრო მეტი უმაღლესი ლიგის წარმომადგენელი გავიდა არენაზე და ყველაფერმა სიურპრიზების გარეშე ჩაიარა. თითქმის ყველა ფავორიტმა უპრობლემოდ იმარჯვა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველაზე მეტად „მონაკომ" ინვალა. **კლაუდიო რანიერის** გუნდმა ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი, რადგან მინდორზე საბრძოლო შემადგენლობით გავიდა და ამის მიუხედავად ორჯერ აგებდა მესამელიგელ „ვანთან". თუმცა სტუმრებს **იანიკ ფერეირა-კარასკომ** უშველა და 86-ე წუთზე გატანილი გოლით აარიდა სირცხვილს.

ინვალა „ბორდომაც". „რაონ ლ'ეტაპი" ჟირონდელებთან შემდეგი ეტაპის საგზურისთვის ბრძოლის უკვე დამატებით დროში გაგრძელებას ფიქრობდა, **დავიდ ბელიონი** რომ გამოენთო, მასპინძლებს იმედის ნაპერწკალი ჩაუქრო და ყველაფერი თავის ადგილას დააყენა.

საკუთარი ადგილისკენ მიუთითა მოწინააღმდეგეს „ლილმაც". მატჩის დებიუტში **ნორდინ ბენარიემ** „ამიენი" დააწინაურა და სიტუაცია არია, მაგრამ... ლილელთა გმირი **სალომონ კალუ** გახდა.

სულაც 6 გოლი გაიტანა „ლიონმა", რომელმაც „ლა სიუზის" აწყენინა. **რემი გარდის** გვარდიამ გაილაღა. 6 გოლი გაუტანა მეტოქეს „ოსერმაც".

აღსანიშნავია, რომ ლიგის თასის მეოთხედფინალში ერთმანეთს „ნანტი" და „ნიცა" ხვდებიან და აგერ ისინი აქეთაც გადაეყარნენ ერთურთს. ამჯერად, **კლოდ პუელის** გუნდმა იძალა. „იადონები" შურისძიებას 15 იანვარს შეეცდებიან, როდესაც ისევ საკუთარ კედლებში დაუხვდებიან მეტოქეს.

რამდენიმე მატჩი უამინდობის გამო გადაიდო. მათ შორის, პსჟ-ს დაპირისპირება „ბრესტთან".

**გიორგი კაკაბაძე**

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# ახალი ტურნირი ძველი ლიდერებით

ნააxალწლევს სეზონი მყისიერად განაახლეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა - 4 იანვარს ფალავანთა კლუბში საჩემპიონო შეჯიბრება იმ ორ წონით კატეგორიაში, 71-სა და 80-ში გაიმართა, რომელიც გაისად ამ საჭიდაო სტილს ემატება. ახალი წონები და ახალი ლიდერები - წესით, ეს უნდა ყოფილიყო ამ შეჯიბრების ლაიტმოტივი, თუმცა ორივეგან ძველმა ფალავნებმა გაიმარჯვეს - **მანუჩარ ცხადაიამ** (71) და **გიორგი ცირეკიძემ** (80). ოღონდ ვერ ვიტყვით, რომ რომელიმემ იოლად მიაღწია წარმატებას ან მომავალში ელოდება მშვიდი ცხოვრება. პირიქით - საკმაოდ ცხარე ბრძოლები გადახდათ საჩემპიონოდ, წინ კი კიდევ არაერთი დაძაბული პაექრობა ელოდებათ.

წონათა ეს ახლებური დახარისხება ფრიად წაადგათ ძმებ **დათუნაშვილებს** - **გიორგიმ** 74-დან 80-ში გადაინაცვლა. შედეგად, უფროს ძმასთან, ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ზურაბ დათუნაშვილთან** კონკურენცია არ მოუწევს - ცხადია, ბოლომდე თუ დარჩება აქ. ასევე მისწრება გამოდგა ცხადაიასთვის, რომელმაც ზურაბ დათუნაშვილთან მეტოქეობასაც დაალწია თავი და თან შუალედური წონაც იპოვა მისთვის მშობლიურ 66-სა და 74-ს შორის. ეს მას იმდენად აწყობს, რომ ბევრის დაკლება არ მოუწევს და ძალის მხრივ ფიზიკურად უპირატესობა ექნება მეტოქეებზე. ამჯერად მან დიდი შემართების ხარჯზე ფინალში **მინდია ნულუკიძეს** მოუგო. ნულუკიძემ 2009 წელს თბილისში გამართულ ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში გაიმარჯვა, მას შემდეგ კი ბლომად წონითი კატეგორიები გამოიცვალა და ახლა ახალში ცდის ძალას. ბრინჯაოს მედლები **ნუკრი შავაძემ** და **გიორგი ჯავახიამ** მოიპოვეს.


მანუჩარ ცხადაია


გიორგი ცირეკიძე

ცოტა მოულოდნელია 80 კილოგრამში შეკრებილი კონტინგენტი. განსაკუთრებით კი ფინალისტები - ცირეკიძემ 84-დან დაიკლო, ახალგაზრდებში ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **ლაშა გობაძე** კი 74-დან ავიდა იქ. ცირეკიძე ადრე თითქმის არ იკლებდა - მისი სტაბილური წონა სწორედაც რომ 84 კილოგრამია, იშვიათად რომ ასულიყო 85-მდე. ახლა იმ 4-ოდე კილოგრამის დაკლება არ გაუჭირდება, სამაგიეროდ, ქვედა წონიდან ამოსულებთან შედარებით ღონის თვალსაზრისით, ფიზიკურ ძალაში უპირატესობა ექნება. სწორედ ამიტომ ნაკრების სათავეში დაბრუნებული **ბეგი დარჩია** მიიჩნევს, რომ ცირეკიძისთვის ეს წონა ზედგამოჭრილია.

აქ ბრინჯაოს მედლები ზემოხსენებულმა გიორგი დათუნაშვილმა და ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **თორნიკე ძამაშვილმა** მოიპოვეს. ეს დუეტიც და გობაძეც 74-დან ამოვიდნენ ამ წონაში, რაც თითქოს ცოტა გასაკვირია. ამათგან გასაგები დათუნაშვილის ამბავია - ძმასთან კონკურენციას გამოერიდა, დანარჩენები კი იმ წონას მორგებულნი ჩანდნენ და წარმატებებიც იქ მოიპოვეს. სავარაუდოდ, აქ გადმოსვლა ახალგაზრდული ასაკის გამო მოისურვეს - ჯერ კიდევ იმატებენ წონაში და ვინძლო ისედაც მოსწეოდათ ეს. თუმცა მაინც ვეჭვობთ იმის მიუხედავად, რომ მათი მწვრთნელების სურვილი არ ვიცით, ესენი ჯერ კიდევ ოპტიმალური წონის ძიებაში არიან. ამ ტრიოს სასარგებლოდ ასაკიც მუშაობს - ამჯერად კი დამარცხდნენ (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) ცირეკიძესთან, მაგრამ მასზე ბევრად ახალგაზრდები არიან.

თუმცა საკუთარი ამბიციურობა სამივემ დაამტკიცა, განსაკუთრებით კი - გობაძემ, რომელიც ფინალში გავიდა, სადაც ცირეკიძემ მისი წინააღმდეგობა მხოლოდ ბოლო წუთს გატეხა. ჩემპიონს დათუნაშვილთანაც დიდი ბრძოლა გადახდა, მაგრამ ამჯერად ყველა დაბრკოლებას გაუმკლავდა.

შეგახსენებთ, რომ ახალ წლამდე ანალოგიური შეჯიბრება, ოღონდ მხოლოდ ერთ წონაში, „თავისუფლებმაც" ჩაატარეს, დღეს კი ორივე ნაკრები ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს - „თავისუფლებიც" და ბერძენ-რომაელებიც ბაკურიანში მიემგზავრებიან, სადაც ფიზიკური მომზადებისთვის განკუთვნილ ორკვირიან შეკრებას გაივლიან. შედეგად, სპორტსმენები ძირითადად ფიზიკურად ივარჯიშებენ, ლეიბს კი ნაკლები ყურადღება დაეთმობა. ბერძენ-რომაელებისთვის სეზონის პირველი ტურნირი 23-24 იანვარს თეირანში გასამართი „იადეგარ იმამის თასი" იქნება, სადაც დარჩია სათადარიგო გუნდის, ძირითადად ქვეყნის ბრინჯაოს მედალოსნების გაგზავნას აპირებს. „თავისუფლები" წლეულს პირველად 6-7 თებერვალს ისევ თეირანში, „ტახტის თასზე" გამოვლენ, სადაც **რევაზ მინდორაშვილი** ლიდერებით აპირებს წასვლას. შეგახსენებთ, რომ იქ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **ლუკა კურტანიძეც** იჭიდავებს - 41 წლის ვეტერანმა სპორტსმენმა 97 კილოგრამში კონკურენციის გაძლიერებაში წვლილის შეტანის სურვილი გამოთქვა.

**ირაკლი თავაძე**

● ლიგა 1. ტრანსფერები


მბაიე ნიანგი „მონპელიეში" წარდგენისას

# საახალწლო სიურპრიზები

## აიაჩომ დევილი მოიშორა

მოდით, რაც კი ლიგა 1-ის კლუბების შემადგენლობასთან დაკავშირებული სიახლე მოხდა, ერთიანად განვიხილოთ. ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი რომ „მონპელიემ" გაჩარხა, ალბათ იცით. შეგახსენებთ, რომ გასაჭირში მყოფმა გუნდმა „მილანისგან" **მბაიე ბაბაქარ ნიანგი** ინათხოვრა. თავის დროზე, „კაენის" გამობრძმედილ ფორვარდს, რომელიც 19 დეკემბერს 19 წლის გახდა, „მონპელიეში" 9-ნომრიანი მაისურა მიაბარეს.

ძალიან საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო „მარსელმა", რომელმაც **ჯორდან აიუ** სეზონის ბოლომდე ათხოვა „სოშოს". არადა, ბოლო დროს ჯორდანს უფრო ხშირად ვხედავდით მარსელელთა ძირითადში. მოკლედ, მონბელიარელთა გადარჩენა ახლა **აბედი პელეს** უმცროს ვაჟს ევალება.

საინტერესო სიახლე შემოგვთავაზა „ბორდომაც". ჟირონდელებმა პსჟ-ს ყოფილი თავდამსხმელი **გიიომ ოარო** ჩინეთიდან გამოითხოვეს.

ბოლოსდაბოლოს აიხდინა სანაღელი „მონაკომ" და მახაჩკალის „ანჟის" **ლასინა ტრაორე** წაჰგვარა. მონტეკარლოელებმა 23 წლის კოტდივუარელ ფორვარდთან ოთხწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმეს. პარალელურად, „მონაკომ" **კარლ მეჯანი** ზაფხულამდე დაუთმო „ვალანსიენს", რომელიც ალჟირელი მცველის ჯანის იმედად იქნება. გარდა ამისა, „ვალანსიენმა" მოსკოვის „სპარტაკიდან" ასევე არენდით აიყვანა განელი შემტევი **აბდულ მაჯიდ ვარისი**.

რუსეთიდან სამშობლოს დაუბრუნდა მისი უძლები შვილი **ჯიბრილ სისეც**. იგი „ბასტიაში" ჩაირიცხა და კორსიკელთა მეტოქეებს ამიერიდან კიდევ უფრო უნდა ეშინოდეთ.

„ნიცას" 19 წლის მარჯვენა მცველ **დიაკო ფოფანასთან** კონტრაქტი დაუმთავრდა და მის გახანგრძლივებას არ აპირებს. ფეხბურთელი კი ცხადია ახალი კლუბის ძიებაშია.

ამასობაში, „აიაჩომ" წარუმატებლობის მიზეზს მიაგნო და **ბრენდონ დევილი** „ვესტერლოოში" გაანათხოვრა. თუ კორსიკელებს ესეც არ უშველით და ლიგა ორში დაქვეითდებიან, იქ უკვე დევილი გამოადგებათ.

**გიორგი კაკაბაძე**

● ხელბურთი

# რევანში და პლეი ოფის შანსი

**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები შარშან 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდში ჩაება. პირველ ევროპულ ჯგუფში ჩვენებთან ერთად ასპარეზობენ ლიტველები, ფინელები და თურქები. სასტარტო მატჩი ქართველებმა ბალტიისპირელებთან დათმეს სტუმრად - 17:23, მეორე ტურში კი შინ სუომელებს სძლიეს 26:19. სერბი სპეციალისტის - ჯორჯე რასიჩის შეგირდებს ნაახალწლევს დაძაბული ორთაბრძოლა ჰქონდათ ანკარაში თურქებთან.**

**მსოფლიოს ჩემპიონატის კვალიფიკაცია**

**ევროპის I ჯგუფი. III ტური**
**ანკარა. 2 იანვარი**

**თურქეთი–საქართველო 29:23 (14:8)**

**თურქეთი:** ტანერ გიუნაი, გიოქთეფე, რამაზან დიონე (9), ჩეთინ ჩელიქი (6), ონურ ერსინი (4), ჯუგბერკ ჩატკინი (4), ჯან ჩელები (2), ერჯან ასიქოღლუ (1), თოლგა იოზბაჰარი (1), ალპ ერენ პეკტაში (1), ატილა ზამანი (1), ემრე იოზი, ემრე ქესქინი, მიქაილ ილდირიმი, იუნუს იოზმუსული, რეჯეფ კირდალი, მთავარი მწვრთნელი ადნან ოსთურქი, მწვრთნელები - ნაკან დიმლერი, იუსუფ ტანიკი.

**საქართველო:** შოთა თევზაძე, გიგა ტორონჯაძე, რატი მსხვილიძე (6), ვლადიმერ რუსია (5), რევაზ ჭანტურია (4),


ჯორჯე რასიჩი

ირაკლი ჩიქოვანი (2), სერგო დათუკაშვილი (2), უჩა გამზარდია (2), გიორგი გვაზავა (1), უჩა მაისურაძე (1), აკაკი ტალახაძე, თემურ ორჯონიკიძე, ზურაბ აბრამიშვილი, ოთარ ამირანაშვილი, ზურიკო სიმონია, ლექსო წითელიშვილი, მთავარი მწვრთნელი ჯორჯე რასიჩი, მწვრთნელები - ირაკლი კეკელიძე და ბექარ ორჯონიკიძე.

**მსაჯები:** მილან ჰაიეკი, კარელ მაქო (ჩეხეთი), დელეგატი: ანდრეი ანდრეევი (ბულგარეთი)

წინა ორ ტურში ჩვენმა სამხრეთელმა მეზობლებმა ორივე შეხვედრა წააგეს ფინეთთან და ლიტვასთან, ამიტომ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ. საკუთარი ქომაგების წინაშე სარეაბილიტაციოდ საქართველოს ნაკრებთან პაექრობისას პირველი წუთებიდანვე შეუტიეს თევზაძის კარს და მალევე დაწინაურდნენ. სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ - პირველი ტაიმის დასაწყისში გაათანაბრეს ანგარიში 4:4. ამის შემდეგ მასპინძლები ისევ გავიდნენ წინ და ტაიმი 14:8 მოიგეს. შესვენების შემდეგაც თურქების უპირატესობა აშკარა იყო და მათ 6 ბურთის სხვაობითაც გაიმარჯვეს - 29:23.

ამ გუნდების განმეორებითი ორთაბრძოლა გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა. ჩვენებს აუცილებლად მოგება სჭირდებოდათ, რადგან წინა დღით ჩვენს ჯგუფში ლიტვამ ფინეთს დრამატულ პაექრობაში აჯობა - 24:23, არადა, სუომელები მეორე ტაიმის დასაწყისში წინ იყვნენ 16:12. ბალტიისპირელებმა საფინალო სასტვენამდე წუთით ადრე ისევ აღადგინეს წონასწორობა - 22:22. შეხვედრის დამთავრებამდე 12 წამი იყო დარჩენილი, ფინელმა **რემიმ** უზუსტოდ რომ დაარტყა, სამაგიეროდ, მასპინძლების ბოლო შეტევა აღმოჩნდა შედეგიანი - 23:22.

**ევროპის I ჯგუფი. IV ტური**
**თბილისი. სპორტის სასახლე**
**5 იანვარი**

**საქართველო–თურქეთი 33:26 (19:15)**

**საქართველო:** შოთა თევზაძე, გიგა ტორონჯაძე, გიორგი გვაზავა (1), უჩა გამზარდია (1), ზურაბ აბრამიშვილი, სერგო დათუკაშვილი (2), ვლადიმერ რუსია (6), ირაკლი ჩიქოვანი (5), ოთარ ამირანაშვილი, უჩა მაისურაძე, ზურიკო სიმონია, ლექსო წითელიშვილი, რევაზ ჭანტურია (5), რატი მსხვილიძე (11), ილია გოგალაძე, აკაკი ტალახაძე (2). მთავარი მწვრთნელი ჯორჯე რასიჩი, მწვრთნელები - ირაკლი კეკელიძე და ბექარ ორჯონიკიძე.

**თურქეთი:** რეჯეფ კირდალი, ალპ ერენ პეკტაში (4), ატილა ზამანი (1), ონურ ერსინი (2), ემრე იოზი (1), ტანერ გიუნაი, ჩეტინ ჩელიკი (2), თოლგა იოზბაჰარი (3), ტუგბერკ ჯატკინი (5), ემრე ქესკინი (1), მიქაილ ილდირინი (3), იუნუს ოზმუსული, ბეისელ ალკისი, ნიხატ ჩელიკი, ქენ კელები (4), რამაზან დუნი. მთავარი მწვრთნელი ადნან ოსთურქი, მწვრთნელები - ნაკან დიმლერი, იუსუფ ტანიკი.



შოთა თევზაძე

**მსაჯები:** რობერტ არაბაჯუ, სილვიუ სტანესკუ (ორივე-რუმინეთი), დელეგატი: ვასილი ფეგირი (უკრაინა).

საქართველოს ნაკრები რევანშის წყურვილით გავიდა მოედანზე. ამ მატჩში წარმატებას პრაქტიკული მიზანიც ჰქონდა - ჩვენი გუნდი პლეი ოფში გასვლის თეორიულ შანსს შეინარჩუნებდა. მასპინძელთა პირველივე იერიში შედეგიანი გამოდგა - ანგარიში **რევაზ ჭანტურიამ** გახსნა. პირველი ათი წუთი დაძაბულად წარიმართა. საქართველოს ნაკრებმა ჯერ ორი, შემდეგ ოთხი ბურთითაც შეძლო დაწინაურება, ტაიმი კი 19:15 მოიგო. შესვენების შემდეგ სიტუაცია დაიძაბა. სტუმრების შეტევები უფრო მწვავე გახდა, მაგრამ ხშირად იერიშების დაგვირგვინებას ვერ ახერხებდნენ, რადგან ჩვენი მეკარე **შოთა თევზაძე** იდგა მოწოდების სიმაღლეზე - მან რამდენჯერმე იხსნა თანაგუნდელები გოლისგან, მათ შორის პენალტებისას. თავდასხმაში **რატი მსხვილიძემ** იყოჩაღა - 11 ბურთი მიითვალა. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა მიზანს მიაღწია - თურქეთის ეროვნული გუნდი 33:26 დაამარცხა და გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. პირველ ჯგუფში ოთხი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ლიტვა- 7 (+10) / საქართველო- 4 (+2), ფინეთი- 3 (-2), თურქეთი- 2 (-10) ქულა. საკვალიფიკაციო ეტაპის ფინიშამდე დარჩა ორი ტური: **8 იანვარი.** საქართველო - ლიტვა, თურქეთი - ფინეთი; **11 იანვარი.** ფინეთი - საქართველო, **12 იანვარი.** ლიტვა - თურქეთი

**ჯორჯე რასიჩი:** „მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის დეკემბრის მიწურულს ისრაელში მოვემზადეთ, მაგრამ სრული შემადგენლობით შეკრება ბოლომდე ვერ მოვახერხეთ - რამდენიმე მოთამაშე მხოლოდ თურქეთში შემოგვიერთდა, ამიტომ 2 იანვარს ანკარაში მასპინძლებთან ორთაბრძოლისას გვქონდა სირთულეები როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში. შეცდომებისგან დაზღვეული არც განმეორებით შეხვედრაში ვყოფილვართ. ამის მიუხედავად, ამ ორი მატჩის ერთმანეთთან შედარებაც არ შეიძლება. დღევანდელ პაექრობაში ჩემმა შეგირდებმა ყველა დავალება, ფაქტობრივად, პირნათლად შეასრულეს და მიზანსაც მივაღწიეთ - შეხვედრა შვიდი ბურთის სხვაობით მოვიგეთ. გამარჯვებამ ძალიან გამახარა. მართალია, ლიტვა პირველ ადგილზეა და სამი ქულით გვისწრებს, მაგრამ პლეი ოფში გასვლის შანსს მაინც ვინარჩუნებთ. რვა იანვარს სწორედ ბალტიისპირელებს ვუმასპინძლებთ სპორტის სასახლეში და გულშემატკივართა თანადგომით, იმედია, წარმატებას მივაღწევთ".

■ ■ ■

აქვე ევროპის დანარჩენ ოთხ საკვალიფიკაციო ჯგუფში ნაახალწლევს გამართულ შეხვედრათა შედეგებსა და სატურნირო მდგომარეობას გაგაცნობთ:

**II ჯგუფი**

**2 იანვარი.** რუმინეთი - კვიპროსი 36:19, იტალია - სლოვაკეთი 26:34

**4 იანვარი.** სლოვაკეთი - იტალია 28:21, **5 იანვარი.** კვიპროსი - რუმინეთი 30:31.

რუმინეთი- 8 / სლოვაკეთი- 6, იტალია- 2, კვიპროსი- 0 ქულა.

**III ჯგუფი**

**2 იანვარი.** უკრაინა - შვეიცარია 34:34, ლუქსემბურგი- სლოვენია 16:36

**5 იანვარი.** შვეიცარია - უკრაინა 31:32, სლოვენია - ლუქსემბურგი 37:26

უკრაინა- 7 / სლოვენია- 6, შვეიცარია- 3, ლუქსემბურგი- 0 ქულა.

**IV ჯგუფი**

**2 იანვარი.** ისრაელი - საბერძნეთი 31:24, ბელგია - ჰოლანდია 28:22

**5 იანვარი.** საბერძნეთი - ისრაელი 31:28, ჰოლანდია - ბელგია 27:21

ისრაელი- 4 (+5)/ ჰოლანდია- 4 (+3), საბერძნეთი- 4 (-3), ბელგია- 4 (-5) ქულა.

**V ჯგუფი**

**2 იანვარი.** ბოსნია - ლატვია 27:26, ესტონეთი - პორტუგალია 17:25

**5 იანვარი.** ლატვია - ბოსნია 21:23, პორტუგალია - ესპანეთი 35:27

ბოსნია- 8 / პორტუგალია- 4, ლატვია- 4 , ესტონეთი- 0 ქულა.

შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გადიან.

**ვაჟა დანელია**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*


უტევს სერგო დათუკაშვილი

● ჭადრაკი

# თერთმეტი ქალი, ერთი მამაკაცი

საახალწლოდ ფიდემ, ტრადიციულად, მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა მსოფლიო რეიტინგები გამოაქვეყნა, რომლებშიც თერთმეტი ქართველი მანდილოსანი და ერთი ვაჟია. ქალთა საუკეთესო ათეული ასეთია: 1. იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2693), 2. ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2629), 3. ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2613), 4. ჩჟაო სიუე (ჩინეთი, 2567), 5. ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2566), 6. **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2546), 7. კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2543), 8. **ბელა ხოტენაშვილი** (საქართველო, 2527), 9. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2527), 10. პია კრამლინგი (შვედეთი, 2525). ასეულში ძაგნიძისა და ხოტენაშვილის გარდა, არიან: 33. **ნინო ხურციძე** (2456), 34. **სალომე მელია** (2453), 47. **ლელა ჯავახიშვილი** (2430), 51. **ნინო ბაციაშვილი** (2428), 69. **სოფიკო გურამიშვილი** (2398), 84. **თამარ წერეთელი** (2375), 85. **მერი არაბიძე** (2374), 86. **სოფიკო ხუხაშვილი** (2374), 90. **მაია ლომინეიშვილი** (2366).

ვაჟთა ათეული: 1. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2872), 2. ლევონ არონიანი (სომხეთი, 2812), 3. ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2789), 4. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2787), 5. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2785), 6. ფაბიანო კარუანა (იტალია, 2782), 7. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2777), 8. ბორის გელფანდი (ისრაელი, 2777), 9. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2773), 10. სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2759). პირველ ასეულში ერთადერთი ქართველი დიდოსტატია - **ბაადურ ჯობავა,** რომელიც 2710 პუნქტით 37-ე ადგილზეა.

**ვაჟა დანელია**


ნანა ძაგნიძე

● თარიღები და მოვლენები

**06 - 09 იანვარი**

**06. 2012. ჭადრაკი.** რეჯიო ემილიის (იტალია) ტურნირი **სოფიკო გურამიშვილმა** მოიგო

**06. 1984.** დაიბადა **ზვიად იზორია** - ჭადრაკი

**07. 1937.** დაიბადა **ჯემალ ზეინკლიშვილი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2011 წელს

**07. 1938.** დაიბადა **ბორის პოლულიახი** - წყალხტომა. გარდაიცვალა 1996 წელს წელს

**07. 1973.** დაიბადა **კობა გოგოლაძე** - კრივი

**07. 1984.** დაიბადა **კობა ფხაკაძე** - კრივი

**07. 1990.** დაიბადა **ელენე გედევანიშვილი** - ფიგურული ციგურაობა

**08. 1973.** დაიბადა **ლევან ცაბაძე** - რაგბი

**08. 2012.** კალათბურთი. ბერძნულ „პანიონიოსში" გადავიდა **ვლადიმერ ბოისა**

**09. 1951.** დაიბადა **შოთა ხინჩაგაშვილი** - ფეხბურთი

**09. 1957.** დაიბადა **ვიტალი დარასელია** - ფეხბურთი. ტრაგიკულად დაიღუპა 1982 წელს

**09. 1972.** დაიბადა **ზაქარია აბრამიშვილი** - ბატუტზე ხტომა

ქართველები NBA-ში

# რა გითხრათ, რით გაგახაროთ...

„ლელო“ 31 დეკემბრის შემდეგ პირველად დღეს გამოვიდა. ამ დროში NBA-ში მოასპარეზე ქართველთა გუნდებმა არაერთი შეხვედრა ჩაატარეს, თუმცა ჩვენთვის დასამახსოვრებელი ბევრი არაფერი მომხდარა.

**ზაზა ფაჩულია** წვივის მოტეხილობას მკურნალობს და მოედანს იანვარში დაუბრუნდება. ზუსტი რიცხვი ექიმების სიტყვაზეა დამოკიდებული. ზაზას „მილუოკიმ“ 31 დეკემბრის შემდეგ სამი მატჩი ჩაატარა, „ლეიკერსთან“ მოიგო (94:79), ხოლო „იუტასთან“ და „ფინიქსთან“, შესაბამისად 87:96 და 100:116 დათმო.

**თორნიკე შენგელიას** „ბრუკლინ ნეთსმაც“ სამი შეხვედრა გამართა: 31-ში „სან ანტონიოსთან“ 92:113 დამარცხდა, ხოლო 2014 წელს გამართულ ორივე შეხვედრაში გაიმარჯვა. ჯერ „ოკლაჰომას“ 95:93 სძლია, შემდეგ „კლივლენდს“ - 89:82.

ოკლაჰომელებთან მატჩის დასასრული საინტერესო გამოდგა: ტაბლოზე თანაბარი ანგარიში იყო დაფიქსირებული, როდესაც ბრუკლინელმა **ჯო ჯონსონმა** სირენასთან ერთად საშუალო დისტანციიდან ზუსტად სტყორცნა და - 95:93.

ამ შეხვედრაში შენგელიას მონაწილეობა არ მიუღია, მომდევნოში, „კლივლენდთან“ მხოლოდ 14 წამი ერგო. რაც შეეხება „სან ანტონიოსთან“ დაპირისპირებას, თორნიკემ მოედანზე 8 წუთი გაატარა, თუმცა ოქმში მის გასწვრივ ყველა გრაფაში ნულიანი დარჩა.

„ბრუკლინი“ საპლეიოფო რვაეულს ნელ-ნელა უახლოვდება. მას 21 მარცხის წილ 12 გამარჯვება აქვს, მეათე ადგილზეა და ორი მოგებითლა ჩამორჩება საპლეიოფო ზონის გუნდებს. ამავე კონფერენციაში 7 მოგებით ბოლო ადგილზეა „მილუოკი“.

„ბრუკლინი“ 6 იანვარს „ატლანტას“ დაუპირისპირდება, ხოლო „მილუოკი“ - 7-ში „გოლდენ სტეიტს“.



თორნიკე შენგელია (მარჯვნივ) წუთშესვენებისას

ქართველები ამერიკაში

# პოლარულად განსხვავებული



დუდა სანაძე

ამერიკის კოლეჯების ლიგის უმაღლეს დივიზიონში მესამე მატჩი ჩაატარა **დუდა სანაძის** „სან დიეგომ“, რომელმაც ამჯერად „ბრიგჰემს“ უმასპინძლა და 53:87 დამარცხდა.

ვერ ვიტყვით, რომ ეს იყო სანაძის საუკეთესო შეხვედრა კოლეჯების ლიგაში. მან 23 წუთში 6-6 ორქულიან-სამქულიანი სტყორცნა და 2 ორიანი გამოიყენა. 4 ქულის გარდა მის ანგარიშზე თითო მოხსნა-ჩაჭრა იყო.

წინა ტურში მართალია „სან დიეგო“ დამარცხდა, მაგრამ სანაძე თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. „ლოიოლასთან“ შეხვედრაში ქართველმა ფორვარდმა მოედანზე 29 წუთი გაატარა და მაშინაც 6 ორქულიანი და სამიანი სტყორცნა, საიდანაც 3 სამიანი, 2 ორიანი გამოიყენა და ორმაგ დუბლამდე ძალიან ცოტა დააკლდა - 18 ქულა, 9 მოხსნა.

„სან დიეგომ“ „ლოიოლასთან“ 62:65 დათმო. სანაძის თანაგუნდელები მომდევნო შეხვედრასაც ლოიოლელებთან ჩაატარებენ - მატჩი 9 იანვარს გაიმართება.

■ ■ ■

სტუდენტური ლიგის მეორე დივიზიონში ასპარეზობს **ოთარ ფხაკაძის** „ფეირმონტ ფალკონსი“, რომელმაც 4 იანვარს ოჰაიოში, „ურბანასთნ“ 70:51 მოიგო.

ფხაკაძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მოედანზე გატარებულ 13 წუთში კი 3 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

კონფერენციაში „ფეირმონტს“ 3 მოგება და 2 მარცხი აქვს.

ქართველები ესპანეთში



გიორგი შერმადინი მადრიდელთა ფარქვეშ

# ქართული ალი და მადრიდის რეალი

## სანიკიძე-შერმადინის 29 ქულა და 17 მოხსნა

*- ბრენდებთან თამაში ყოველთვის კარგად გამოგდის. „რეალთანაც“ შენი დღე უნდა იყოს-მეთქი, ვუთხარი* ***გიორგი შერმადინს*** *მადრიდული მატჩის წინ“,* - გაიხსენა მისმა მწვრთნელმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა**.

„სარაგოსას“ ქართველებმა მოლოდინი მართლაც გაამართლეს, გიორგიმ კი ესპანეთის ჩემპიონატის ოფიციალური საიტის ჟურნალისტებს დააწერინა: სარაგოსელთაგან ფარქვეშ ძალიან აქტიური იყო შერმადინი, რომლის შეჩერება „რეალის“ მეფარეებს ძალიან გაუჭირდათო. ამას სტატისტიკაც ადასტურებს: 26 წუთი, 17 ქულა, 11 მოხსნა, თითო პასი-ჩაჭრა-დაფარება. გიორგიმ 13-დან 6 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო გამოიყენა.

საინტერესოა ისიც, რომ ესპანეთის ჩემპიონატში „სარაგოსას“ მაისურით პირველი ორმაგი დუბლი შერმადინმა სწორედ შაბათს, „რეალთან“ მატჩში მიითვალა. მის შესახებ გუნდის თავკაცმა **ხოსე ლუის აბოსმა** ცალკე ილაპარაკა:

*- „რეალს“ მაღალი დონის მეფარეები ჰყავს, რეიესი, ბურუსისი, მეჯირი, რომლებთანაც შერმადინმა ღირსეულად იბრძოლა. ქართველმა დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ გიორგის თანაგუნდელებიც სათანადოდ ეხმარებოდნენ, სამწამიან ზონამდე ბურთი კარგად მიჰქონდათ. ვფიქრობ, მივაგენით თამაშის ჩვეულ სტილს და მომდევნო მატჩებშიც ასევე უნდა განვაგრძოთ.*

მადრიდელებთან ვიქტორ სანიკიძემაც მაღალ დონეზე ითამაშა. ბილოსწინა წუთზე იგი პერიმეტრიდან შეიჭრა მადრიდელთა ფარქვეშ და სხვაობა ოთხამდე შეამცირა - 66:70. დარჩენილ დროში „რეალის“ კალათბურთელებმა მეტი სიზუსტე გამოიჩინეს და 11 ათასი სარაგოსელი გულშემატკივარი განბილებული დატოვეს - 75:68. ეს მადრიდელთა 27-ე მოგება იყო.

ვიქტორის მონაგარი ასეთი იყო: 26 წუთი, 12 ქულა (6-დან 4 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო), 6 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით (17) სანიკიძე მხოლოდ შერმადინს (20) ჩამორჩა.

■ ■ ■

წინა ტურში „სარაგოსამ“ „ვალიადოლიდი“ მიიღო და 95:79 დაამარცხა. ვიქტორი მართალია 10 ქულას ვერ ასცდა, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო იყო: 30 წუთი, 6 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა, 3 დაფარება.

გიორგი შერმადინს მატჩში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ზურგი აწუხებდა.

■ ■ ■

**ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა“ ბოლო ორი შეხვედრა დათმო. ჯერ „ვალენსიასთან“ 77:95 დამარცხდა, შემდეგ „კანარიასთან“ - 59:75.

ახალგაზრდა ქართველ ფორვარდს ამ მატჩებში არ უთამაშია.

■ ■ ■

„კახასოლს“ ესპანეთის ჩემპიონატში 14-დან 6 მატჩი აქვს მოგებული და სატურნირო ცხრილში მეთორმეტე ადგილზეა. „სარაგოსა“ მოგება-წაგების თანაბარი რაოდენობით (7-7) მერვე პოზიციაზეა.

მომდევნო ტურში, 11 იანვარს სარაგოსელები სანიკიძის ყოფილ კლუბ „ესტდიანტესს“ ეწვევიან, ხოლო „კახასოლი“ ამავე დღეს „ბლუსენსს“ მიიღებს. მანამდე „სარაგოსას“ კიდევ ერთი საპასუხისმგებლო თამაში ელის - ევროთასის მეორე ეტაპის პირველ ტურში ზაგრების „ცედევიტას“ უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ამ ორი გუნდის გარდა P ჯგუფში ლიტვის „რიტასი“ და თურქეთის „ბეშიქთაში“ ასპარეზობენ.



ვიქტორ სანიკიძე (მარცხნივ)

ტრანსფერი

# შსს ძლიერდება: ერთი არის, მეორეც იქნება

სუპერლიგის მოქმედი ჩემპიონი „შსს აკადემია“ წლევანდელ ჩემპიონატში ქართველი კალათბურთელებით ასპარეზობდა და პირველი წრე 4-4 მოგება-წაგებით დაასრულა. ბოლო მატჩის პრესკონფერენციაზე გუნდის თავკაცმა **არჩილ ჟღენტმა** განაცხადა, რომ ზამთრის შესვენებისას „შსს აკადემია“ ლეგიონერებით გაძლიერდებოდა.

ერთ კალათბურთელთან ხელშეკრულება უკვე გაფორმდა - შსს-ს ღირსებას ამერიკელი გამთამაშებელი **პერიშ ბრაუნი** დაიცავს. იგი 27 წლისაა და ლიტვის უმაღლეს ლიგაში „პალანგას“ ღირსებას იცავდა (რომელსაც „სოხუმის“ ექსთავკაცი **რიმვიდას სამულენასი** წვრთნის). წლევანდელ სეზონში, 11 მატჩში ბრაუნი საშუალოდ 29 წუთში 10.5 ქულასა და 4.5 პასს აგროვებდა. თუ ინტერნეტში მისი შეხვედრების საუკეთესო ეპიზოდების ამონაკრებს ვენდობით, პერიშ ბრაუნი ძლიერი კალათბურთელია „შსს აკადემიას“ ნამდვილად გამოადგება.

ცნობილი გახდა ისიც, რომ გუნდის სკაუტები ამერიკელი წინახაზელის ჩამოყვანაზეც მუშაობენ.



პერიშ ბრაუნი

ვითიბი ლიგა

# ცინცაძემ სპარტაკი პეტერბურგში შეარცხვინა

ვითიბი ლიგა საახალწლო შესვენების შემდეგ გუშინ განახლდა. როგორც ჩანს, პეტერბურგელებზე ცუდად იმოქმედა მცირე არდადეგებმა, „სპარტაკის“ კალათბურთელები „დონეცკის“ წინააღმდეგ ისე თამაშობდნენ, თითქოს ნაბახუსევზე ყოფილიყვნენ. პეტერბურგელებმა პირველივე მეოთხედში დათმეს ინიციატივა და საბოლოოდ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე 65:91 შერცხვნენ.



გიორგი ცინცაძე

სასტარტო ხუთეულში ითამაშა „დონეცკის“ ქართველმა პლეიმეიქერმა **გიორგი ცინცაძემ**, რომელიც ძირითადად თამაშის ორგანიზებით იყო დაკავებული და სატყორცნად იშვიათად იცლიდა. მისი ჯამური მონაგარი ასეთი გამოდგა: 20 წუთი, 3 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა. გიორგიმ 2-დან 1 სამქულიანი გამოიყენა.

დონეცკელებმა სწორედ პერიმეტრზე დაჩაგრეს მასპინძლები, რაც მათი წარმატების საწინდარი გახდა - „სპარტაკის“ კალათში 13 სამქულიანი მოათავსეს. 5-დან 4 შორეული ტყორცნა გამოიყენა **ბერნარდ კინგმა**, რომელიც საბოლოოდ „დონეცკის“ სნაიპერი გახდა - 22 ქულა (10 პასი).

ვითიბი ლიგის B ჯგუფში ცინცაძის გუნდი (6 მოგება, 4 წაგება) მეოთხე ადგილზეა. მხოლოდ 2 გამარჯვებით ჩამორჩება პირველადგილოსან „უნიქსს“.

12 იანვარს უკრაინელები ჩეხეთს ეწვევიან და „ნიმბურკთან“ ითამაშებენ. მანამდე, 9 იანვარს უკრაინის ჩემპიონატში „კრივბასს“ დაუხვდებიან.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



მამუკა გორგოძე მოლში ბრძოლისას

# ახალი წელი სენსაციით დაიწყო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მეთექვსმეტე ტურის მატჩები გაიმართა. ახალი წლის დადგომის წინ სატურნირო ცხრილის სათავეში დავით ზირაქაშვილის „კლერმონი" იყო. „ვულკანების" მატჩი „ტულუზთან" გვიან დასრულდა. ამ შეხვედრის შედეგის მიუხედავად, მე-16 ტურის მატჩები ისე წარიმართა, რომ ჩვენებურის გუნდი ლიდერობას შეინარჩუნებს.**

ჩემპიონატის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა" სენსაციური მარცხი განიცადა საკუთარ მოედანზე „გრენობლთან" დაპირისპირებისას - 21:22. „ალპელებმა" მასპინძლებს დაუნდობელი ბრძოლა გაუმართეს, თუმცა მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე 15:21 აგებდნენ. სწორედ ამ დროს შეძლეს სტუმრებმა გამარჯვების მომტანი ლელოს გატანა.

შეხვედრის შემდეგ „ტულონის" მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა** ივარაუდა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბერნარ ლაპორტი** გადადგებოდა, რაც, ცხადია, მისთვის სასურველი სულაც არ არის. საქმე მარტო „გრენობლთან" მარცხში არაა. ტულონელებმა ჩემპიონატის ბოლო ოთხი მატჩიდან სამი წააგეს, რაც მათი ამბიციების მქონე გუნდისთვის მიუღებელია.

მიქაუტაძე თადარიგში იყო და მოედანზე 75-ე წუთიდან გამოჩნდა, ჩილაჩავას არ უთამაშია.

ბოლო ტურებში შესანიშნავად თამაშობს და სატურნირო ცხრილში მეორე საფეხურამდე ალზევდა **დავით ქურბიაშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე", რომელმაც, ამჯერად, სტუმრად დაამარცხა გასავარდნად განწირული ბასკური „ბიარიცი" - 18:6. პირველი ტაიმი მასპინძლებმა მინიმალური სხვაობით 6:5 მოიგეს, თუმცა შესვენების შემდეგ მონაგარს ვერაფერი შემატეს. პარიზელებმა კი ერთ ლელოს კიდევ ორი საჯარიმო მიაყოლეს და უკვე ჩემპიონობაზე სერიოზულად აცხადებენ პრეტენზიას. ქუბრიაშვილს და ჟვანიას არ უთამაშიათ.

საფრანგეთის ჩემპიონმა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრამა" შინ დაამარცხა „ბორდო" - 15:9. ჩვენებურის გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შინ უძლეველია. ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 47-ე წუთიდან ჩაერთო. კასტრელები ახლა 46 ქულით მესამე ადგილზე არიან და ყველანაირად ცდილობენ ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნონ.

საპლეიოფო ექვსეულშია **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე", რომელმაც სტუმრად წააგო **გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივთან" - 9:15. თამაში დამრტყმელების დუელად გადაიქცა. მასპინძელთა ფულბეკმა **გაეტან ჟერმენმა** სტუმარ ვიზავის აჯობა და თავისიანებს გამარჯვება მოუტანა.

გორგოძემ, რომელმაც წინა ტურში „ბიარიცს" ორი ლელო გაუტანა, ამჯერადაც სრულად ითამაშა, თუმცა გუნდს ვერაფრით დაეხმარა, ძირითად შემადგენლობაში იყო ნარიაშვილიც, რომელიც 50-ე წუთზე შეცვალეს, ერთი წუთით მეტი დაყო მოედანზე ასეიშვილმა, რომლის ადგილიც მასპინძელთა შერკინებაში შველიძემ დაიკავა.

პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლას ჯერ კიდევ განაგრძობს **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგი". პარიზელებმა მე-16 ტურში სტუმრად წააგეს „ოიონაქსთან" რაგბისთვის უჩვეულო ანგარიშით - 0:6. ჩვენებურის გუნდი ბოლოს როდის დამარცხდა მშრალი ანგარიშით, ძნელი გასახსენებელია. ხინჩაგიშვილს არ უთამაშია.

**გიორგი ჟღენტის** „პერპინიანმა" შინ დაამარცხა ბასკური „ბაიონი" - 20:8. მიუხედავად ამისა, კატალონიელები 35 ქულით მე-11 ადგილზე იმყოფებიან და ისევ სახიფათო ზონაში არიან. პარადოქსია, მაგრამ „პერპინიანს" პლეი ოფში მოხვედრის რეალური შანსიც აქვს. ჟღენტი და კომპანია მეექვსეადგილოსან „მონპელიეს" მხოლოდ ხუთი ქულით ჩამორჩება.

**I დივიზიონი**

**კასტრი-ბორდო 15:9, ტულონი-გრენობლი 21:22, პერპინიანი-ბაიონი 20:8, ბიარიცი-სტად ფრანსე 6:18, ოიონაქსი-მეტრო რასინგი 6:0, ბრივი-მონპელიე 15:9.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. კლერმონი - 49 ქულა, 2. სტად ფრანსე - 47, 3. კასტრი - 46, 4. ტულონი - 42, 5. გრენობლი - 41, 6. მონპელიე - 40, 7. ტულუზი - 40, 8. მეტრო რასინგი - 38, 9. ბორდო - 36, 10. ბრივი - 35, 11. პერპინიანი - 35, 12. ოიონაქსი - 33, 13. ბაიონი - 30, 14. ბიარიცი - 17.**

**XVII ტური**

**მონპელიე-ბორდო, სტად ფრანსე-კასტრი, ბაიონი-კლერმონი, ბიარიცი-ოიონაქსი, გრენობლი-პერპინიანი, ბრივი-ტულონი, მეტრო რასინგი-ტულუზი.**

ბესიკ ჯანგავაძე

ჩოგბურთი

# მხოლოდ წყვილებში

ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებამდე მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები მწვანე კონტინენტის სხვადასხვა ქალაქში ცდიან ძალებს. გუშინ ჰობარტის ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 250.000 დოლარი) ჩაებნენ თბილისელები **სოფიო შაფათავა** და **ოქსანა კალაშნიკოვა,** ოღონდ მხოლოდ წყვილებში. უკრაინელ ირინა ბურიაჩოკთან შეამხანაგებული ოქსანა შეჯიბრებაზე მესამე ნომრადაა განთესილი. სტარტზე მან ნატალი გრანდინისა (სამხრეთ აფრიკა) და ელისონ რისკეს (აშშ) დუეტი დაამარცხა 4:6, 6:4, 10:4. მეოთხედფინალში ოლივია როგოვსკა-ტორმ სანდერსსა (ორივე ავსტრალია) და ლარა არუაბარენა-ილვია სოლერ-სპინოზას (ორივე-ესპანეთი) შორის უძლიერესს დაუპირისპირდება.

სოფიო შაფათავა და ანასტასია ვასილიევა (უკრაინა) პირველსავე წრეში ასპარეზობის მე-4 ნომერ იან ჟან ჩანისა (ტაივანი) და ჟანეტ ჰუსაროვას (სლოვაკეთი) წყვილთან დამარცხდნენ 4:6, 1:6.

ვაჟა დანელია



ირინა ბურიაჩოკი (მარცხნივ) ოქსანა კალაშნიკოვა

წყალბურთი

# ჩერნოგორიაში მოემზადებიან

ქართული წყალბურთისთვის 2013 წელი იმით იყო გამორჩეული, რომ ვაჟთა ეროვნულმა ნაკრებმა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით განვლო - კონტინენტის 20 გუნდს შორის სამეულში მოხვდა და ბუდაპეშტის ფინალურ რაუნდში მოსახვედრად პლეი ოფში გავიდა. აქ კი კენჭისყრამ ჩვენებს თურქეთის ნაკრები არგუნა. გვესაუბრება ნაკრების კაპიტანი **ზურაბ რურუა:**

- პლეი ოფისთვის მზადება შარშან შესარჩევი ეტაპის დამთავრებისთანავე დავიწყეთ. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა დეკემბერში რვადღიანი შეკრება სერბეთში. დილით ვარჯიშები, საღამოს კი საკონტროლო შეხვედრები გვქონდა ამ ქვეყნის უძლიერეს კლუბებთან: სამჯერ ნოვი სადის „ვოივოდინას" გავუწიეთ მეტოქეობა, თითოჯერ კი ბელგრადის „პარტიზანსა" და 2013 წლის ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „ცრვენა ზვეზდას" დავუპირისპირდით. ამ გუნდებთან პაექრობამ დიდი გამოცდილება შეგვძინა. ნაკრები, რომელიც სერბეთში ოთხი ნატურალიზებული წყალბურთელის გარეშე ემზადებოდა, ახლა ამ ორთაბრძოლებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას ცდილობს.

**- მეტოქეზე რას იტყვი?**

- თურქეთის ნაკრები ძლიერი გუნდია, შემადგენლობა ორი ხორვატი და ერთი სერბი წყალბურთელით ჰყავს გაძლიერებული. საერთაშორისო სარბიელზეც სტაბილურობით გამოირჩევა: ევროპის 2010 (ზაგრები) და 2012 (ეინდჰოვენი) წლების ჩემპიონატების ფინალური ეტაპების მონაწილეა და გადამწყვეტ რაუნდში ზედიზედ მესამედ მოსახვედრადაც არაფერს დაიშურებს. თურქებმა შარშან სტამბოლში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლეს. მართალია, მაშინ მეტოქეს 10:9 ვძლიეთ და, საერთოდ, იმ შეჯიბრებაზე პირველები ვიყავით, მაგრამ პლეი ოფი და ოფიციალური შეხვედრა მაინც სხვა არის. 15 თებერვალს თურქებს თბილისში „ოლიმპიკის" აუზში დავუპირისპირდებით, განმეორებითი პაექრობა კი პირველ მარტს სტამბოლში გაიმართება. ამ ორი მატჩის შედეგი გამოავლენს ფინალური ეტაპის მონაწილეს. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვოს.

**- ზემოთ აღნიშნე, რომ სერბული შეკრებისას ოთხი ნატურალიზებული წყალბურთელი გაკლდათ. ისინი როდის შემოგიერთდებიან?**

- ვლადიმერ ისელიძისა და იოვან პოპოვიჩის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები ამჟამად თბილისში ვარჯიშობს. 13 იანვარს ჩერნოგორიაში, კერძოდ, ჰერცეგ- ნოვიში გავემგზავრებით საწვრთნელი შეკრებისა და ტესტ-მატჩების გასამართავად. იმ ოთხი ნატურალიზებული წყალბურთელიდან, რომლებიც ამჟამად იტალიის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობენ, დამირ ცრეპულია და მარინო ფრანიჩევიჩი ჩვენთან ერთად იქნებიან ჩერნოგორიაში, ხოლო მარკო ელაჩა და მარკო ელეზი თურქებთან შეხვედრამდე ხუთი დღით ადრე შემოგვიერთდებიან. საქართველოს სპორტის სამინისტრო, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია არაფერს იშურებენ, რომ საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოხვდეს. ვეცდებით, ქომაგები არ გავაწბილოთ და მათი იმედები გავამართლოთ...

*შეგახსენებთ, რომ წლეულს ბუდაპეშტში მედლებისთვის 12 გუნდი იბრძოლებს. იქ თამაშის უფლება უკვე დაზევებული აქვთ სერბეთს, ჩერნოგორიას, იტალიას, უნგრეთს, გერმანიასა და საბერძნეთს. დანარჩენი ექვსი ვაკანტური ადგილისთვის 15 თებერვალსა და პირველ მარტს პლეი ოფში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: საქართველო-თურქეთი, ჰოლანდია-რუსეთი, საფრანგეთი-მალტა (ფინანსური სიძნელეების გამო მაკედონიამ ვერ შეძლო პლეი ოფში მონაწილეობა და მის ნაცვლად მალტა დაუშვეს), სლოვაკეთი-ხორვატია, რუმინეთი-დიდი ბრიტანეთი, უკრაინა-ესპანეთი.*

ვაჟა დანელია



ნაკრები - 2013

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# უილიამსების დუბლი არ შედგა

2014 წლის საჩოგბურთო სეზონის პირველი კვირა ძალიან დატვირთული აღმოჩნდა - სამ-სამი ტურნირი გაიმართა ქალთა და მამაკაცთა ტურში.

ყველაზე წარმომადგენლობითი აღმოჩნდა ბრისბენის ტურნირი ქალებს შორის, რომელშიც ერთბაშად სამი ვარსკვლავი იყო წარმოდგენილი - მოქმედი ჩემპიონი **სერენა უილიამსი**, **ვიქტორია აზარენკა** და **მარია შარაპოვა**. ამერიკელს ორივე კონკურენტთან მოუწია თამაში: ჯერ ნახევარფინალში ორ სეტში მოუგო შარაპოვას, შემდეგ კი ასევე ორ პარტიაში სძლია აზარენკას - 6:4, 7:5.

ფინალში უილიამსმა შედარებით იოლად მოიგო პირველი სეტი, მეორეში კი დიდი ხანი ბელარუსი ჩოგბურთელი ლიდერობდა, მაგრამ 5:4-ზე ზედიზედ სამი გეიმი წააგო და საათსა და 39 წუთში დამარცხდა. სერენამ სეზონში პირველი და კარიერაში 58-ე ტიტული მოიპოვა, რამაც მას 196 670 დოლარი მოუტანა.



სერენას 58-ე ტიტული

გასულ კვირას შეიძლებოდა გვეხილა დები უილიამსების დუბლი, რადგან ოკლენდის ტურნირის ფინალში გავიდა უფროსი უილიამსი, თუმცა **ვინუსმა** წააგო გადამწყვეტი შეხვედრა სერბ **ანა ივანოვიჩთან** - 2:6, 7:5, 2:6. სერბისთვის ეს იყო მხოლოდ მეორე მოგება უფროსი უილიამსის წინააღმდეგ ჩატარებულ ათ შეხვედრაში.

მესამე ტურნირი ჩინეთის ქალაქ შენჟენში გაიმართა და როგორც მოსალოდნელი იყო, იქ იოლად დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, ჩინელმა **ნა ლიმ**. მან გადამწყვეტ მატჩში საათსა და 49 წუთში დაამარცხა თანამემამულე **შუაი პენგი** - 6:4, 7:5. ორივე ჩოგბურთელი არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა საკუთარ გეიმებში: ნა ლიმ ხუთი ბრეიკი გააკეთა, პენგს კი შვიდი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და სამი შანსი გამოიყენა. სხვათა შორის, ლის ამ მატჩში შვიდი ორმაგი დაუგროვდა.

ნა ლისთვის ეს იყო მერვე ტიტული კარიერაში.

# ნადალმა მეშვიდე ათეული გახსნა



ლეიტონ ჰიუიტი

გამარჯვებით დაიწყო ახალი სეზონი ATP-ის პირველმა ნომერმა **რაფაელ ნადალმა**. ესპანელმა დოჰას ტურნირის მსვლელობისას სამი სეტი წააგო, მათ შორის, ფინალურ მატჩში, თუმცა კმაყოფილება გამოთქვა თავისი თამაშით და განაცხადა, რომ ასეთი სპორტული ფორმით ავსტრალიის ღია პირველობაზე წარმატების მიღწევის იმედი აქვს.

ნადალი გადამწყვეტ მატჩში ფრანგ **გაელ მონფილს** შეხვდა და მეორე სეტში ჩავარდნას თუ არ ჩავთვლით, დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია - 6:1, 6:7(5), 6:2. ფინალი საათი და 59 წუთი გაგრძელდა და რაფამ მონფილსთან ურთიერთშეხვედრებში 9:2 წაიყვანა ანგარიში.

ნადალისთვის ეს იყო 61-ე ტიტული კარიერაში, რითაც მან გაუსწრო ლეგენდარულ ამერიკელ **ანდრე აგასის**. ახლა ესპანელზე წინ ტიტულების რაოდენობით **ჯიმი კონორსი** (110), **ივან ლენდლი** (94), **როჯერ ფედერერი** (77), **ჯონ მაკინროი** (77), **ბიორნ ბორგი** (64), **პიტ სამპრასი** (64) და **გილერმო ვილასი** (62) არიან.

გასულ კვირას საქმეში ვიხილეთ შვეიცარიელი ლეგენდა როჯერ ფედერერი. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ბრისბენის ტურნირის ფინალში გააღწია და იქ უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონს, ავსტრალიელ ვეტერანს **ლეიტონ ჰიუიტს** შეხვდა. ეს ჩოგბურთელები 27-ედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ფედერერს დიდი უპირატესობა ჰქონდა ურთიერთშეხვედრებში - 18:8, მაგრამ ამჯერად, დანებება მოუწია.

ფედერერმა ერთადერთი ბრეიკი მეორე სეტში გააკეთა და 6:4 მოიგო, მაგრამ პირველ სეტში გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა, მესამეში კი ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება. საბოლოოდ, 2 საათი და შვიდი წუთი ბრძოლის შემდეგ, ასეთი ანგარიში დაფიქსირდა - 6:1, 4:6, 6:3.

ლეიტონისთვის ეს იყო 29-ე ტიტული კარიერაში და ის მოქმედ ჩოგბურთელებს შორის მეოთხე ადგილზე გადავიდა. მან გაუსწრო **ენდი მარეის** (28) და ჩამორჩება ფედერერს, ნადალსა და **ნოვაკ ჯოკოვიჩს** (41).

■ ■ ■

გასულ კვირას ასევე გაიმართა შერეულ წყვილთა არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატი, რომელსაც ჰოპმანის თასის სახელით ვიცნობთ. პირველად ეს ტურნირი საფრანგეთის ნაკრებმა მოიგო, რომლის შემადგენლობაში **ჟო-ვილფრიდ ცონგა** და **ალიზე კორნე** თამაშობდნენ. ფინალში ფრანგებს პოლონეთის ნაკრები უპირისპირდებოდა. ცონგამ მოუგო **გჟეგოჟ პანფილს**, მაგრამ კორნე დამარცხდა **აგნიეშკა რადვანსკასთან**. ყველაფერი გადაწყვიტა მიქსტმა, რომელშიც ცონგამ და კორნემ გაანადგურეს პოლონელთა დუეტი - 6:0, 6:2.

აქამდე საფრანგეთის ნაკრები ორჯერ იყო ჰოპმანის თასის ფინალში, მაგრამ 1988 და 2012 წლებში წააგო, შესაბამისად, სლოვაკეთთან და ჩეხეთთან.

■ ■ ■

ამასობაში, ავსტრალიის ღია პირველობის მამაკაცთა ბადეს ორი განთესილი ჩოგბურთელი გამოაკლდა.

მელბურნში ვერ ვიხილავთ სერბ **იანკო ტიპსარევიჩს**. *„სერბი აგრძელებს ფეხის ტრავმის შემდეგ აღდგენით პროცესს“*, - იტყობინებიან ავსტრალიის ღიას ორგანიზატორები. იანკოს ადგილს ძირითად ბადეში დაიკავებს ჩეხი **იან ჰაიეკი**.

ასევე ვერ ითამაშებს ავსტრალიის ღიაზე ავსტრიელი **იურგენ მელცერი**, რისი მიზეზიც მხარის დაზიანებაა.

ოლიმპიზმი. სოჭი 2014

## აშშ-მ 25 შეკრიბა

აშშ-ის ჰოკეის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა ეროვნული გუნდის შემადგენლობა, რომელიც სოჭის ოლიმპიადაზე ჰოკეის ტურნირში ითამაშებს.

განაცხადში მოხვედრილი 25 ჰოკეისტიდან 13 თამაშობდა ვანკუვერის ოლიმპიადაზე, რომელშიც აშშ-ის ნაკრებმა ვერცხლის მედლები მოიპოვა.

**მეკარეები:** რაიან მილერი (ბაფალო), ჯონათან კუიკი (ლოს ანჯელესი), ჯიმი ჰოვარდი (დეტროიტი);

**მცველები:** რაიან სუტერი (მინესოტა), ბრუქს ორპიკი (პიტსბურგი), კევინ შატენკირკი (სტ. ლუისი), ჯონ კარლსონი (ვაშინგტონი), ჯასტინ ფოლკი (კაროლინა), კემ ფაულერი (ანაჰაიმი), პოლ მარტინი (პიტსბურგი), რაიან მაკდონაჰი (რეინჯერსი);

**ფორვარდები:** ფილ კესელი (ტორონტო), ჯეიმს ვან რიმსდიკი (ტორონტო), ზაკ პარიზე (მინესოტა), მაქს პასიორეტი (მონრეალი), რაიან კესლერი (ვანკუვერი), პატრიკ კეინი (ჩიკაგო), ჯო პაველსკი (სან ხოსე), დევიდ ბეიქსი (სტ. ლუისი), დასტინ ბრაუნი (ლოს ანჯელესი), რაიან კელეჰანი (რეინჯერსი), ტი ჯეი ოში (სტ. ლუისი), პოლ შჩასტნი (კოლორადო), დერეკ სტეპანი (რეინჯერსი), ბლეიკ უილერი (ვინიპეგი).

თვალშისაცემია განაცხადში "ოტავას" ფორვარდის **ბობი რაიანის** არყოფნა. გარდა ამისა, სიაში ვერ ვხედავთ მცველებს - **ერიკ ჯონსონსა** და **ჯეკ ჯონსონს**.

აშშ-ის ნაკრები ოლიმპიადაზე პირველ შეხვედრას 13 თებერვალს, სლოვაკეთის წინააღმდეგ ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისის თასი** | |
| **1/32 ფინალი** | |
| ნოტინგემი-ვესტ ჰემი | 5:0 |
| სანდერლენდი-კარლაილი | 3:1 |
| დერბი-ჩელსი | 0:2 |
| ლივერპული-ოლდჰემი | 2:0 |
| პორტ ვეილი-პლიმუტი | 2:2 |
| მანჩესტერ იუნ-სუონსი | 1:2 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| მარკუა-ოსერი | 2:6 |
| ბურჟი-გინგამი | 0:2 |
| ლა კეიოლი-ბალანი | 0:2 |
| სტ. არმანი-კრუა | 1:1 პენ. 2:4 |
| ამიენი-ლილი | 1:3 |
| ბასტია-ევიანი | 1:0 |
| ლა სუზი-ლიონი | 1:6 |
| ნანტი-ნიცა | 0:2 |
| რაონი-ბორდო | 1:2 |
| როდე-მონპელიე | 0:2 |
| კიმპერლი-აიაჩო | 1:2 |
| კანი-სტ. ეტიენი | გადაიდო |
| ვანი-მონაკო | 2:3 |
| სეტი-კარკეფუ | 2:0 |
| მარსელი-რეიმსი | 0:0 დ.დ. 2:0 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ბეირა მარი-აკადემიკა | 0:1 |
| მარიტიმუ-პენაფიელი | 2:3 |
| ფერეირა-ავეში | 1:2 |
| ბრაგა-არუკა | 2:0 |
| **შოტლანდია** | |
| **I ლიგა** | |
| სტენჰაუზმური-რეინჯერსი | 0:2 |
| **საბერძნეთი** | |
| პანაიტოლიკოსი-პანათინაიკოსი | 1:0 |
| პანიონიოსი-ოფი | 0:0 |
| პანთრაკიკოსი-ლევადია | 1:0 |
| ვერია-პლატანიასი | 2:2 |
| ქსანტი-პაოკ | 1:2 |
| **უელსი** | |
| აფან ლიდო-ნიუთაუნი | 2:2 |
| **კვიპროსი** | |
| დოქსა-არისი | 1:1 |
| ენოსისი-ომონია | 0:3 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ჰ)-ბეითარი | 2:2 |
| **ჩილე** | |
| ატ. ნუბლენსე-უნ. კატოლიკა | 1:2 |
| კობრესალი-უნიონი | 1:5 |
| **მექსიკა** | |
| პუმასი-პუებლა | 2:2 |
| **ავსტრალია** | |
| სენტრალ კოუსტი-მელბურნ ჰ | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **NBA** | |
| ინდიანა-ნ. ორლეანი | 99:82 |
| ორლანდო-მაიამი | 94:110 |
| ბრუკლინი-კლივლენდი | 89:82 |
| ჩიკაგო-ატლანტა | 91:84 |
| მინესოტა-ოკლაჰომა | 111:115 |
| სან ანტონიო-კლიპერსი | 116:92 |
| ფინიქსი-მილუოკი | 116:100 |
| პორტლენდი-ფილადელფია | 99:101 |
| საკრამენტო-შარლოტი | 103:113 |
| დეტროიტი-მემფისი | 84:112 |
| **ადრიატიკის ლიგა** | |
| ზადარი-ბუდუჩნოსტი | 57:64 |
| **გერმანია** | |
| ტიუბინგენი-ალბა | 64:74 |
| ბამბერგი-სკაილაინერსი | 73:43 |
| **საბერძნეთი** | |
| რეტიმნო-პანათინაიკოსი | 63:82 |
| ოლიმპიაკოსი-აენეა | 69:64 |
| **ესპანეთი** | |
| ბილბაო-ვალენსია | 80:83 |
| მურსია-ხუვენტუდი | 76:82 |
| ფუენლაბრადა-გრან კანარია | 78:83 |
| **იტალია** | |
| აველინო-მონტეგრანარო | 103:92 |
| კრემონა-კაზერტა | 69:64 |
| რომა-ვენეცია | 87:92 |
| მონტეპასკი-ვარეზე | 87:79 |
| სკავოლინი-ბრინდიზი | 86:91 (ო) |
| სასარი-მილანი | 69:75 |
| **თურქეთი** | |
| ოლინი-გალათასარაი | 77:98 |
| უშაკი-პინარი | 82:77 |
| ეფესი-ბანვითი | 70:76 |
| ალიაგა-თოფასი | 73:91 |
| ანკარა-ფენერბაჰჩე | 64:81 |
| **ხელბურთი** | |
| **მს. ჩემპიონატი 2015** | |
| **შესარჩევი** | |
| ჰოლანდია-ბელგია | 27:21 |
| ლატვია-ბოსნია | 21:23 |
| შვეიცარია-უკრაინა | 31:32 |
| საბერძნეთი-ისრაელი | 31:28 |
| პორტუგალია-ესტონეთი | 35:27 |
| კვიპროსი-რუმინეთი | 30:31 |
| სლოვენია-ლუქსემბურგი | 37:26 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| ბოსტონი-ვინიპეგი | 4:1 |
| კოლორადო-სან ხოსე | 4:3 |
| ბაფალო-ნიუ ჯერსი | 2:1 |
| ტორონტო-რეინჯერსი | 1:7 |
| მონრეალი-ოტავა | 3:4 (ო) |
| ფლორიდა-ნეშვილი | 5:4 (ბ) |
| აილენდერსი-კაროლინა | 2:3 |
| სენტ ლუისი-კოლამბუსი | 6:2 |
| დალასი-დეტროიტი | 1:5 |
| მინესოტა-ვაშინგტონი | 5:3 |
| ფინიქსი-ფილადელფია | 3:5 |
| ლოს ანჯელესი-ვანკუვერი | 3:1 |
| პიტსბურგი-ვინიპეგი | 6:5 |
| **კჰლ** | |
| ადმირალი-ლოკომოტივი | 3:0 |
| ამური-სკა | 1:6 |
| მეტალურგი (ნ)-სევერსტალი | 1:2 |
| სიბირი-ატლანტი | 3:1 |
| მეტალურგი (მ)-ლევი | 4:2 |
| ს. იულაევი-ცსკა | 5:2 |
| ტრაქტორი-სლოვანი | 2:1 |
| აკ ბარსი-ავტომობილისტი | 1:3 |
| ვიტიაზი-ავანგარდი | 2:3 |
| ნეფტეხიმიკი-დინამო (რ) | 1:2 |
| ტორპედო-იუგრა | 4:5 |
| დინამო (მ)-ბარისი | 3:2 (ო) |
| **ავსტრია** | |
| ალბა-გრაცი | 3:1 |
| დორნბირნი-ოლიმპია | 8:1 |
| ზნოიმო-ზალცბურგი | 3:2 |
| ინსბრუკი-ვენა | 3:5 |
| კლაგენფიურტი-ბოლცანო | 2:3 |
| ლინცი-ვილახი | 6:3 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-შვენინგერი | 3:4 |
| მანჰაიმი-მიუნხენი | 3:0 |
| აუგსბურგი-იზერლონი | 1:4 |
| ინგოლშტადტი-ნიურნბერგი | 4:5 (ბ) |
| კრეფელდი-ვოლფსბურგი | 1:2 |
| სტრაუბინგი-ჰამბურგი | 4:3 (ო) |
| დიუსელდორფი-კიოლნი | 0:3 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-ლილეჰამერი | 6:4 |
| რუსენბორგი-ტონსბერგი | 8:1 |
| ფრისკ ასკერი-სტიერნენი | 2:6 |
| **სლოვაკეთი** | |
| სკალიცა-ნიტრა | 0:7 |
| ჟილინა-პოპრადი | 4:1 |
| ზვოლენი-კოშიცე | 1:3 |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 2:1 |
| პიეშტანი-მარტინი | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ტრშინეცი | 1:4 |
| კარლოვი ვარი-კლადნო | 4:1 |
| ლიბერეცი-ხომუტოვი | 6:0 |
| სპარტა-ვიტკოვიცე | 1:3 |
| კრალოვე-ზლინი | 1:2 |
| პლზენი-პარდუბიცე | 2:1 |
| ლიტვინოვი-ბრნო | 4:1 |
| **შვეიცარია** | |
| კლოტენი-ციურიხი | 3:4 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 20** | |
| გერმანია-ნორვეგია | 3:1 |
| კანადა-რუსეთი | 1:2 |
| შვედეთი-ფინეთი | 2:3 (ო) |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბრისბენი** | |
| ჰიუიტი-ნიშიკორი | 5:7, 6:4, 6:3 |
| ფედერერი-შარდი | 6:3, 6:7, 6:3 |
| ჰიუიტი-ფედერერი | 6:1, 4:6, 6:3 |
| **ATP. ჩენაი** | |
| გრანოლერსი-**როჟე ვასელენი** | 2:6, 6:4, 3:6 |
| ვავრინკა-პოსპიშილი | 6:4, 5:5 უარი |
| ვავრინკა-როჟე ვასელენი | 7:5, 6:2 |
| **ATP. დოჰა** | |
| ნადალი-მონფილსი | 6:1, 6:7, 6:2 |
| **WTA. ოკლენდი** | |
| ვ. უილიამსი-**ივანოვიჩი** | 2:6, 7:6, 4:6 |
| **WTA. ბრისბენი** | |
| ს. უილიასი-აზარენკა | 6:4, 7:5 |
| **WTA. შენჟენი** | |
| ნა ლი-პენგი | 6:4, 7:5 |
| **WTA. სიდნეი** | |
| კისი-ჰალეპი | 6:1, 6:4 |
| ვინჩი-**ერანი** | 4:6, 2:6 |
| ჰანტუხოვა-**ტომლიანოვიჩი** | 4:6, 5:7 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| **ბარტელი**-სვიტოლინა | 6:4, 6:3 |
| **ჰოპმანის თასი** | |
| პანფილი-**ცონგა** | 3:6, 6:3, 3:6 |
| **ა. რადვანსკა**-კორნე | 6:3, 6:7, 6:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინციდენტი

# სტაბილურად მძიმე

ფორმულა 1-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის **მიხაელ შუმახერის** მდგომარეობა კვლავაც სტაბილურად მძიმეა. გერმანელს ქალაქ გრენობლის საავადმყოფოში ისევ ხელოვნურ კომაში ამყოფებენ.

შეგახსენებთ, რომ 29 დეკემბერს, საფრანგეთის კურორტ მერიბელში სამთო თხილამურებით სრიალისას, მიხაელი ტრასაზე დაეცა და თავი ქვას დაარტყა. 45 წლის ავტომრბოლი ვერტმფრენით ჯერ დაბა მუტიეს საავადმყოფოში გადაიყვანეს, შემდეგ კი გრენობლის კლინიკაში მოათავსეს. ექიმებმა შუმახერს თავის ტვინის სერიოზული დაზიანება დაუდგინეს და ხელოვნური კომის მდგომარეობაში შეიყვანეს.

4 იანვარს ცნობილი გახდა ამ ტრაგიკული შემთხვევის ახალი დეტალები. როგორც გაზეთი "ბილდი" წერს, შუმახერი თავის 14 წლის ვაჟთან და მეგობრების ჯგუფთან ერთად სოლირის მთაზე ავიდა სასრიალოდ.

დაშვების დროს, დაცემამდე ცოტა ხნით ადრე, შუმახერი ტრასაზე გაჩერდა თავისი მეგობრის ქალიშვილის დასახმარებლად, რომელიც თოვლში ჩავარდა. შუმახერი მონიშნული ტრასის მიღმა აღმოჩნდა. გოგონას ფეხზე დაყენების შემდეგ, ის თავქვე დაეშვა და ვერ შეამჩნია თოვლით დაფარული ქვები. წონასწორობის დაკარგვის შემდეგ, გერმანელი დაეცა და ერთ-ერთ ლოდს თავი დაარტყა. შორიახლოს მყოფმა მოთხილამურემ შეამჩნია ტრასის მიღმა მწოლიარე შუმახერი და სასწრაფოდ მიმართა უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებს, რომლებიც ასი მეტრით ქვემოთ მორიგეობდნენ.

შუმახერს პირველი სამედიცინო დახმარება დაცემიდან შვიდი წუთის შემდეგ აღმოუჩინეს. ამ დროის განმავლობაში, მიხაელი გონებაზე იყო, მაგრამ შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

გარდა ამისა, "ბილდისთვის" ცნობილი გახდა, რომ თხილამურები, რომლითაც შუმახერი სრიალებდა, მას არ ეკუთვნოდა და ქირით ჰქონდა აღებული. ასე რომ, უცნობ ამუნიციას ასევე შეეძლო შეეშალა ხელი მიხაელისთვის.

რაც შეეხება პროგნოზებს შუმახერის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ამ მხრივ უამრავი ინფორმაცია ვრცელდება. მაგალითად, ასეთი კომენტარი გააკეთა ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **ფილიპ სტრეიფმა**, რომელიც თავად არის მიჯაჭვული ინვალიდის სავარძელს 1989 წელს, ბრაზილიის ტრასაზე მომხდარი მძიმე ავტოავარიის შემდეგ: *"მე ველაპარაკე ექიმ ჟერარ სალიანს (ტვინის ინსტიტუტის ხელმძღვანელი). ის ყოველდღე ახდენს შუმახერის ტვინის სკანირებას იმის გასარკვევად, რამდენად იკლებს ჰემატომა. ორშაბათს სისხლჩაქცევა ორმხრივი იყო, ახლა კი მხოლოდ მარცხნივ დარჩა, რაც დიდი პროგრესია. მაგრამ თუ ის დიდი ხანი არ გაიწოვება, ამან შეიძლება გამოიწვიოს სხეულის საპირისპირო მარჯვენა მხარის პარალიზება.*

*ამ შემთხვევაში, შუმიმ, შესაძლოა, ხმა დაკარგოს. იმედია, რეაბილიტაციის პროცესში, ის შეძლებს ხმის და მოძრაობის დაბრუნებას".*

ამ ჭორებს გამოეხმაურა მიხაელ შუმახერის მენეჯერი **საბინე კემი**, რომელმაც საზოგადოებას სთხოვა ყურადღება არ მიაქციოს პრესის მიერ გავრცელებულ უამრავ გადაუმოწმებელ ინფორმაციას. კემმა ხაზი გაუსვა იმას, რომ უტყუარი ინფორმაცია პილოტის ჯანმრთელობის შესახებ მხოლოდ მისგან ან მკურნალი ექიმებისგან გავრცელდება.

*"მიხაელის მდგომარეობა კრიტიკული, მაგრამ სტაბილურია, - ამბობს კემი. - გვინდოდა ხაზი გაგვესვა იმისთვის, რომ ნებისმიერი ინფორმაცია შუმახერის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც გაცხადდება მისი წარმომადგენლების და ექიმების მიერ, უნდა განვიხილოთ მხოლოდ ვარაუდად. ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ორშაბათამდე აზრი არ აქვს პრესკონფერენციის მოწვევას.*

*შუმახერის ოჯახის წევრებმა ნებაყოფლობით გადასცეს ჩაფხუტზე დამაგრებული კამერა გამომძიებლებს. არასწორია, თითქოს ეს ყველაფერი ოჯახის ნების გარეშე მოხდა. ჩვენ ყველას ვთხოვთ პატივი სცენ მათ პირად ცხოვრებას".*

**გია თვალაბეიშვილი**












დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608